



საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ნომერი

27 მაისი, პარასკევი, 2011 წ.

# დამოუკიდებლობის მეოცე წლისთავზე მინიჭებული სახელმწიფო პრემია

აქტუალური  
უნივერსიტეტი

გვ. 9-12 გვ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 25 მაისს ღვანდომოსილი მეცნიერები დააჯილდოვა. საქართველოს პრეზიდენტმა წარმატებული ნაშრომებისთვის ეროვნული და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიები სხვადასხვა დარგებში მოღვაწე 19 მეცნიერს გადასცა. მათ შორის ჯილდოს მფლობელი გახდა მეცნიერთა ის 4 კაციანი ჯგუფი, რომელსაც თსუ-ის სრული პროფესორი თენგიზ ცერცვაძე ხელმძღვანელობს, ჯგუფის წევრია თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ლალი შორვაძეც.

კამენტებისადმი რეზისტენტობა საქართველოში, რაც აუცილებელი პირობაა მკურნალობის ოპტიმიზაციისთვის.

საქართველოში, როგორც განვითარებად ქვეყანაში, ძნელია მეცნიერების კეთება, რადგან მეცნიერებს სერიოზული მატერიალური და ინტელექტუალური რესურსი სჭირდება. ვინაიდან არ იყო მატერიალური რესურსი, ინტელექტუალური რესურსი საზღვარგარეთ გადინებოდა. მაგრამ, გარკვეულწილად, იცვლება სიტუაცია ხელისუფლების მხარდაჭერით და იქმნება მატერიალური პირობები სამეცნიერო კვლევების რეალიზების თვალსაზრისით. ეს სახელმწიფო პრემია იმის ხელშეწყობაც არის, რომ ქართველმა მეცნიერებმა სამშობლოში შეძლონ ისეთი ხარისხიანი პროდუქციის შექმნა, რომელსაც საერთაშორისო აღიარება ექნება, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში 25 მაისს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიით დაჯილდოებულმა პროფესორმა თენგიზ ცერცვაძემ.

თუ რამდენად პრინციპული პიროვნებაა, ეს კარგად ჩანს მის პასუხში: „თანამშრომლები და მეგობრები ბოლო დროს ხშირად მადარებენ ცნობილი სერიალის გმირს, დოქტორ ჰაუსს. მე, ასეთი უხეში არ ვარ, მაგრამ პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომა კი მახასიათებს... ვარ პრინციპულიც. მაგალითად, როცა ინფექციური საავადმყოფოს გაუქმებას აპირებდნენ, სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიე კახა ბენდუქიძეს. ეგონათ, რომ გამათავისუფლებდნენ სამსახურიდან... განა შეიძლება ეს საავადმყოფო არ არსებობდეს, მაშინ, როცა ამდენი შიდის, ვირუსული ჰეპატიტის და სხვადასხვა ინფექციური დაავადების შემთხვევა (თუნდაც ფრინველის გრიპი, ღორის გრიპი და სხვ.) გვაქვს... მართალია, დღეს ეს საავადმყოფო გაიყვანა, მაგრამ უკვე სავსებით მისაღები პირობებით. შემოსული ფულით დილომში შენდება ულტრაათანამედროვე, უახლესი აპარატურით აღჭურვილი საავადმყოფო — ინფექციური პათოლოგიისა და შიდის ცენტრი“.

მეცნიერების  
განვითარების  
ტალღის  
დამოუკიდებელ  
საქართველოში

გვ. 2 გვარჯა

განათლების  
სისტემის 20  
წლიანი ავ-კარგი

გვ. 4 გვარჯა

დამოუკიდებელი  
საქართველოს  
პირემომ — ახალი  
თაობა

გვ. 6 გვარჯა

საზოგადოების  
მენტალური  
ცვლილებები

გვ. 7 გვარჯა

დამოუკიდებლობის  
დღიდან დამოკრ-  
ტიამდე: „იყო  
ანომალია, არის  
თვითცანცხურა“

გვ. 8 გვარჯა

ქართულმა  
ეკონომიკამ  
ურუსეთოდ  
„ყოფნა —  
არ ყოფნის“  
კომპლექსს სძლია

გვ. 13 გვარჯა

20-წლიანი  
ისტორიის  
მთავარი  
შტრისები

გვ. 14 გვარჯა



წლების განმავლობაში, განსაკუთრებით სამეცნიერო და აკადემიური წრეებიდან და საზოგადო მოღვაწეების მხრიდან, გამოითქმოდა პრეტენზიები, რომ ქვეყანაში ინგრეოდა სამეცნიერო ინსტიტუტები და კვლევითი ლაბორატორიები, მეცნიერების განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობები ნაკლებად არსებობდა, რაც ღირებული რესურსის საქართველოდან გადინებას იწვევდა. დღეს უკვე შეიძლება იმაზე საუბარი, რომ გაჩნდა მეცნიერული კვლევების წარმოებისთვის მატერიალური ნახალების ტენდენცია და საზღვარგარეთ დამკვიდრებულ ქართველ მეცნიერთა სამშობლოში დაბრუნებისკენ მოწოდებისთვის რეალური საფუძველიც. ხელისუფლების სწორედ ეს ნება გამოხატა პრეზიდენტმა მეცნიერების დაჯილდოების ცერემონიაზე.

აქამდე აღიარება არ აკლდა ინფექციური პათოლოგიის, შიდის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის გენერალურ დირექტორს, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სრულ პროფესორს თენგიზ ცერცვაძეს, რომელიც მრავალ ჯილდოსთან ერთად დღეს უკვე შოთა რუსთა-

ველის სახელობის პრემიის მფლობელია, მაგრამ მისი გუნდის კიდევ ერთხელ დაფასება უფრო მეტ სტიმულს აძლევს, რომ მეცნიერული მოღვაწეობა გააფართოოს.

„ეს სახელმწიფო პრემია დავიმსახურეთ სამეცნიერო მოღვაწეობისთვის, რასაც პრაქტიკული შედეგები მოჰყვა, რაც აისახა შემდეგში: საქართველომ მოახერხა თავიდან აეცილებინა ფართომასშტაბიანი შიდის ეპიდემია და შეძლო რამდენიმე ათეული მილიონიანი ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილება. ჩვენი 11 სამეცნიერო სტატია გამოქვეყნდა უცხოურ ნამყვან იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში, რაც საქართველოს მეცნიერებისთვის და მედიკოსებისთვის დიდი ციფრია. ჩვენი ციტირების ინდექსი არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ქართველ მედიკოსთა შორის. ამ სამეცნიერო კვლევებში იყო: საბჭოთა კავშირის ყოფილ ტერიტორიაზე გამოყოფილი შიდის ვირუსის გენომის სრული ანალიზი; შესწავლილი იყო აივ/ინფექცია შიდის გავრცელების კანონზომიერებები მოსახლეობასა და ცალკეული რისკის ჯგუფებში; პირველად იყო შესწავლილი (აღმოსავლეთ ევროპაში) შიდის ვირუსის სხვადასხვა მედი-



**მიხეილ სააკაშვილი:**  
„მთავარია, არც ერთი ადგილობრივი ნიჭიერი ადამიანი არ დაიკარგოს და არც ერთი შრომისუნარიანი ადამიანი არ აღმოჩნდეს საქმის გარეშე“

მომზადდა  
ნიმუშის საფუძველზე

# მეცნიერების განვითარების ტენდენცია დამოუკიდებელ საქართველოში

მეცნიერების განვითარება სახელმწიფოს ის ქვაკუთხედი, რომელზეც მყარად დგას ქვეყნის სახელმწიფოებრიობის და ცივილიზებული-  
ლობის განმსაზღვრელი ნიშანი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დიდხანს იყო ჩაკარგული საბჭოეთის მორევი, მაინც ახერხ-  
ებდა, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება შეეცნო ისეთი ვარსკვლავებით, როგორებიც იყვნენ პეტრე მელიქიშვილი, ნიკო მუსხელიშვილი,  
ივანე ჯავახიშვილი, ილია ვეკუა, დიმიტრი უზნაძე და სხვები. მათ დაანახეს მსოფლიოს, რომ აზროვნების თავისუფლებას და მეცნიერებას  
საზღვრები არ აქვს.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში ერების გამოფხიზლების მიხედვით დაიწყო, იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებს, მათ  
შორის, საქართველოსაც, ბევრი მსხვერპლის გაღება მოუწია. დამოუკიდებლობის ბრძოლას, ფაქტობრივად, შეენიარა ქვეყნის ეკონო-  
მიკა და განათლება, ხოლო მეცნიერებამ თითქმის საწყისი ნერტილიდან დაიწყო დასავლურ ღირებულებებზე მორგებული სისტემის შექმნა.

რა ეტაპები გაიარა ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ დამოუკიდებლობის წლებში? რა სიძნელეები გადალახა მან და რას სთავა-  
ზობს ქართველ მეცნიერებს დღევანდელი ხელისუფლება? ამ საკითხებზე სასაუბროდ მივმართეთ საქართველოს განათლებისა და მეც-  
ნიერების მინისტრის მოადგილეს ნოდარ სურგულაძეს, რომელიც ამ თანამდებობაზე წარმატებულ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა  
და საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის მეცნიერების განვითარების ყველა ეტაპის ავ-კარგი საკუთარ თავზე გამოცდა.

— ბატონო ნოდარ, ცნობილია, რომ  
საბჭოთა მეცნიერება მსოფლიოში ერთ-  
ერთი ყველაზე ძლიერი იყო და მისი სამეც-  
ნიერო სკოლებიც დიდხანს მიიჩნეოდა  
უაღტიერნატივოდ. მას შემდეგ, რაც საბ-  
ჭოთა კავშირი დაიშალა, მისი ყოფილი  
რესპუბლიკების და, მათ შორის, ქართულ  
მეცნიერებას, დიდი დრო დასჭირდა გან-  
ვითარების გარკვეულ დონემდე მისაღ-  
ევად. რა იყო აქამდე? რა გზა გავიარეთ,  
როგორ მოვიდა საქართველოს მეცნიერება  
დღევანდელ დღემდე?

— კომუნისტური ხელისუფლების პერი-  
ოდში მეცნიერებას განსაკუთრებული ყურ-  
ადღება ექცეოდა, რაც იმით იყო გამოწვეუ-  
ლი, რომ მეცნიერთა დიდი ნაწილი საბჭოთა  
კავშირის თავდაცვის სამინისტროს დაკვე-  
თებზე ან თავდაცვასთან დაკავშირებულ სა-  
თხებზე მუშაობდა. ეს ეხება მეცნიერების  
ისტორიკოსებს, როგორც იყო ელფეთერ  
ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი, კი-  
ბერნეტის ინსტიტუტი, სოხუმის ფიზიკა-  
ტექნიკის ინსტიტუტი, არაორგანული ქიმიის  
ინსტიტუტი, მართვის სისტემების ინსტი-  
ტუტი და ა.შ. ამ მიმართულებებით ფული  
დაუზოგავდა იხარჯებოდა. წარმოდგინეთ,  
მხოლოდ კიბერნეტიკის ინსტიტუტში 1800  
თანამშრომელი იყო, ხოლო 1990-იან წლებში  
საქართველოს მთლიანი სამეცნიერო სისტე-  
მა დაახლოებით 30 ათას თანამშრომელს  
ითვლიდა.

რაც შეეხება მეცნიერების დონეს, მაშინ  
პრაქტიკულად აკრძალული იყო საზღვარგა-  
რეთთან აქტიური კონტაქტები, ერთობლივი  
კვლევები და ძალიან ძნელი იყო იმპაქტფა-  
ქტორიან ჟურნალებში სტატიების გამოქვე-  
ნება. მე თავად მეცნიერთა ოჯახის წარმო-  
მადგენელი ვარ. მაშინვე დახურული ტიპის  
სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მუშაობ-  
და და მასსოვს, რომ ინსტიტუტს საზღვარგა-  
რეთთან სამეცნიერო კონტაქტის უფლება არ  
ჰქონდა. სამეცნიერო წირის წარმომადგენელი  
იყო დედაც. იგი საკავშირო სამეცნიერო კვ-  
ლევით ინსტიტუტში მუშაობდა და განყოფი-  
ლების გამგის რანგში დაასრულა სამეცნიერ-  
ო მოღვაწეობა. მასსოვს, 80-იანი წლების  
დასაწყისში საზღვარგარეთიდან (ინგლისი-  
დან) მოუვიდა მინვერა და მრავალი ფორმის  
და განცხადებების შევსების, სხვადასხვა ინ-  
სტანციაში სირბილის მიუხედავად, მაინც არ  
გაუშვეს. ასეთი სურათი იყო დაახლოებით  
1985 წლამდე. მართალია, „გარდაქმნის“ პე-  
რიოდში სიტუაცია ოდნავ შეიცვალა, მაგრამ  
ტენდენცია მაინც იგივე დარჩა.

1991 წლის 9 აპრილის, ანუ საქართველოს  
დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საბ-  
ჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა, მა-  
გრამ მეცნიერების დაფინანსება შემცირდა.  
ამის გამო სამეცნიერო ინსტიტუტები უფუნ-  
ქციოდ დარჩნენ, რადგანაც ის დაკვეთა,  
რომელსაც ისინი ასრულებდნენ, მცირე გა-  
მონაკლისის გარდა, არავის სჭირდებოდა.  
ამან გამოიწვია სტაგნაცია და სამეცნიერო  
კვლევების დონის შესუსტება. ასე გაგრძელ-  
და დაახლოებით 1996-1997 წლებამდე. ამ  
მიმე სოციალურ პირობებში, როცა არ იყო  
შუქი, წყალი და არავითარი სახსარი, როცა  
ლაბორატორიებში არ ხდებოდა ტექნიკურ  
მანქანების და ქიმიური რეაქტივების  
შექმნა, ინსტიტუტები გადავიდნენ თავის  
გადარჩენის რეჟიმზე – ანუ ტექნიკური ერთ-  
ადგილს, ინერციით აგრძელებდნენ იმავე  
თემებზე მუშაობას, იყენებდნენ ერთი და  
იგივე მეთოდებს და მონაცემებს, ამუშავებდ-  
ნენ რაღაც საკითხებს, მაგრამ კვლევების  
პრაქტიკული მიზანი და მიმართულება ბუნ-  
დოვანი იყო. მეც, როგორც მეცნიერმა, ამ პე-  
რიოდში (1995 წელი) დაივწყე მუშაობა მო-  
ლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური  
ფიზიკის ინსტიტუტში და კარგად მასსოვს,  
როგორ ვთბობდი შემის ლუმელზე და რო-  
გორ ველოდი კვირაობით შუქის მოსვლას,  
რომ ექსპერიმენტები ჩავეტარებინა.

1992 წლიდან, დაახლოებით, 1997 წლამ-  
დე მეცნიერული კვლევები (განსაკუთრებით  
ფუნდამენტური, საბუნებისმეტყველო და

საინჟინრო მიმართულებებით), პრაქტიკუ-  
ლად, ანაბიოზის მდგომარეობაში იყო.

1997 წლიდან გარკვეული ძვრები დაი-  
წყო, რადგანაც მეცნიერებათა აკადემიის  
სისტემაში პირველად გამოჩნდა საგრანტო  
დაფინანსება, თუმცა მას რეალურ საგრან-  
ტო დაფინანსების პრინციპთანთან საერ-  
თო არაფერი ჰქონდა. ეს იყო ე.წ. „მოჭრილი  
თანხა-გრანტები“. იმ პერიოდისთვის 2 მი-  
ლიონი ლარი გამოიყო ვითომდა მეცნიერე-  
ბის განვითარებისათვის. ამ თანხას აკადე-  
მიის სამეცნიერო ინსტიტუტები იყოფდნენ.  
თანხის მოცულობა და მიღება კი დამოკიდე-  
ბული იყო ინსტიტუტის დირექტორის, ან ინ-  
სტიტუტში მომუშავე აკადემიკოსის „წონასა  
და გავლენაზე“.

თავდაპირველად, ჩვენს ინსტიტუტში  
„გრანტში“ მონაწილე ერთ ადამიანზე 20  
ლარი გაიცემოდა. ამ თანხის ფარგლებში  
ფორმალურად ინერგებოდა სამეცნიერო კვ-  
ლევის გეგმა, რომელიც ასევე ფორმალურად  
სრულდებოდა. უნდა აღვნიშნო, რომ მაშინ  
მეცნიერ-თანამშრომლის ხელფასი თვეში 15-  
25 ლარს შეადგენდა. მოგვიანებით ამ ტიპის  
„საგრანტო ხელფასი“ საშუალოდ 50-70 ლა-  
რამდე გაიზარდა. ახალგაზრდა მეცნიერების  
ნახალისებისთვის პირველად შემოღებული  
იქნა „პრეზიდენტის სტიპენდია“, რომელიც  
3 სხვადასხვა ხარისხის იყო და, შესაბამისად,  
100, 150 და 200 ლარს შეადგენდა თვეში. ეს  
მაშინ წარმოუდგენლად დიდი თანხა იყო,  
მაგრამ სტიპენდიანტთა რიცხვიც ძალზე  
შეზღუდული იყო. აქვე გავიხსენებ, რომ ამ  
პროცესს დაემთხვა ე.წ. „ბიუჯეტის გაყინ-  
ვის“ პერიოდი, რამაც ხელფასების გაცემა  
შეაჩერა (ჯამში 17-19 თვე). წარმოდგინეთ,  
მეცნიერი, რომელიც მხოლოდ სამეცნიერო  
და პედაგოგიური ტიპის საქმიანობაში ეწევა,  
თვინდა თვემდე უხელფასოდ რომ ივლი!  
ამან გამოიწვია ახალგაზრდა მეცნიერთა გა-  
დინება საქართველოდან. მარტო ერთ მაგა-  
ლითს გეტყვი — 1992-2002 წლებში ისეთი  
პატარა ინსტიტუტიდან, როგორც იყო მო-  
ლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური  
ფიზიკის ინსტიტუტი, 70 თანამშრომლიდან  
25 საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო  
ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში წავი-  
და სამუშაოდ. იმ წლებში საქართველო ახალ-  
გაზრდა ან საშუალო ასაკის მეცნიერების  
საუკეთესო ნაწილმა დატოვა. მეცნიერთა ის  
ნაწილი დარჩა, რომლებმაც ობიექტური მი-  
ზეზების გამო (ოჯახი, მშობლები, ასაკი) ვერ  
შეძლეს დაწყებული საქმის, გარკვეულად  
ანყობლი სოციალური თუ ეკონომიური  
მდგომარეობის მიტოვება და ყველაფრის  
თავიდან დაწყება. ეს პროცესი 2003 წლამდე  
გაგრძელდა.

— როდის დაიწყო პირველი სერიოზუ-  
ლი ნაბიჯები და რა იყო ის ღონისძიება,  
რომელმაც შეძლო სერიოზული პერსპექ-  
ტივების დასახვა მეცნიერების განვითარე-  
ბისათვის?

— მთავარი იმპულსი, რაც საქართვე-  
ლოს მეცნიერების აღორძინებას შეეხებოდა,  
განჩდა „გარდების რევოლუციის“ შემდეგ,  
როცა ხელისუფლებაში დასავლურ ფას-  
ეულობაზე რეალურად ორიენტირებული  
მთავრობა მოვიდა. მაშინ გადაწყდა, რომ ჩა-  
მოყალიბებულიყო ეროვნული სამეცნიერო  
ფონდი და მეცნიერების დაფინანსება გრან-  
ტების გაცემის გზით მომხდარიყო. ეს იყო ის  
გადამწყვეტი ნაბიჯი, რომელმაც შემდგომში  
მთლიანად განსაზღვრა მეცნიერების განვი-  
თარების გზა.

2005 წლის ბოლოს, როცა განათლების  
მინისტრი კახა ლომია გახლდათ, ჩამოყა-  
ლიბდა ეროვნული სამეცნიერო ფონდი და  
მისი მოქმედების მთავარი პრინციპი (თავდა-  
პირველად, მხოლოდ საგრანტო დაფინანსე-  
ბისთვის, გამოყოფილი იყო დაახლოებით 3  
მილიონი ლარი). პარალელურად შენარჩუნ-  
და და გაიზარდა ინსტიტუტების ბაზისური  
დაფინანსება, რომელიც დაახლოებით 11  
მილიონ ლარს შეადგენდა. განისაზღვრა,  
რომ გრანტის მიღების მსურველ მეცნიერს,  
ან მეცნიერთა ჯგუფს, სამეცნიერო ფონდ-

ში ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა წა-  
რედგინა საპროექტო განაცხადი, რომელიც  
გარკვეულ ფორმატს და მოთხოვნებს დაა-  
მაყოფილებდა. ეს პროექტები ეგზავნებოდა  
უცხოელ და ქართველ ექსპერტებს, რომლე-  
ბიც მათ აფასებდნენ. გრანტის გაცემა ხდე-  
ბოდა ექსპერტების შეფასების საფუძველზე,  
რომელსაც შემდგომში ფონდის სამეცნიერო  
საბჭო ამტკიცებდა. ეს იყო საქართველოს  
რეალობაში რეგულაციური გზა, რომელ-  
მაც მეცნიერებს დაანახა, რომ საგრანტო  
ტიპის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება  
უკვე აღარ იყო დამოკიდებული აკადემიურ  
ნოდებზე, დაკავებულ თანამდებობებზე  
და ნაცნობ-მეგობრობაზე. კვლევებისათვის  
ფულის მიღება წინასწარ გარანტირებულ  
იყო კი აღარ იყო, არამედ ამისთვის საჭირო  
გახდა კარგი, მაღალი დონის სამეცნიერო  
პროექტის დაწერა და თანამედროვეობაზე  
მორგება. ეს უკანასკნელი გარდაუვალი აუ-  
ცილებლობა იყო განვითარებისათვის, რად-  
განაც, კიდევ ერთხელ გავიხსენებ, ობიე-  
ქტური, სამეცნიერო საზომებით ისეთი მო-  
წინავე ინსტიტუტშიც კი, როგორც იყო მო-  
ლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური  
ფიზიკის ინსტიტუტი (და რომლის დირექტო-  
რადაც გარკვეული პერიოდი ვიმუშავე), 2005  
წლის ბოლოს თანამშრომლების ნახევარზე  
მეტე ვერ ფლობდა კომპიუტერთან მუშაო-  
ბის უნარ-ჩვევებს, საოფისე თუ სპეციალურ  
კომპიუტერულ პროგრამებს. საკმაო პრო-  
ბლემას წავაწყდით უცხო ენის პრაქტიკული  
ფლობის თვალსაზრისითაც. ზოგადად, მეც-  
ნიერებმა ძალიან კარგად იცოდნენ მეცნიერ-  
ული კუთხით თავიანთი საქმე, თავიანთი  
საქმის პროფესიონალებიც იყვნენ, მაგრამ,  
სამწუხაროდ, ახალ რეალობას მორგებულნი  
არ იყვნენ.

საგრანტო სისტემაზე გადასვლამ გა-  
მოიწვია ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
მოქმედების სტრუქტურის განვითარება და  
დახვეწა. ბოლო პერიოდში ის უკვე 10 სამეც-  
ნიერო მიმართულებას აფინანსებდა ზუსტი,  
საბუნებისმეტყველო, აგრარული და ჰუმანი-  
ტარული მეცნიერებების მიმართულებით.

2007 წელს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს  
გამოეყრუსთავილი ფონდი, რომელიც მხო-  
ლოდ ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტი-  
კურ მიმართულებებს აფინანსებდა. 2010 წელს  
ეს ორი ფონდი ერთ — შოთა რუსთაველის  
ეროვნულ სამეცნიერო ფონდში გაერთიანდა,  
რადგანაც მივიჩნიეთ, რომ საქართველოში  
მეცნიერების დაფინანსებას ერთი ორგანიზა-  
ცია უნდა ხელმძღვანელობდეს. ძალიან დიდი  
ნაბიჯი გადაიდგა საგრანტო დაფინანსების  
გაზრდის მხრივაც — მისი ჯამური ბიუჯეტი  
27 მილიონ ლარამდე გაიზარდა (შეადარეთ 3  
მილიონ ლარს, 2006 წელს).

— უკანასკნელ ხანს დაიწყო რეფორმე-  
ბი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტე-  
ბის მიმართულებითაც. ეს ინსტიტუტები  
წლების განმავლობაში მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში  
იყვნენ და გარკვეულ ქონებას ფლობდნენ.  
მათმა მიერთებამ უამრავს სასწავლო  
დაწესებულებებთან უარკვეული აუცილებელი  
გამოიწვია. რით იყო გამოწვეული ოპტი-  
მიზაციის ეს პროცესი?

— ეს მართლაც მნიშვნელოვანი გადაწყ-  
ვეტილება იყო. 2008 წელს დაიწყო ახლებუ-  
რად ფიქრი, თუ როგორ განხორციელებუ-  
ლიყო ამ ინსტიტუტების მენეჯმენტი. მაშინ  
ასეთი სურათი იკვეთებოდა — არსებობდა  
64 კვლევითი ინსტიტუტი — საჯარო სამართ-  
ის იურიდიული პირი. მათ შორის ფუნდა-  
მენტური, გამოყენებითი, აგრარული ტიპის  
ინსტიტუტები, ჰუმანიტარული ტიპის ინ-  
სტიტუტები და სამეცნიერო ბიბლიოთეკა-  
კი. საგრანტო დაფინანსების გაზრდამ არა-  
ერთგვაროვნად იმოქმედა ამ ინსტიტუტების  
სამეცნიერო პოტენციალზე. ზოგიერთ მათ-  
განში, როგორებიც იყო მსოფლიოში ცნო-  
ბილი და გამოჩენილი ე.წ. ანდრონიკაშვილის  
ფიზიკის ინსტიტუტი, ა. რაზმაძის მათემა-  
ტიკის ინსტიტუტი, ი. ბერიტაშვილის ფიზიო-  
ლოგიის ინსტიტუტი, გ. ელიავას ბაქტერიო-



თემის რესპონდენტი  
ნოდარ სურგულაძე

ფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლო-  
გიის ინსტიტუტი, რ. აგლაძის არაორგანული  
ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი,  
თითოეულში 10-15 გრანტი ხორციელდებო-  
და, სხვაგან კი — არც ერთი.

ამან განაპირობა მოსაზრება სამეცნიერ-  
ო-კვლევითი ინსტიტუტების ოპტიმიზა-  
ციაზე. შეიქმნა პრეზიდენტთან არსებული  
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების  
საბჭო, რომელსაც მეცნიერებათა ეროვნუ-  
ლი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემი-  
კოსი ფრიდონ თოდუა ხელმძღვანელობდა.  
პარალელურად, მოვიწვიეთ აუდიტი, რო-  
მელმაც ამ ინსტიტუტების ფინანსური და მა-  
ტერიალური მდგომარეობა შეისწავლა.

მივიღეთ გამოყენებული შედეგები: იმ  
პერიოდისათვის 64 სამეცნიერო-კვლევითი  
ინსტიტუტის ჯამური, საბაზო დაფინანსე-  
ბა შეადგენდა 11 მილიონ ლარს. აღმოჩნდა,  
რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისთ-  
ვის, ვგულისხმობ ქიმიური რეაქტივებისა  
და მატერიალური ღირებულებების შექმნას,  
გადაიარაღება-აღჭურვას, ნივთების შექმნას  
ანუ ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც ფუნ-  
დამენტური, გამოყენებითი თუ ჰუმანიტარუ-  
ლი მეცნიერების კუთხით უნდა წარმართუ-  
ლიყო, მხოლოდ 300 000 ლარი ხმარდებო-  
და, მაშინ, როცა დაახლოებით იგივე თანხა  
იხარჯებოდა სატელეფონო მომსახურებაზე.  
ცხადია, ინსტიტუტიდან ინსტიტუტამდე და-  
ლიან განსხვავებული სურათი იყო, მაგრამ  
ფაქტები ასეთი გახლდათ: 2008 წლის ბოლოს  
28 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინ-  
სტიტუტი არ ჰქონდა და არც ფიქრობდა, რომ  
ჰქონოდა(?). 64 ინსტიტუტიდან 20-ზე მეტს,  
ბოლო 10 წლის მანძილზე, ერთი სტატიაც არ  
ჰქონდა დაბეჭდილი საზღვარგარეთის რე-  
ცენზირებულ ან იმპაქტ-ფაქტორიან ჟურ-  
ნალში. ამით მინდა ვთქვა, რომ ჩვენ გვექონდა  
გამორჩეულად წარმატებული ინსტიტუტე-  
ბიც და ისეთი ინსტიტუტებიც, რომლებსაც  
მეცნიერების განვითარებაში არანაირი წე-  
ლილი არ შექმნიდა.

იყო კრიმინალური შემთხვევებიც, მაგა-  
ლითად, რამდენიმე ინსტიტუტის დირექტო-  
რი სხვადასხვა დარღვევებისთვის დააკავეს.  
სხვადასხვა მუხლით სისხლის სამართლის  
საქმე აღიძრა თანამდებობის პირებზეც.  
იყო შემთხვევები, როცა არამიზნობრივად  
ხდებოდა გამოყოფილი თანხების ხარჯვა.  
მაგალითად, აგრარული ტიპის კვლევითი  
ინსტიტუტი ათასობით ჰექტარ მიწას ფლობ-  
და. ამ მიწაზე წლის განმავლობაში სასოფლო  
სამეურნეო ტიპის სამუშაოები (ხვნა-თესვა,  
მოსავლის მოყვანა, სელექცია) მიმდინა-  
რობდა, ხოლო ფორმდებოდა, როგორც  
სამეცნიერო კვლევა. სად მიდიოდა და რო-  
გორ ნაწილდებოდა შემოსავალი, ამას დღეს  
კომპეტენტური ორგანოები იძიებენ, მაგრამ  
გვაქვს პროკურატურის დასკვნა, რომელიც  
პირდაპირ იყო მითითებული, რომ ამ ტიპის  
ინსტიტუტის ასეთი სახით ფუნქციონირება  
და არსებობა მიზანშეუწყობელია. მასსოვს,  
ჩემთან მოვიდა ერთი პიროვნება, რომე-  
ლიც, თითქოსდა, პომიდორის მერწყვის ტე-  
ქნოლოგიას სწავლობდა 10 ჰექტარზე(!).  
როგორც ჩანს, იგი შეანუხა საგადასახადო  
სამსახურმა და ჩვენგან სჭირდებოდა ცნობა,  
რომ ეს იყო სამეცნიერო ექსპერიმენტი და  
არა კერძო შემოსავალი. რა თქმა უნდა, ასე-  
თი მენეტალუტის ქმნევა ადამიანი არამც და

# მეცნიერების განვითარების ტენდენცია დამოუკიდებელ საქართველოში

## მეორე გვერდიდან

არამც არ არის მეცნიერი და ამ ღირსეულ და მართლაც საპატიო ნოდებას შეურაცხყოფას აყენებს.

ოპტიმიზაციის წინაპირობა იყო ისიც, რომ იმ პერიოდში გვექონდა 11 სხვადასხვა ბიოსამედიცინო პროფილის ინსტიტუტი, 9 მსგავსი პროფილის საბუნებისმეტყველო ინსტიტუტი, 12 სოფლის მეურნეობის ინსტიტუტი და ა.შ. ბუნებრივია, დაისვა კითხვა, ხომ არ შეიძლება მომხდარიყო ერთიანი ტიპის ინსტიტუტების შერწყმა, ხარჯების ოპტიმიზაცია და მათი საქმიანობის კონსოლიდაცია.

სამეცნიერო ინსტიტუტების რეფორმირების ამ პროცესს დაემთხვა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი, რამაც ასევე შედეგი იქონია სამეცნიერო კვლევების პროცესზე. 5 ათასამდე ლტოლვილი დროებით განთავსდა ინსტიტუტების შენობებში. ამან, გარკვეულწილად, მძიმედ იმოქმედა ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებზე, რადგანაც იყო შემთხვევები, როცა, ლტოლვილების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შედეგად, ინსტიტუტების ინფრასტრუქტურის და ლაბორატორიების გარკვეული ნაწილი დაზიანდა ან განადგურდა.

ამ მოვლენების პარალელურად წამოვიდა მეორე ტენდენცია — 2004 წლიდან წარმატებით გატარებული რეფორმების შედეგად, ფინანსურად მომძლავრდა სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (მაგალითად, თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი 2004 წელს 23 მილიონი ლარი იყო, 2010-2011 წლისათვის ამ თანხამ 45 მილიონ ლარს გადააჭარბა. ბიუჯეტის ზრდის ტენდენციის მიხედვით, ასევე წარმატებულთა რიგებშია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, რომლებსაც, სასწავლოსთან ერთად, სამეცნიერო და კვლევითი ფუნქციებიც გააჩნდა. სამეცნიერო ინსტიტუტების ოპტიმიზაციის პროცესის განხილვის დროს დაისვა კითხვა — ხომ არ სჯობდა, რომ ეს ინსტიტუტები შესულიყო უნივერსიტეტების შემადგენლობაში დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად და მომხდარიყო მათი ჩართვა განათლების პროცესში.

2010 წლის ზაფხულში დავინყეთ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ოპტიმიზაცია და მათი ეტაპობრივი შერწყმა უმაღლეს სასწავლებლებთან. ოსუ-ში დამოუკიდებელი სამეცნიერო ინსტიტუტის სტატუსით 13 ინსტიტუტია გაერთიანებული. აგრარულ უნივერსიტეტს მიუერთდა დაახლოებით ამდენივე ინსტიტუტი, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ცენტრის სახით, ილიას უნივერსიტეტს მიუერთდა 6 ინსტიტუტი, ტექნიკურ უნივერსიტეტს შეუერთდა 12 ინსტიტუტი. სამეცნიერო შევსება მიიღეს, ასევე, ბათუმისა და ქუთაისის უნივერსიტეტებმა. ცალკე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი — სიცოცხლის შემსწავლელი ცენტრი, რომელშიც გაერთიანდა მოლეკულური ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ექსპერიმენტული ნევროლოგიის და რადიოლოგიის ინსტიტუტები. დამოუკიდებელი სტატუსით სარგებლობს არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, სამეცნიერო ბიბლიოთეკა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კ. ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომდებლობის ინსტიტუტი, რომელიც სხვადასხვა სახის ექსპერტიზას ატარებს, დაექვემდებარა იუსტიციის სამინისტროს სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს. თავდაცვის სამინისტროს მიუერთდა, ასევე, რამდენიმე შესაბამისი პროფილის ინსტიტუტი.

ვფიქრობ, რომ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ერთ ჭერს ქვეშ გაერთიანება პოზიტიური ნაბიჯი იქნება ყველა მხრივ, მათ შორის, ახალგაზრდებისთვის.

მოგესხენებათ, მეცნიერება და განათლება ერთი სიბრტყეა. თუ მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრის მომზადება არ ხდება, მაღე მივიღებთ ასაკობრივ დაბერებას და მეცნიერების კვდომას. მაგალითად, ინსტიტუტში, სადაც მე ვმუშაობდი, ჩემი ასაკის სულ ორიოდე ადამიანი იყო (მე 34-ის გახლდით). შემდგომ ასაკობრივად ყველაზე ახლოს მდგომი ადამიანი 45 წლისა იყო, კოლეგების საშუალო ასაკი კი 60 წელზე მეტის. ეს ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული, რადგანაც 1990 წლიდან 2005 წლამდე ახალი კადრებით შევსება, ფაქტობრივად, არ ხდებოდა.

უნევერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის 1995 წლის 125 კურსდამთავრებულიდან მეცნიერებაში სულ 2-3 ადამიანი დავრჩით. 2002 წელს, როცა აშშ-ში სამეცნიერო კვალიფიკაციის ასამაღლებლად წავიდი, ჩემი, რიგითი მეცნიერ-თანამშრომლის ხელფასი 25 ლარი იყო, ამიტომაც ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი ამ ხელფასზე ინსტიტუტში სამუშაოდ არ მოდიოდა. მომავალში სამეცნიერო კადრების დაბერების პრობლემის წინაშე რომ არ დავდგეთ, საჭიროა სტუდენტის დაინტერესება და მომავალი სამეცნიერო მუშაობისათვის მომზადება. გავა წლები დამერე უფრო მკვეთრად დავინახავთ, რამდენად მართებული გადაწყვეტილება მივიღეთ დღეს, მაგრამ ვფიქრობ, ამ ეტაპზე ეს ყველაზე კარგი გამოსავალი იყო.

**როგორც ცნობილია გაზრდილია არა მხოლოდ საგრანტო ბიუჯეტი, არამედ გრანტების ტიპებიც. რა ნიშნით დაიყო საგრანტო პროგრამები და რა გავლენას მოახდენს იგი მეცნიერების განვითარებაზე?**

— დიას, თუ ადრე საქართველოში გაცივ-მოდა ერთი ტიპის გრანტი, დღეს 24-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის საგრანტო პროგრამა მოქმედებს (მათ შორის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები, უნივერსიტეტის და გამოყენებითი მეცნიერებებისთვის, პრეზიდენტის გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის, მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები, საკონფერენციო გრანტები, პროგრამა — ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლა, გრანტები ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალების შესაქმნელად, საგრანტო კონკურსი ქართული ელექტრონული ლექსიკონების შესაქმნელად, გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის და სხვა მრავალი ტიპის გრანტი, რომლის დეტალურად გაცნობა შესაძლებელია ვებ-გვერდზე <http://www.rustaveli.org.ge>.

სურათს მივიღებთ — ჩვენ ვაფინანსებთ ფუნდამენტურ მეცნიერებებს, რომლის შედეგებს ეყრდნობა გამოყენებითი მეცნიერება, ვაფინანსებთ გამოყენებითი ტიპის პროექტებს, რომელიც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ტექნოპარკების ფუნქციონირებას და დავაფინანსებთ ტექნოპარკებს, რომლის ფუნქციონირების შედეგად შემოტანილმა თანხამ ხელი უნდა შეუწყოს ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებას, ანუ მეცნიერების კომერციალიზაციის მთლიანი ჯაჭვი შეიქმნა. ჩვენ გამოყენებითი მეცნიერებისა და ტექნოპარკების გრანტებით მივალწვეთ იმას, რომ თანდაფინანსების პრინციპით დავაინტერესოთ როგორც ინსტიტუტები, ასევე ბიზნესიც. ეს აუცილებელია, რადგანაც, კვლავ ვიმეორებ, აზრი არ აქვს ფულის ხარჯვას, თუ ეს სამეცნიერო შედეგი/პროდუქტია არავის აინტერესებს. მე წარსულში მინახავს ძალიან ბევრი მაღალი დონის სამეცნიერო კვლევა, რომლის შედეგიც საქართველოში, მისი ავტორების გარდა, არავინ იცის. ამასაც აქვს თავისი მიზეზი — ეს სამეცნიერო ჯგუფები და ლაბორატორიები მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის (ან მოგვიანებით სხვა ქვეყნების) დაკვეთაზე და, მათ გარდა კვლევის შედეგი არავის სჭირდება.

რამდენიმე წლის წინ ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ამერიკის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების ორგანიზაციასთან ერთად (CRDF) ჩაატარა პირველი საგრანტო კონკურსი, რომელიც ითვალისწინებდა ისეთი სამეცნიერო კვლევების დაფინანსებას, რომლის თანადაფინანსებელი იქნებოდა რომელიმე ბიზნეს-ორგანიზაცია. ანუ ბიზნესს უნდა ჩაედო ფული იმაში, რომ მიეღო სამეცნიერო პროდუქტი, რომლის გამოყენებაც იგი შეძლებდა. ამ კონკურსმა ძალიან კარგი შედეგი აჩვენა და ასეთი ტიპის თანამშრომლობის კონკრეტულ მაგალითს მოგიყვანთ: ალბათ გახსოვთ, რომ 5-6 წლის წინ თბილისის წყალკანალის ჭების სახურავებს

ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯებით საქართველოში ლიდერია.

აქცენტი კეთდება ახალგაზრდა მეცნიერების ხელშეწყობაზეც. ამერიკაში უდიდესი სამეცნიერო ფონდების მიერ (NSF, NIH) გრანტის მოპოვების ყოველი 100 მსურველიდან 11-14% ფინანსდება, ჩვენთან კი, თუ ავიღებთ 2009-2010 წლის მონაცემებს, ახალგაზრდა მეცნიერების საპრეზიდენტო გრანტით დაფინანსების დონე 40 პროცენტამდე ავიდა. ეს ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

**— მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს საგრანტო დაფინანსებას ამართლიანად არ მიაჩნდა (სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ დღესაც ბევრს შეხვდებით, ვისაც მეცნიერების დაფინანსების ეს ფორმა მართებულად არ მიაჩნია). საყვედურები ისმოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიმართაც. თქვენ როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა შეფერხებები და რა შეცდომა დაუშვით 2005 წლიდან 2010 წლამდე სამეცნიერო კონკურსების წარმოებაში?**

— 2005 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეშვეობით გახარჯული იყო 50 მილიონამდე ლარი. ჩვენ ვაფინანსებდით, უმეტესწილად, ფუნდამენტურ მეცნიერებებს, ყველაფერს, ოღონდ კი პროექტი მაღალი სამეცნიერო ღირებულებისა ყოფილიყო. ვაფინანსებდით კონსოლურ კვლევებს, ეკოლოგიის ისეთ საკითხებს, რომელიც საქართველოსთვის აქტუალური არ იყო, ვაფინანსებდით ფილოსოფიის ან ისტორიის ისეთ საკითხებს, რომელიც ზოგადასაკცობრიო ღირებულებისაა და საქართველოს რეალურ ინტერესებს, ან საქართველოში მოხმარებად სფეროს არ განეკუთვნებოდა. დღეს ჩვენ გრანტების დაფინანსების ვექტორი ფუნდამენტური მიმართულებიდან გადაინახრა გამოყენებითი სამეცნიერო პროექტების დაფინანსებისაკენ. ვამგობინებ, რომ ჩვენი თანხები და სამეცნიერო პროექტები მიემართათ საქართველოსთვის რეალური და არსებითი საკითხებისაკენ. ანუ, ვფიქრობთ, როგორ უკეთ „გავანივთ“ სამეცნიერო იდეა გამოყენებად პროდუქტად, თუმცა პარალელურად აუცილებლად გაგრძელდება ფუნდამენტური მეცნიერების დაფინანსებაც.

ვიმეორებ, შედეგები რამდენიმე წელში იქნება ხელშესახები. შეცდომისაგან ზოგადად, დაზღვეული არავინაა, მოგესხენებათ, ვინც არ მუშაობს, ის შეცდომასაც არ უშვებს, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ დღეისათვის ყველა ის რეფორმატორული ნაბიჯი, რაც გადაიდა, საუკეთესო გზაა მეცნიერების განვითარების პერსპექტივის დასახვისთვის.

**— შევაჯამოთ დამოუკიდებლობის 20 წელი მეცნიერების განვითარების კუთხით. რა პერსპექტივებს უსახავს ხელისუფლება სამეცნიერო საზოგადოებას?**

— ამ 20 წლიდან 10-12 წელი, ფაქტობრივად, წინსვლა არ გვექონია. მეცნიერების განვითარებისთვის გარკვეული კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა ბოლო 6 წელია, რაც დაინტერესებს. კრიტიკა არის და იქნება კიდევ, მაგრამ ეს არ არის იმ ტიპის საქმიანობა, რომლის გამოც უნდა გვაკრიტიკონ, სჯობს ყველამ ერთად ვიმუშაოთ და შევიმუშაოთ მეცნიერების მენეჯმენტის უფრო მოქნილი მეთოდები, მოვიპოვოთ დაფინანსების ახალი წყაროები. მაგალითისთვის, არსებობს ევროკავშირის FP-7 ჩარჩო პროგრამა (რომლის ბიუჯეტიც 14 მილიარდი ევროა), არის ამერიკული სამეცნიერო ფონდი NSF (ბიუჯეტი — დაახლოებით 6,8 მილიარდი დოლარი), იაპონიის სამეცნიერო ფონდი JSPS (ბიუჯეტი — დაახლოებით 2,5 მილიარდი დოლარი). ყველა ეს ფონდი საგრანტო პროექტებისათვის ღიაა. გვყავს მეცნიერები, შეგვიძლია კოლაბორაცია, შეგვიძლია ერთობლივი საგრანტო განაცხადების წარდგენა აღნიშნულ ფონდებში, ამიტომ შევეცადოთ მოვიპოვოთ დაფინანსება. მეცნიერი არ უნდა შემოსასხლავროს მარტო საქართველოს სამეცნიერო ფონდებით, მან რაც შეიძლება მეტი კონტაქტები უნდა დაამყაროს, მეტი ინფორმაცია მოიპოვოს და ამით ხელი შეუწყოს მეცნიერების განვითარებას. ამას ემსახურება საზოგადოებრივი და საკონფერენციო გრანტები, რომელსაც ჩვენ გავცემთ. მარტო 2011 წელს, სახელმწიფოს მიერ მსოფლიო დონის 9 სამეცნიერო კონფერენცია დაფინანსდა. სწორედ ასეთი ტიპის ღონისძიებებზე ხდება სამეცნიერო იდეების გაცვლა და კონტაქტების დამყარება, რაც, თავის მხრივ, კარგ ნიადაგს ქმნის მეცნიერების განვითარებისთვის.



ენ. „დიდი გრანტი“ დაიშალა სამი სხვადასხვა ტიპის გრანტად: 1) გრანტი ფუნდამენტური მეცნიერებისათვის (50 ათასი ლარი სამწლიანი პერიოდისათვის); 2) გამოყენებითი ტიპის გრანტები, რომლის შედეგადაც უნდა მივიღოთ პროდუქტი, დასრულებული პროდუქტია, მაკეტი ან პროგრამა, რაც გამოყენებითი მეცნიერების ქოლგის ქვეშ ხვდება (დაფინანსება წელიწადში 100 ათასი ლარი) და 3) ტექნოპარკი, რომელიც ჩვენი შეხედულებით არის ის ადგილი/ლოკაცია, რომელშიც უნივერსიტეტებში (სამეცნიერო რგოლებში) შექმნილი ერთეულოვანი პროდუქტი გამრავდება და საქონლის სახეს მიიღებს.

ტექნოპარკი მომავალში უნდა იქცეს უნივერსიტეტების ერთ-ერთი მთავარი შემოსავლის წყაროდ, ისე, როგორც ეს უცხოეთის ნამყვეან უნივერსიტეტებში ხდება. აქვე უნდა დავძინო — ძველი მეცდომა რომ არ გავიმეოროთ, ეს არ უნდა იყოს ე.წ. „გარანტირებული დაფინანსება“, ეს უნდა მოხდეს სამართლიანი და გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე, უნივერსიტეტის თანადაფინანსებით და/ან ინვესტიციის დაინტერესებით.

საბოლოოდ, თუ შევაჯამებთ, ასეთ

იპარავდნენ, რადგანაც ეს სახურავები მძიმე და ძვირად ღირებული ლითონისგან (თუჯი) იყო დამზადებული და ჯართის მიმღებ პუნქტებში კარგი გასაღება ჰქონდა. რ. აგლადის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში შესრულებული სამეცნიერო კვლევის საფუძველზე, მეცნიერთა ჯგუფმა შეასრულა სამეცნიერო პროექტი, რომლის დამკვეთიც იყო თბილისის წყალკანალი. კერძოდ, მეცნიერებმა ადგილობრივი ნედლეულიდან, ბაზალტის ბოჭკოდან, ჭების სახურავების დამზადებისთვის შექმნეს მასალა, რომელიც მსუბუქი, გამძლე, იაფი და მტკიცეა. ამიტომაც თბილისის წყალკანალმა ამ სახურავებით ჩაანაცვლა თუჯის სახურავი და დღეს უკვე მას აღარავინ იპარავს.

დიდი სამუშაოა ჩასატარებელი იმ კუთხით, რომ მეცნიერს ვასწავლოთ მეცნიერების კომერციალიზაციის ანაბანა: როგორ დააპატენტოს გამოგონება, როგორ დაიცვას მეცნიერული იდეა, რა უნდა იყოს გამოგონების ან სამეცნიერო პროდუქტის შექმნის შემდგომი ნაბიჯი, როგორ განახორციელოს სამეცნიერო ტრანსფერი და ა.შ. ეს საერთოდ არ არსებობდა ხუთი წლის წინ. დღეს გარკვეული კონსტრუქტი უკვე გამოიკვია. ივანე

მოამზადა მაია ტორაქია

# განათლების სისტემის 20 წლიანი ავ-კარგი

ინტერვიუ გია მურულუნიანთან

თუ რამ საიმედოდ უნდა ეჩვენებოდეს ქართველ საზოგადოებას, ესაა უმაღლესი განათლების სისტემაში დაწყებული სერიოზული ძვრები, რასაც საფუძველი 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩაეყარა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია გამოსასწორებელი საშუალო დონის განათლების სისტემაში. ეს, ალბათ, ეროვნული სასწავლო პროგრამის გადახედვასაც მოითხოვს, რათა აღიზარდოს ეროვნული სულისკვეთებით დამოუკიდებელი საქართველოს „მამულებელი“ და, ამავე დროს, ევროპული ღირებულებების მქონე თაობა. აქამდე კი განათლების სისტემაში, ისე, როგორც მთელმა საქართველომ, უმძიმესი პერიოდი გაიარა.

## მაია ტორაძე

საზოგადოებას კარგად ახსოვს 20 წლის წინ ხელისუფლების გადაწყვეტილებები – ჩარიცხულიყო ყველა, ვინც კი არ დაიზარებდა და უბრალოდ განცხადებას შეიტანდა უმაღლეს სასწავლებელში. ეს იყო თუ არა დასაწყისი, არავინ იცის, მაგრამ ამ პერიოდს კი ნამდვილად ემთხვევა საქართველოში განათლების სისტემის რღვევა, რასაც საფუძველი სწორედ იმ გადაწყვეტილებებმა ჩაუყარა, რომელიც მაშინდელმა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლებამ ახალგაზრდობას საკენიკით მიუყარა და ამით მათში პასუხისმგებლობის და ცოდნის შექმნის წყურვილი ჩაკლა.

ამ წლებმა ქვეყანას, ეკონომიკური ზარალის გარდა, მოუტანა ყველაზე შემზარავი რამ — ნიჰილისტური დამოკიდებულება ცოდნის, სკოლისა და უმაღლესი განათლების მიმართ. შედეგებს დღემდე ვიშკით: ამ ნიჰილიზმის გამო საქართველოს დააკლდა პროფესიონალები, დააკლდა მეცნიერები, დააკლდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, იურისტები, ეკონომისტები, პედაგოგები... ეს ჩამონათვალი შეიძლება ბევრს არაფერს ამბობს, მაგრამ ჩვენ ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველა ეტაპზე შევიგრძენით სპეციალისტების ნაკლებობა, შევიგრძენით აუცილებლობა და საჭიროება იმ ადამიანებისა, რომლებსაც სახელმწიფოს მშენებლობაში თითო აგური მაინც უნდა დაედო.

ამ წლებში ყველაზე მეტად ზოგადი განათლების სისტემა დაზარალდა. სკოლამ დაკარგა ფუნქცია, დაკარგა ავტორიტეტი, აღზრდის მთავარი ფასეულობები და გადაიქცა იმ დანესებულებად, სადაც ახალგაზრდას 16 წლამდე საბუთები უნდა ჰქონოდა „შენახული“. მათი ნაწილი ვარკვეული თანხის გადახდის, ნაწილი კი რეპეტიტორებთან სიარულის შემდეგ უბრალო გასაუბრებით ხედებოდა სოკოებივით მომრავლებულ „უნივერსიტეტებში“, სადაც ცოდნას კი არა, სახეუკარ დიპლომს იღებდა. სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის დამაკავშირებელი ძაფი განწყდა. ცალკე იდგა საშუალო განათლება, როგორც სიმბოლური რამ და ცალკე — უმაღლესი განათლება, როგორც განათლებულობის დამადასტურებელი აუცილებლობა და საჭიროება.

რა გზა გამოიარა განათლების სისტემა ამ დღემდე? აღიდავინა თუ არა დაკარგული ფუნქცია? რა ეტაპები გვაქვს გასავლელი საზოგადოების განათლების სისტემის მისაღებად? ამ კითხვებზე გვაპასუხობს ფილოლოგიის დოქტორი, თბილისის 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი გია მურულუნიანი:

— ბატონო გია, თუ საქართველოს დამოუკიდებლობის განვლილ ოცნულულს გავისხენებთ, ალბათ, საჭირო იქნება თვლი გადავავლოთ იმ მოვლენებს, რაც განათლების სისტემის აღორძინებისთვის გავიარეთ. შესაძლებელია თუ არა ამ პერიოდის ეტაპებად დაყოფა და რა შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა მას?

— განათლების სისტემის განვითარების ან ჩამოყალიბების ეტაპები ერთგვარი ანალიზის ან, თუნდაც, გემოვნების საკითხია — ვინ როგორ დაყოფს მას. ერთი რამ კი სრულიად ნათელია: არ არსებობს უნივერსალური და საყოველთაო სისტემა — ისეთი, რომელიც მოერგება ნებისმიერი ქვეყნისა და დროის ინტერესებს. ამიტომ საქართველომ, როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, თავადვე გადაწყვიტა საკუთარი განათლების სისტემის ბედი, დაიწყო ფიქრი, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გააზრებული ეს სისტემა და რა ამოცანები უნდა გადაეწყვიტა.

ბუნებრივია, ყველაფერი კონცეფციების მოფიქრებით დაიწყო. 1989-1990 წლებში, კონკურსიც კი გამოცხადდა და მასხოვს, შეიქმნა იმ დროის შესაბამისი რამდენიმე კონცეფცია, რომელიც ამ გადასახედვად სრულიად აშკარაა, რომ მეტ-ნაკლებად ზედაპირული გახლდათ.

ეს იყო პირველი ეტაპი, რომელსაც პირო-

ბითად გააზრების ეტაპი დავარქვით. ეს ეტაპი გარდაუვალი აუცილებლობა გახლდათ, თუმცა, დღეს ამკარაა, რომ არც ერთ კონცეფციასა და დოკუმენტში სათანადოდ არ იყო განსაზღვრული, ვინ უნდა გადაეხარდა. როდესაც ადამიანთა ჯგუფი განათლების კონცეფციას აყალიბებს, მას გააზრებული უნდა ჰქონდეს, რა ამოცანების გადასაწყვეტად ზრდინა მომავალ თაობას, რას ინარჩუნებენ წარსულიდან და რისი შექმნა სურთ სამომავლოდ. ეს საკითხები იმ ეტაპზე გავმოკვეთილად ვერ დავინახე და ამის შესახებ დისკუსიაც გავმართეთ.

— რა შინაარსი ჰქონდა ამ კონცეფციებს, ყველაფერი უარყოფილი იყო საბჭოთა სასწავლო სისტემიდან? მათ ავტორებს შესწავლილი ჰქონდათ ევროპის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების გამოცდილება თუ მხოლოდ საკუთარი ქვეყნის მიზნებით ხელმძღვანელობდნენ?

— სხვა ქვეყნების გამოცდილება მეტ-ნაკლებად შესწავლილი იყო, მაგრამ მაშინ ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო განათლების სისტემის სტრუქტურაზე: რამდენ საფეხურიანი სწავლება უნდა ყოფილიყო სკოლაში, როგორ უნდა ყოფილიყო ზმა უმაღლეს განათლებასთან და ა.შ. სტრუქტურული ფიქრი წინ უსწრებდა შინაარსობრივ ფიქრს და ეს მთლად კარგი არ იყო, რადგან განათლებაში „ჯერ“ და „მერე“ არ არსებობს, ორივე თანაბარმნიშვნელოვანია. სტრუქტურა მხოლოდ იმის გამომახტველია, თუ რა გზით ფიქრობ დასახული მიზნის მიღწევას, რა სქემა მოერგება უკეთესად შენს მიზნებს, ანუ შინაარსს, მაგრამ ამას მაშინ ნაკლებად აცნობიერებდნენ.

**დაახლოებით 90-იანი წლების ბოლოს შეიქმნა განათლების სისტემის რეფორმის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 22 კომპონენტისგან შედგებოდა. მაშინ საინტერესო ნაბიჯები გადაიდგა განათლების სისტემაში. მთავარი რაც მოხდა, ეს იყო პედაგოგთა პირველი ატესტაცია**

— შემდეგ იყო ზოგადი განათლების შესახებ კანონი, რომელსაც არანაკლები აუქოტაჟი მოჰყვა, რას უწუნებდნენ ამ კანონს?

— 1997 წელს მიიღეს კანონი, რომელიც შემდგომში კიდევ ბევრჯერ შეიცვალა. იყო მცდელობები, შეეცვალათ სკოლის მართვის სისტემა და ეს ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ, თუმცა იმ ეტაპზე ვერც ეს მოხერხდა. უკვე შემდგომ ეტაპზე, კანონში შევიდა ცვლილებები, რომლის შედეგადაც შემოიღეს სამეურვეო საბჭო. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რადგანაც ქვეყანამ გააცნობიერა, რომ ძირითადი დამკვეთი — საზოგადოება, უნდა მონაწილეობდეს სკოლის მართვაში. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა (დღე სკოლაში) 6 მშობელი და 6 მასწავლებელი. ხმის უფლება უნდა ჰქონოდა მოსწავლეთა თვითმმართველობასაც.

მიუხედავად სკოლის მართვის ამ მნიშვნელოვანი სტრუქტურის დაკანონებისა, უნდა გითხრათ, რომ, ჩემი ფიქრით, დღემდე ეს ინსტიტუცია სრულყოფილად ვერ მუშაობს. მის გამართულ მუშაობას ან რაღაც აკლია უფლებამოსილების თვალსაზრისით, ან არადა, ჩვენი საზოგადოება ძალიან ინერტულია, რომ ასეთი ინსტიტუტები გამოიყენოს. სიმართლე გითხრათ, მე უფრო მეორესკენ ვიხრები, რადგანაც ძალიან დაბალი წარმოდგენის ვარ სასკოლო ცხოვრებაში საზოგადოების აქტივობაზე. ამის შესახებ არაერთგზის განმეცხადებია საჯაროდაც. ჩვენი საზოგადოება ვერ გათავისუფლდა იმ მოსაზრებისგან, რომ სახელმწიფო უნდა აკეთებდეს მის ნაცვლად ყველაფერს. ეს აზრი მოქალაქეების დიდი უმრავლესობის ცნობიერებაში ძალიან მყარადაა გამჯდარი. მენტალობა კი ძალიან ნელა იცვლება.

ზოგადად, განათლების რეფორმა, სხვა არსებით მომენტებთან ერთად, არის მენტალობის კორექცია და როცა ამაზე ვლაპარაკობთ, „გამოვარდებიან“ (ეს სიტყვა უნდა გამოვიყენო) ხოლმე ადამიანები, რომლებიც იწყებენ საუბარს — აა, თქვენ ქართველების შეცვლა გინდათ? არა, ბატონო, არავითარი

ქართველის შეცვლა არ მინდა, ძალიან მიყვარს საქართველო და ქართველები, მაგრამ რაღაცები არ მომწონს და ეს ბუნებრივია, რადგან მსურს ობიექტურად შევხედო ყველაფერს. ზოგადად, ყველა გონიერი ადამიანი ცდილობს, ობიექტურად შეხედოს საკუთარ თავს, რათა გააუმჯობესოს საკუთარი გენერაცია, მომავალი.

ჩვენი ამოცანა ის კი არ უნდა იყოს, რომ ჩვენი შეიღები ზუსტად ისეთები გავზარდოთ, როგორც ჩვენ ვართ (იდეალურები რომ არ ვართ, ვიცით), არამედ უკეთესები. კარგად უნდა გვექონდეს შესწავლილი, ვინ ვართ ჩვენ, რანი ვართ, როგორია ჩვენი ხასიათი, რა შევიზარჩუნოთ, რა განვცაახლოთ და რას მივცეთ პოზიტიური განვითარების შესაძლებლობა. მე სწორედ ამაზე მქონდა დავა განათლების სისტემის ზოგიერთ ხელმძღვანელთან. ამ კონცეფციებში და პროგრამებში არ იყო კარგად გააზრებული, ვინ ვართ ქართველები, რა პლუსები გვაქვს



თემის რესპონდენტი  
გია მურულუნიანი

მენტალობაში და რა ითხოვს კორექციას. მაგალითებს გეტყვით: პირველი: ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ — არ ვარ ქართველის დამოკიდებულება დროსთან. ჩვენი თანამემამულეების დიდი უმრავლესობა არც საკუთარ დროს უფროთხილდება და არც სხვისას. ამიტომ სკოლამ უნდა ასწავლოს ახალგაზრდას დროსთან დამოკიდებულება და დროის რაციონალური გამოყენება. აბა, ერთი ჰკითხეთ რომელიმე სკოლას, აკეთებს ამას? მეორე — პიროვნება არ არსებობს ნებისყოფის გარეშე. თუ სკოლას არ აქვს დასახული ამოცანა, რომ ბავშვებში ნებისყოფა ჩამოაყალიბოს, მაშინ ასეთი სკოლა ვერ უპასუხებს უმთავრეს გამოწვევებს. ეს არის სამედიცინო-თეორიული და პრაქტი-

**ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ კარტოზას დროს ყველაზე უკეთესი რაც გაკეთდა, ეს იყო შეფასების სისტემის შეცვლა და ამ კუთხით ევროპული გამოცდილების შესწავლა. მაშინ აქტუალური გახდა ეს საკითხი, რადგანაც შეფასების ითხოვდა განათლების ხარისხი, მასწავლებლის კომპეტენცია, თავად სისტემური მუშაობა**

კული საუბარიც — ამ საკითხთა სათანადო გატეხიერების გარეშე არ უნდა ვმოქმედებდეთ, თუ გვიინდა, რომ იმაზე კარგი სკოლა გვექონდეს, ვიდრე დღეს გვაქვს.

მომდევნო ეტაპზეც რეფორმირების პროცესის მთავარი ნაკლი ის იყო, რომ მათში არ ჩანდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. ჩვენ ვსვამდით კითხვას — როგორ შეიძლება საზოგადოებამ შეაფასოს, რეფორმა წარმატებულია თუ არა, თუ წინასწარ არ აცხადებ, რას ისახავ მიზნად? პასუხი არ კითხვავ არ იყო. სამაგიეროდ, მიმდინარეობდა მომბაზრებელი საუბრები, რომ დამთავრდა პირველი ეტაპი, ახლა გადავდივართ მეორეზე და ა.შ. სად ეწერა, რა იყო პირველი ეტაპის საქმე და რა — მეორესი,

არავინ იცოდა.

დაახლოებით 90-იანი წლების ბოლოს შეიქმნა განათლების სისტემის რეფორმის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 22 კომპონენტისგან შედგებოდა. მაშინ საინტერესო ნაბიჯები გადაიდგა განათლების სისტემაში. მთავარი რაც მოხდა, ეს იყო პედაგოგთა პირველი ატესტაცია, რომელიც მართლა უმძიმეს პირობებში ჩატარდა — ზოგიერთ პედაგოგს 10-12 თვის ხელფასი ჰქონდა ასაღები. მიუხედავად ამისა, საერთო გააზრებისა და განხორციელების თვალსაზრისით, ეს ეტაპი მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა განათლების რეფორმის ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად მიიჩნიეს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ არც ეს პროგრამა იყო სრულყოფილი. მისი 22 კომპონენტიდან, არც ერთი არ ეხებოდა მასწავლებლის მდგომარეობის გაუმჯობესებას და მის პროფესიულ განვითარებას, რაც იმას აღნიშნავდა, რომ განათლების რეფორმის „გვერდიდან ცქერა“ უშედეგო აღმოჩნდებოდა. პირველი, ვინც განათლების ხარისხს უზრუნველყოფს, ეს პედაგოგია და ეს დადასტურებულია დღევანდელი კვლევებითაც — კარგ შენობაზე, კარგ აპარატურაზე, კარგ სახელმძღვანელოებზე უფრო მეტად განათლების ხარისხს კარგი პედაგოგი განაპირობებს. ამას ბევრი კვლევა არ სჭირდება, მაგრამ კარგია, რომ ეს კვლევებაც დადასტურა. მე მაშინაც ვითხოვლობდი — ნუთუ შეიძლება განათლების სისტემაში იყოს 22 უფრო მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე არის მასწავლებლის კვალიფიკაცია? მაგრამ, მოგეხსენებათ, ადამიანები, რომლებიც სათავეში სხედან, ძალიან ხშირად მიიჩნევენ, რომ ყველაზე ჭკვიანები არიან.

შევარდნადის პერიოდის მინისტრების საერთო სენი გახლდათ ის, რომ ყოველი ახალი მინისტრი ახალ რეფორმას იწყებდა. ასე მოხდა განათლების სისტემაშიც, როცა მინისტრად ალექსანდრე კარტოზია დაინიშნა. სწორედ მის დროს მომზადდა 600 გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც ჯერ მთავრობამ, ხოლო შემდეგ პარლამენტმაც დაამტკიცა. სიმართლე გითხრათ, მსგავსი „აბრაკადაბრა“ არ ნამიკითხავს და ოქტონისა და ჯერომ ჯერომის ნაწარმოებების ნაკითხვის შემდეგ ამდენი არ მიცინია. ეს იყო სრული გაუგებრობა და ეჭვი მაქვს, რომ ეს დოკუმენტი თვით ბატონ ალექსანდრე კარტოზიასაც არ ჰქონდა ნაკითხული, თორემ გონიერი კაცია და იმას მაინც მიხვდებოდა, რომ მასში მთელი გვერდები მეორედებოდა.

მასხოვს, ამ დოკუმენტშიც ფრაზების ნაკითხვისას პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე მთელი დარბაზი ხარხარებდა. ერთმა ოპოზიციის წარმომადგენელმა მთხოვა, თუ კაცი ხარ, ამისხენი აქ რა წერია, 600 გვერდს რა ნაკითხავს. ავუსხენი და სულ თავის ქნევით გამოხატავდა სინანულს, ეს რა დაუნერიათო... იმავე საღამოს ამ ადამიანმა პარლამენტში ამ აბდა-უბდის მიღებას მხარი დაუჭირა. ერთ-ორი გამოხატულების გარდა, არაფერი სერიოზული ამ დოკუმენტში არ ეწერა და ვერც ვერაფერს შეცვლიდა განათლების სისტემაში. ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ კარტოზიას დროს ყველაზე უკეთესი რაც გაკეთდა, ეს იყო შეფასების სისტემის შეცვლა და ამ კუთხით ევროპული გამოცდილების შესწავლა. მაშინ აქტუალური გახდა ეს საკითხი, რადგანაც შეფასებას ითხოვდა განათლების ხარისხი, მასწავლებლის კომპეტენცია, თავად სისტემური მუშაობა და ა.შ.

— როდის დაიწყო რეალურად განათლების სისტემის რეფორმირება და რა მნიშვნელოვანი ძვრები მოჰყვა ამას?

— განათლების სისტემის რეალური რეფორმირება დაიწყო „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ. პირველივე წელს დაწესდა ერთიანი ეროვნული გამოცდები, რამაც, ფაქტობრივად, დაასამარა კორუფცია და საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისა და სწავლების მიმართ სახელმწიფოსა და საზოგადოების მოთხოვნა გაზარდა. ამ ეტაპის წარმატებით ჩატარებას დიდი გამოცდა და ძალისხმევა დასჭირდა საზოგადოებრივი დონის მოპოვების თვალსაზრისით. შედეგი მართლაც შთამბეჭდავია და დღეს უკვე აღარავის აეჭვებს ერთიანი ეროვნული გამოცდების საჭიროება.

მნიშვნელოვანი იყო პირველივე ეტაპზე ეროვნული სასწავლო პროგრამის ახლებურად გააზრების პროცესის დაწყება და

# განათლების სისტემის 20 წლიანი ავ-კარგი

მეოთხე გვერდიდან

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების გაზრდა, რასაც მთლიანად დაეყრდნო განათლების სისტემა.

ახალი ხელისუფლების მოსვლის პერიოდში დაიწყო სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნვა. გახსოვთ, რომ მანამდე სკოლებში გათბობა კი არა, ფანჯრებიც არ იყო, ახლა კი სკოლა მეტ-ნაკლებად სკოლას დაემსგავსა. ესეც აუცილებელი ნაბიჯი იყო, რადგან ერთი ხარისხის საკითხი და მასწავლებელთა კომპეტენცია და მეორე — გარემო, სადაც ბავშვს სწავლა უნევს.

ბოლო პერიოდში, ასევე, დაიხვეწა ეროვნული გამოცდების სისტემა და შემოვიდა სასკოლო საატესტატო გამოცდები, რამაც სკოლას დაუბრუნა თავისი პირვანდელი ფუნქცია და საზოგადოებრივი აზრი მისკენ მოაბრუნა. საქმე ისაა, რომ ქართული საზოგადოება რატომღაც სკოლას შესაფერისად არ აფასებს. მისთვის უმაღლესი განათლება მნიშვნელოვანია, სასკოლო განათლება კი — ისე რა. არადა, ყველა საერთაშორისო საგანმანათლებლო დოკუმენტი, რაც ბოლო დროს შეიქმნა, ადასტურებს, რომ სახელმწიფოსთვის ზოგადი განათლება არის საგანგებო მნიშვნელობის სფერო.

ბოლო დროს დიდი ყურადღება მიექცა პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას და ეს ძალიან კარგია, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლების გარეშე მართო მონოდებებით ფონს ვერ გავაღოთ. მასწავლებელს უნდა უღირდეს ძალისხმევას განევა სერტიფიცირებისთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ახალმა ხელისუფლებამ დაარეგულირა, ისაა, რომ ბოლოს და ბოლოს მოგვარდა სახელმძღვანელოების საკითხი. შეიქმნა შესაბამისი კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი ფორმატი, რომლის ფარგლებშიც უნდა შეირჩეს სათანადო ხარისხის (როგორც შინაარსობრივად და მეთოდოლოგიურად, ისე — ტექნიკური პარამეტრებით) სახელმძღვანელოები და ესეც ძალიან კარგია. კუროზი იყო, რომ 10 დედა ენა გვექონდა. ამდენი ალტერნატივა საჭირო არ იყო. არ გვყავს ჩვენ ამ სფეროში შესაფერისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ადამიანები, რომ ამდენი ალტერნატივა გვექონდეს. ამ მხრივ მოთხოვნები გამკაცრდა — ვიმეორებ, როგორც შინაარსის, ასევე, მეთოდოლოგიის და გამოცემის თვალსაზრისით.

— თქვენ ზემოთ ახსენეთ, რომ ზოგადი განათლების მიზნებში განსაზღვრული უნდა იყოს, ვის ვზრდით. ადრე ვზრდით მომავალ ექიმს, მომავალ პედაგოგს და ა.შ. არავინ ფიქრობდა, მისი შვილი კარგი მშენებელი და კარგი მექანიზატორი ყოფილიყო. დღეს თუ არის განსაზღვრული, ვის ვზრდით, ანუ ვის ზრდის სკოლა?

— სწორედ ესაა ჩამოყალიბებული დოკუმენტში, რომელსაც ჰქვია „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ და ამაზე საუბარი ჩემი სკოლის მაგალითზე შემიძლია.

ვინ არის დღეს ის ადამიანი, ვისაც ჩვენ აქ ვზრდით (ამ შემთხვევაში საინტერესოა არა მხოლოდ მომავალი პროფესია, არამედ არსებითად — პიროვნული რობა), როცა სასწავლო წლის დასაწყისში პირველკლასელთა მშობლებს ვხვდებით, ვცდილობ, ნათლად ჩამოვყალიბო მათ წინაშე, რას ვუპირებ მათ შეილეს უახლოესი 12 წლის განმავლობაში. უმჯობესია, ასეთ დროს ოჯახიც და სკოლაც შეთანხმებულ პოზიციაზე დადგეს, რადგანაც უერთმანეთოდ ჩვენ ბავშვის აღზრდა გაგვიჭირდება. სიტყვა „აღზრდა“ ხანდახან განზე გვრჩება და სიტყვა „სწავლება“ უფრო დიდ დატვირთვას ვაძლევთ. არადა, ორივე საჭიროა.

სკოლაში, პირველ რიგში, კარგი ადამიანი და კარგი ქართველი უნდა აღიზარდოს, რადგან ეს არის ქართული სკოლა. აქ შეუძლებელია კარგი გერმანელი ან კარგი ამერიკელი გავზარდოთ, მაგრამ რას ნიშნავს ეს კარგი ადამიანი და საქართველოს კარგი მოქალაქე, უკვე სხვა საკითხია. მე რომ ამ განათლების პროგრამას სხვებთან ერთად წინ დავიდე და ფიქრს დავიწყებ, როგორ მივალწიოთ იმას, რაც აქ წერია, ამის შემდეგ იწყება ყველაფერი. თუ განსაზღვრული არ არის, რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, როცა საკლასო ოთახში შევა, ყველა კარგი იდეაც კი მკედრად მოხდება.

ჩვენი მიზანია: 1) გავზარდოთ კარგი ქართველი მოქალაქეები; 2) გამოვუმუშავოთ ნებისყოფა, რომ თვითონ ბატონობდნენ სურვილებზე და არა სურვილები — მათზე; 3) ჰქონდეთ სერიოზული საკონკურენციო მდგარობა, რადგან მთელი ჩვენი ცხოვრება კონკურსად იქცა. ბავშვი უნდა შეეჩვიოს, რომ ადამიანის ცხოვრებაში წარმატებებიც არის და წარუმატებლობებიც. მათ უნდა შეძლოთ ამის გამკლავება და ეს სკოლამ და ოჯახმა ერთად უნდა გააკეთონ. ჩვენი მიზანია, ბავშვი სკოლიდან რეალური ცხოვრე-



განათლების სისტემის რეალური რეფორმირება დაიწყო „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ. პირველივე წელს დაწესდა ერთიანი ეროვნული გამოცდები, რამაც, ფაქტობრივად, დაასამარა კორუფცია და საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისა და სწავლების მიმართ სახელმწიფოსა და საზოგადოების მოთხოვნა გაზარდა.

ბისთვის მომზადებული გავიდეს.

ახლანდელი საგანმანათლებლო სისტემა სკოლებში ხელს უწყობს ზოგადი განათლების მიღებას. ხანდახან აპროტესტებენ ხოლმე — რატომ უნდა ჩავაბარო ამდენი გამოცდა, როცა სულ 4 საგანი მჭირდებაო. ეს არის სრული აბსურდი. ზოგადი განათლება ჰქვია იმას, რომ რა საგანთა ჩამონათვალიც არსებობს, ყველა ავითარებს შენში საჭირო თვისებებს და გაძლევს განათლებას. მაგალითად, შესაძლოა, მათემატიკა არ გამოგადგოს იმ თვალსაზრისით, რომ ეს საგანი ჩასაბარებელი არ გქონდეს უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ იმას, რასაც მათემატიკის შესწავლა აკეთებს ადამიანის გონებრივი განვითარებისთვის, ვერაფერი შეცვლის. ეს არის პედაგოგიკის კლასიკოსების აქსიომატური დებულება და ზედმეტი განხილვები არ სჭირდება.

ზემოჩამოთვლილი ყველა პროცესი რთულია და მოითხოვს ადმინისტრაციის, პედაგოგების, მშობლების ერთობლივ ძალისხმევას, რათა საბოლოო მიზნამდე მივიდეთ. სკოლა არ არის მხოლოდ იატაკი, საკლასო ოთახი და კომპიუტერი. სკოლა სულსკვეთება და ერთი ვექტორით წარმართული ფიქრი მიზანმიმართული მსვლელობისთვის.

— ხშირად გვესმის, რომ შვილებს ქუჩისთვის ვიმეტებთ, რადგანაც სკოლის შემდეგ არ არის მათი დასაქმების ან სწავლებისთვის შესაფერი გარემო. თქვენ როგორ ფიქრობთ, არის თუ არა დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაში ლოგიკური ბმა უმაღლეს სასწავლებელთან?

— დღევანდელი საგანმანათლებლო სტრუქტურა ისეა გააზრებული, რომ სასკოლო ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმა მყარ საფუძველს ქმნის უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის ასათვისებლად. უმაღლესი განათლების სისტემაში კი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ შემოვიღეთ ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. ბოლონის პროცესი, სხვა მნიშვნელოვანი საკითხებთან ერთად, არსებითად ასეთ ნაბიჯს გულისხმობდა. ცხადია, ამას მართო სტრუქტურული დაყოფის სახე არ უნდა ჰქონდეს. ეს უმაღლესი განათლების შინაარსშიც აისახება. შეიცვალა უმაღლესი სკოლის მართვის სისტემა, იგი უფრო დემოკრატიული გახდა.

— თქვენი აზრით, რა არის დღევანდელი უმაღლესი სასწავლებლების მიზანი, ვინ უნდა გამოუშვას მან — კონკურენტუნარიანი პროფესიონალი თუ უბრალოდ, განათლებული ადამიანი?

— ადამიანის აღზრდის ამოცანა ზოგადი განათლების საქმეა. თუ სკოლის დასრულების შემდეგ ადამიანი პიროვნულად ჩამოყალიბებული არ არის, ძნელია უმაღლეს სკოლას ეს მისია დააკისრო. იქ უფრო სპეციალიზაციის მისიის შესრულება ხდება. უმაღლესი სკოლის მიზანია, მოამზადოს ეკონომიკის, კულტურის და, ზოგადად, ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო კვალიფიციური სპეციალისტი. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ბაზარზე უნდა იყოს ორიენტირებული. ჩვენ უნდა შევისწავლოთ დასაქმების ბაზარი, რომ ვიცოდეთ, სად, რა და რამდენი სპეციალისტი გვჭირდება. დღეს საქართველოში ჭარბი სამუშაო ძალაა, რომელიც ხანდახან საჭიროა იმისთვის, რომ ქვეყანაში კონკურენცია არ

დაეცეს, მაგრამ ზედმეტი კონკურენტული ძალა ცუდია.

— აქედან გამომდინარე, თქვენ ამართლებთ ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომ აქცენტს უზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებაზე აკეთებს?

— ასეთი აქცენტები ძალიან არსებითია, რადგან განათლების პოლიტიკის გატარება სწორედ ამ საჭიროებების შესწავლას და პრიორიტეტების გამოკვეთას გულისხმობს. მე პუბლიცისტი ვარ და მომწონს ეს სფერო, მაგრამ ის მიმართულებები, რაც ბოლო ოცწლეულის განმავლობაში ჩამორჩა, ძალიან ოპერატიულად საჭიროებს გამოსწორებას.

ამის დასადასტურებლად გავიხსენებ: მიუხედავად წელიწადნახევრის წინ გაკეთებული განცხადებისა, რომ მოსწავლეებს გამოცდების ჩაბარება მოუწევდათ ყველა საგანში, ახლახან სკოლებში დასრულებულმა წინასწარმა ტესტირებებმა საკმაოდ ცუდი შედეგები აჩვენა ფიზიკაში, ქიმიაში და სხვა საბუნებისმეტყველო საგნებში. ეს ნიშნავს, რომ პრობლემა გვაქვს არა მხოლოდ მოსწავლეებში, არამედ მასწავლებლებშიც.

ეს განათლების პოლიტიკისა და განათლების ფილოსოფიის სფეროა უკვე დიდი ხნის მძევს, განათლების სისტემის რეფორმირების ამ ეტაპზე უკვე ამასაც მიექცევა ყურადღება.

— და ბოლოს, შევფასოთ, რა შედეგები მივიღეთ განათლების სისტემაში საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავზე. ზემოთ აღნიშნული ეტაპები გასავლელი იყო თუ ჩვენ ზედმეტად გავიარეთ ისინი? რა ეტაპზე ვართ ახლა, გვაქვს პერსპექტივა, რომ განათლების სისტემა საქართველოში საფუძვლიანი და ფუნდამენტური გახდეს?

— პერსპექტივა გვაქვს. ვფიქრობ, ბოლო დროს ადეკვატური ნაბიჯები გადაიდგა. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ყველაფერი კარგადაა, მაგრამ აქცენტები მასწავლებელთა კომპეტენციაზე, განათლების ხარისხზე, თანამედროვე ტექნოლოგიის დამკვიდრებასა და სახელმძღვანელოებზე, სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებია. დღევანდელი სკოლა უკვე ფიქრს აჩვენებს ახალგაზრდას, რაც ძალიან კარგია. ამას წინათ ჩვენმა სკოლამ გამართა ღონისძიება — „საჯარო ფიქრი გიორგი მთაწმინდელზე“. აღფრთოვანებული დავარჩი, რადგანაც ცხადად დავინახე, რომ ეს არის თაობა, რომელიც ფიქრობს.

სხვათა შორის, ამ ღონისძიებაზე მივიღეთ გადაწყვეტილება და მიგმართეთ ხელისუფლებას, რომ გაკეთდეს „ქართული დიდების ხეივანი“, სადაც წარმოდგენილი იქნება იმ ადამიანების ბიუსტები, რომლებმაც შექმნეს ქართული ოცნება, ქართული იდეა. ასეთი შეიძლება იყოს 15-20 ადამიანი, რამდენიმე მეფე, მმართველი და საზოგადო მოღვაწე. აქ არა ერთი საინტერესო ღონისძიების გამართვა შეიძლება. თუ ამ აზრს გაიზიარებენ, ისიც ძალიან საინტერესო იქნება, საზოგადოება რომელ ქართველ მოღვაწეებს მიიჩნევს „ქართული დიდების ხეივანში“ დავანების ღირსად.



ბოლო დროს ადეკვატური ნაბიჯები გადაიდგა. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ყველაფერი კარგადაა, მაგრამ აქცენტები მასწავლებელთა კომპეტენციაზე, განათლების ხარისხზე, თანამედროვე ტექნოლოგიის დამკვიდრებასა და სახელმძღვანელოებზე, სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებია. დღევანდელი სკოლა უკვე ფიქრს აჩვენებს ახალგაზრდას, რაც ძალიან კარგია.

# დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ახალი თაობა

20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო და საბჭოთა კავშირის უღლისგან გათავისუფლდა. ახალგაზრდობა, რომელიც მაშინ თავისი ქვეყნის გათავისუფლებისთვის იბრძოდა, საკმაოდ კარგად აცნობიერებდა იმ ვალდებულებებს, რაც მათ ისტორიის იმ მძიმე პერიოდში ჰქონდათ დაკისრებული. მათ საკუთარი მოვალეობა ქვეყნის წინაშე ღირსეულად შეასრულეს. დღეს კი, დამოუკიდებლობის მიღებიდან 20 წლის თავზე, ქვეყანაში განსხვავებული და არანაკლებ აქტიუალური პრობლემებია, როგორცაა დემოკრატია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, გლობალიზაცია. ეს პერიოდი ისტორიისათვის ძალიან მცირეა, განსაკუთრებით კი არასაკმარისია იმისათვის, რომ ახალბედა დამოუკიდებელი ქვეყანა, დღეს არსებულ რთულ საერთაშორისო ვითარებაში, გაძლიერდეს და სხვა სახელმწიფოებისთვის ანგარიშგასაწიფი გახდეს. XXI საუკუნის თანამედროვე, დამოუკიდებელი საქართველოს ახალგაზრდობის წინაშე დღეს უკვე განსხვავებული გამოწვევები დგას, ვიდრე 90-იან წლების დასაწყისში. ახალ თაობას განსხვავებულ გარემოში უნდა ცხოვრება, აღარ არსებობს საბჭოთა „რეჟიმის ფარდა“, არსებობს ინტერნეტი, გახსნილია საზღვრები, პრობლემას არ წარმოადგენს ნებისმიერი ინფორმაციის მიღება, შესაბამისად იგი მულტიკულტურულ გარემოში ცხოვრობს. თანამედროვე ახალგაზრდობის ცნობიერება ისეთ გარემოში ყალიბდება, როდესაც ეროვნულს თანდათან სხვადასხვა ქვეყნის კულტურების დამახასიათებელი თვისებები ეხამება. გლობალიზაციის საერთო მორევში ახალ თაობას საერთაშორისო მოთხოვნილებებისთვის ფეხის აწყობა და ტრადიციების, ეროვნულობის შენარჩუნება ერთდროულად უნდა. მაინც რა ღირებულებების მატარებელია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი — ახალი თაობა, ამ თემაზე თავის მოსაზრებას გვიზიარებს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფსიქოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი ნოდარ ბაქაძე.

## ნათო მობლაძე

— ბატონო ნოდარ, როგორია თანამედროვე ქართველი ახალგაზრდის ფსიქოლოგიური პორტრეტი და რით განსხვავდება იგი საბჭოთა პერიოდის ახალგაზრდისგან?

— საქართველო ბოლო საუკუნეების განმავლობაში ძალიან მცირე ხანს იყო დამოუკიდებელი. XIX საუკუნის დასაწყისიდან კი რუსეთის კოლონია გახლდათ. მანამდე, ცალ-ცალკე სამეფოებად დაყოფილ საქართველოში ეროვნული თვითშეგნების საკითხი ძალიან აქტიუალური იყო. ეროვნული მუხტი საბჭოთა პერიოდში არც შენელებულა. ამის ბევრი მაგალითი შეგიძლია მოვიყვანოთ. 20-იანი წლების აჯანყების გარდა გავიხსენოთ, თუნდაც, 1956 წლის გამოსვლები. 70-იანი წლებიდან დისიდენტური მოძრაობა გააქტიურდა, მნიშვნელოვანი იყო 1978 წლის 14 აპრილი — ენის დაცვის დღე. ასე რომ, მთელი საქართველოს ოცნება ყოველთვის ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გახლდათ. ჩვენთან ეროვნულობა და სახელმწიფოებრიობა სხვადასხვაგვარად ესმოდათ. სამწუხაროა, მაგრამ ახლაც ასეა. ეს იმ დისკუსიებში გამოჩნდა, როდესაც კამათობდნენ — ჩაინეროს თუ არა პასპორტში ეროვნება — ქართველი. პატრიოტი ქართველების უმრავლესობა თვლის, რომ თუკი პასპორტში ეთიკურად ქართველი არ იქნება მითითებული, ამით ეროვნება დაიკარგება. ეს მცდარი მოსაზრებაა და ნიშნავს ეროვნულობის ეთნიკურ და არა დემოკრატიულ და დასავლურ გაგებას. თუ ადამიანი თავის იდენტობას ჩვენს სახელმწიფოში პოულობს, რა წარმოშობისაც უნდა იყოს ის, — თანამედროვე გაგებით მაინც ქართველია. ეთნიკურ ნიშნავს ყურადღების ზედმეტი კონცენტრაცია არის იმის მიზეზი, რომ დღეს ტერიტორიის 20% დაკარგული გვაქვს, თუმცა კონფლიქტების ძირითადი მიზეზი ეს არ ყოფილა. საბჭოთა კავშირის დროს ძალიან მწვავე იდგა ეთნიკურობის პრობლემა და აუცილებელი იყო ამაზე ყურადღების გამახვილება. დღეს, როდესაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოპოვებული გვაქვს, პატრიოტიზმი სულ სხვა რამეში უნდა გამოვიჩინოთ და არა პასპორტში ეროვნების მუხლის შეტანაში. ვინაიდან ეს ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის ჩვენგან გარიყულად იქნება აღქმული, ვერც სახელმწიფოს ერთიანობას შეუწყობს ხელს და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვისაც შებრკოლების ლოდინ იქნება. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიპოვოთ შინაგანი ძალა და მულტიკულტურულ გარემოში, ყველა თანამოქალაქესთან ერთად უნდა ვაშენოთ დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო.

წინა საუკუნის 50-60-იან წლებში ქართულ ახალგაზრდობაში აშკარად გაიზარდა ეროვნული თვითშეგნება. 70-იან წლებში ის კიდევ უფრო გამოიკვეთა დისიდენტურ მოძრაობაში, ხოლო „პერესტროიკის“ მერე, 80-იან წლებში კულმინაცია მიიღწია. დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითშეგნებისთვის ბრძოლის ეს ბოლო ტალღა, სწორედ ჩვენს უნივერსიტეტში აგორდა. იმჟამინდელი დისკუსია — ჯერ დამოუკიდებლობა უნდა გვექონდეს და შემდეგ დემოკრატია, თუ პირიქით, დღესაც აქტიუალურია. თუმცა, გვაქვს დამოუკიდებლობა, მაგრამ ნამდვილ დემოკრატიაზე ბევრი გვი-



თემის რესპონდენტი  
ნოდარ ბაქაძე

კლია. მაშინ პირველ რიგში დამოუკიდებლობის მიღება სურდათ. ეს ფსიქოლოგიურად გასაგები იყო, რადგან, სწორედ, დამოუკიდებლობა გვაკლდა, დემოკრატია კი ჩვენგან ისე შორს იყო, რომ ამაზე ნაკლებად ვფიქრობდით. გვეგონა, რომ დამოუკიდებლობა იმთავითვე დემოკრატისაც მოგვითქვანდა. ჩემი აზრით, დღევანდელი ახალგაზრდობა ბევრად უფრო აქტიურია, ვიდრე თუნ-დაც 80-იანი წლები. ზოგადად, დღეს ახალგაზრდობაში ეროვნულმა თვითშეგნებამ სახე იცვალა და ისეთივე არ არის, როგორც საბჭოთა პერიოდში. ეს გასაგებიცაა, რადგან ამჟამად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უკვე რეალობაა და „პატრიოტიზმიც“ სხვაგვარადაა გაგებული. დღეს პატრიოტიზმი — მია, მაგალითად, კარგი განათლების მიღება და ქვეყნის სამსახურში ყოფნა. დღევანდელ სტუდენტს მეტი შანსი აქვს წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში. მაგრამ, მაინც ჩამორჩება საბჭოთა დროის სტუდენტს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ არ არსებობდა „ცდუნების“ ისეთი საშუალებები, როგორცაა კომპიუტერი, ინტერნეტი, მობილური და ა.შ. და შესაბამისად, დროც უფრო მეტი ჰქონდა სტუდენტს წინის საკითხად.

— არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს, სამოქალაქო საზოგადოება კი დემოკრატიის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია. რა ვითარებაა ამ მხრივ ახალგაზრდობში, რამდენად აქტიურები არიან ისინი ამ მიმართულებით?

— ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ვერ გავიზიარებ. ცვლილებები ნამდვილად არის, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ შორს ვართ. ის უცნაური ფაქტი, რომ „ორ ქართველს სამი პარტია აქვს“, როგორც წესი ნეგატიურად აღიქმება. მეზობელ ქვეყნებში ასეთი ძლიერი აზრობა სხვადასხვაობა არ არის. რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, ამ საქმეში ახალგაზრდობის წინსვლა უსათუოდ იგრძობა.

— დღეს საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დგას, დარღვეულია მისი ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონია, დემოკრატიული

ღირებულებები არ არის დაცული, ახალგაზრდობა განსხვავებული პრობლემებია, ვიდრე 90-იანი წლების დასაწყისში. ახალგაზრდობა თუ პასუხობენ იმ გამოწვევებს, რასაც დღეს მათგან ქვეყანა ითხოვს?

— ახალგაზრდობს ამაზე ნაკლები პასუხი უნდა მოვთხოვოთ. კითხვა ასე უნდა დავსვათ — რა გავაკეთებ ჩვენ იმისთვის, რომ ახალგაზრდობა თავის მხრივ უპასუხონ ამ გამოწვევებს. ბევრი ახალგაზრდა ამას გვსაყვედურობს და ეს სწორია. ჩვენს ქვეყანას ყველა სფეროში სჭირდება პროგრესი და ვფიქრობ, რომ ახალგაზრდობის მთავარი გამოწვევა განათლების მიღებაა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ჩვენ გავაჩინა, ქართველი ახალგაზრდობის მისწრაფება განათლებისკენ. სახელმწიფომაც უფრო დიდი წვლილი უნდა შეიტანოს ამ საქმეში, ვიდრე დღეს შეაქვს. განათლებაზე საუკეთესო სტრატეგია არ არსებობს ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა — და როცა საქმე საქმეზე მიდგება, კმედიითი ქომაგიც კი არ აღმოაჩნდება ხოლმე ამქვეყნად.

ჩვენ მიკედლებასაც ვართ მიჩვეული, ხან სპარსებს, ხან თურქებს, ხან რუსებს და ახლა ამერიკელებს ვეკედლებით. ყოველთვის კარგია, როცა მეგობრები გყავს, მაგრამ მეგობრებისთვის შენც სასურველი უნდა იყო, ანუ ისე გაძლიერდეს განათლებით, კულტურით, მეცნიერებით, თვითმყოფადობით, გონიერებით, ცნობიერებით, ახლის მიღების უნარით და ჯანსაღი წარსულის არდაკარგვით, რომ სხვამ, როგორც თანასწორი პარტნიორი, ისე აღიქვას. ამ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის სიმცირეს და მოსახლეობის რიცხვს მნიშვნელოვანად არ ექნება. ქვეყანა ყოველმხრივ მიმზიდველი უნდა გავხადოთ აფხაზის, ოსის, ამერიკელის, გერმანელის თუ სხვათათვის. მე განათლებაში და მასზე ზრუნვაში ვხედავ ამის ყველაზე დიდ პოტენციალს. თავდაცვა აუცილებელია დღეს და უგუნური უნდა იყო, რომ ეს უარყო, მაგრამ განათლება, როგორც სტრატეგია, კარგი თავდაცვის საწინდარია. თავდაცვა მარტო იარაღი კი არ ხდება, არამედ ინტელექტი, გონებით, განათლებით და ეს პატარა ერებმა უკვე დაამტკიცეს. მაგალითად, ბალტიისპირელები, რომლებსაც სამხედრო ძალა არ ჰქონდათ, რუსეთის აგრესიას სწორედ ამით გაუმკლავდნენ.

— თანამედროვე ქართველი ახალგაზრდობს გლობალიზაციის ეპოქაში უნდა ცხოვრობა და ჩამოყალიბება. გლობალიზაცია კი თავის მხრივ საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას. როგორ შეიძლება ამ შემთხვევაში „ოქროს შუალედის“ პოვნა?

— თუმცა გლობალიზაცია პირდაპირ არ ებრძვის ეროვნულ იდენტობას, მაგრამ ამავე დროს ის ეროვნული ჩარჩოების გადალახვას გულისხმობს. არ დაგვაფინყდეს, რომ ერთი უკიდურესობაა საკუთარ ჩარჩოებში ჩაკეტვა და მეორე — ეროვნულზე უარის თქმა. ჭეშმარიტება, როგორც წესი, შუაშია. აუცილებლად უნდა დავაფასოთ ჩვენი დიდი წარსული ყოველთვის, მაგრამ დღეს მხოლოდ ამით ვერ ვისაზრდებით. წარსული იმპულსის მიმცემი უნდა იყოს და არა მხოლოდ ტრადიციის საფუძველი. დასავლეთიდან ყველაფერი აზროვნების ეული ფილტრის გარეშე რომ შემოვუშვათ, ესეც არ იქნებოდა სწორი. ახლის მიღება იდენტობის და წარსულის შენარჩუნებით არის მართებული. ახალგაზრდა, რომელიც სწორად ვითარდება, ამას ძალიან

მალე მიხვდება. ჩვენ დღევანდელ სტუდენტობას ბევრი უპირატესობა აქვს საბჭოთა პერიოდის სტუდენტობასთან შედარებით. გაიხსნა საზღვრები, ქართველებმა გაიცნეს მსოფლიო... ეს კი აუცილებელი პროცესია, რომ საკუთარი იდენტურობა გააცნობიერო. როცა თქვენ სხვათა პოზიციასაც ეჯახებით, საკუთარ პოზიციაც უკეთ აცნობიერებთ. რა არის ქართველობა, ვინ ვართ და რა გვინდა, ამას უფრო კარგად გავიზრებთ, როცა სხვებსაც გავიცნობთ. შედარება, ურთიერთობა, სხვებთან კომუნიკაცია აუცილებელი პირობაა, რომ აშენდეს იგივე სამოქალაქო საზოგადოება, განვითარდეს თანამედროვე სახელმწიფოებრიობა.

— ახალ თაობას როგორ დამოკიდებულა აქვს ტრადიციების მიმართ?

— დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, ჩვენთან, რა თქმა უნდა, იკლებს ის მუხტი, რომ ტრადიციებზე იყოს ორიენტაცია. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობში არის დიდი ჯგუფები, რომლებიც სწორედ იმის გამო, რომ სხვა ალტერნატივა გამოჩნდა, ტრადიციებზე და წარსულზე უფრო მეტად გახდნენ კონცენტრირებულნი.

ვფიქრობ, თუ ტრადიციას კი არ შევებრძობებით, არამედ ჯანსაღი ფორმით შევინარჩუნებთ და გამოვიყენებთ, მაშინ ის მომავლისთვისაც გახდება ნაყოფიერი. მაგალითად, ჩვენ გვაქვს გენიალური ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, რომლებიც სხვა ერებმაც დააფასეს. ჩვენმა ტრადიციებმა იმდენს გაუძლო, რომ მომავლაც გაუძლებს.

ტრადიციებს თუ დავეყრდნობთ მაშინ ფუნდამენტალიზამდე მივალთ, მაგრამ თუ ტრადიციას საერთოდ მოვსპობთ, მაშინ ძირები მოგვეყრება და ისევე წაიქცევით, როგორც ფესვებს მოწყვეტილი ხე. ერთი ცნობილი ფრანგი მოაზროვნის გამოთქმაა — „ისტორიიდან ფერფლი კი არ უნდა ავიღოთ, არამედ ცეცხლი“. ამიტომ მიმაჩნია, რომ წარსული არ დიკარგება მხოლოდ მაშინ, თუ მას განვავითარებთ და მოვუვლით. ახალგაზრდებს ცხოვრება თანდათან დაანახებს, რომ წარსულის გარეშე არ არსებობს მომავალი, მაგრამ მომავლის გარეშე წარსულს აზრი არ აქვს.

— როგორ დაახასიათებთ თანამედროვე ქართველ ახალგაზრდობას?

— თანამედროვე ქართველი ახალგაზრდა ძალიან აქტიურია, ხშირად საკუთარი ძალებით ცდილობს ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრებას. საბჭოთა პერიოდში იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც მხოლოდ სხვაზე იყვნენ დამოკიდებულები, ასეთები დღესაც არსებობენ, თუმცა უფრო ცოტანი. რასაკვირველია, არსებობს საფრთხე, რომ ახალი თაობის ნაწილი ფესვებს მოწყდეს, მაგრამ მათი ჯანსაღი ბირთვი არც ქართულ კულტურას დაივიწყებს, ახალსაც მიიღებს და თავისი ქვეყნის მომავალსაც ააშენებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა ერთი ნაწილი ძალზე თანამედროვეა, მეორე, უფრო რელიგიური და ტრადიციებზე ორიენტირებული. მათ შორის ხშირად იმართება კამათი და ეს აუცილებელი პროცესია. რაც უფრო განსხვავებული და მრავალფეროვანია ამ საკითხებისადმი მიდგომა, მით უფრო მეტია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების შანსი. სწორხაზოვანი და შავ-თეთრი აზროვნება ვერ გახდება ჯანსაღი მომავლის აშენების საფუძველი.



# საზოგადოების მენტალური ცვლილებები დამოუკიდებელი საქართველოს რეალობაში

ინტერვიუ ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძესთან

## ნიმუშა

— რა მენტალიტეტის მქონე საზოგადოება ვართ და რით არის ის ნასაზღვრები? — ამ თემაზე დაფიქრება გე-მართებს იმდენად, რამდენადაც აუცილებელია ვიცოდეთ, რა ღირებულებები დევს ჩვენში. საინტერესოა, რამდენად იცვლებოდა ეს მენტალიტეტი ამ 20 წლის განმავლობაში და ეს მეტამორფოზა როგორ უკავშირდებოდა ხელისუფ-ლებების ცვლას საქართველოში?

— მენტალიტეტის თემაზე საუბარს უფრო შორიდან და-ვიწყებ — საბჭოთა პერიოდიდან. ჯერ კიდევ 80-იან წლების ბოლოს, როცა გორბაჩოვმა რეფორმებში ჩაატარა და გა-მოიკითხა — ხალხს საბჭოთა კავშირში დარჩენა უნდოდა თუ გასვლა, მოსახლეობის 70% მომხრე იყო, რომ საბჭოთა კავ-შირში დავრჩენილიყავით. რუსეთის მთავრობას არ ვენდეთ და მოსახლეობის აზრის გადამონმების მიზნით საქართვე-ლოშიც ჩავატარეთ იგივე გამოკვლევა და შედეგი ერთნაირი მივიღეთ. თუ რატომ უნდოდათ საბჭოთა კავშირის შემად-გენლობაში დარჩენა — ამ კითხვაზე, ადამიანებთან დია-ლოგში შესვლისას, ასეთ პასუხს ვიღებდით: აბა, მარტო ხომ ვერ შევძლებთ არსებობას, რუსეთის გარეშე არ შეგვიძლიაო. ძირითადად ამ არგუმენტით შემოიფარგლებოდა უმეტესო-ბა. მართალია, საბჭოთა იდეოლოგიის სიყვარული არავის გამოუმუყლავებია, მაგრამ ეს 70% იყო იმის საზომი, რომ რუ-სეთზე ორიენტაცია სხვაზე დამოკიდებულების მენტალიტე-ტის გამო გვექონდა.


სისხლიანმა 9 აპრილმა, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი გარდა-ტეხა მოახდინა, რაც შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერა გამსა-ხურდადის ხელისუფლებამ. მოსახლეობაში მენტალური რე-ვოლუცია მოხდა და ქართველმა თავის ცნობიერებაში დაუ-შვა, რომ შეიძლება დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოქალა-ქე იყოს, რაც 9 აპრილის მსხვერპლის ფასად დაგვიჯდა. ეს ცვლილება რომ არ მომხდარიყო, საბჭოთა პერიოდში ხმათა უმრავლესობით „მრგვალი მაგიდა“ ხელისუფლებაში ვერ მო-ვიდოდა. ამ არჩევანით, უმოკლეს პერიოდში, საზოგადოება თითქმის 180 გრადუსით შემოტრიალდა დამოუკიდებლობის მოპოვების ნებისკენ, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგებო-და იმ თეზისს, რომ ქართველს ურუსეთოდ არსებობა თით-ქოსდა არ შეეძლო.

შემდეგი გარდატეხა, ბევრად ლოკალური მასშტაბისა, თბილისის მოსახლეობის პროტესტი იყო იმ ავტორიტარიზ-მის წინააღმდეგ, რასაც უკვე ხელისუფლებაში მოსულ ზვიად გამსახურდიას უჩიოდნენ. თვლიდნენ, რომ იგი ჟურნალი-სტებთან და ოპოზიციასთან ურთიერთობაში ძალაუფლებას აჭარბებდა. მაშინ დაჭერილი იყო რამდენიმე ჟურნალისტი და ოპოზიციონერი. გარდა ამისა, საზოგადოება უკმაყოფილო იყო რუსეთთან ურთიერთობაში გამსახურდიას კომპრომი-სულობის გამო. გახსოვთ, ალბათ, გეკაჩავის ისტორია, რო-დესაც გამსახურდიამ დათმო პოზიციები, რაზეც იმდროინ-დელი პოლიტიკური ელიტა საყვედურობდა. ამან გამოიწვია ისეთი დაპირისპირება, რაც სამოქალაქო ომით დამთავრდა. სამოქალაქო ომის შედეგად მოსულმა ტრიუმფირატმა (თენ-გიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი) გავლენა იქო-ნია ქართველის მენტალიტეტის ცვლილებაზე, უკვე გაჩნდა მძლავრი პროტესტი ძალადობისა, შეიარაღებული ადამიან-ების ქუჩაში გამოვარდნისა და ყაჩაღობის წინააღმდეგ. ანუ, საზოგადოებისთვის დაუშვებელი იყო ქვეყანა ასეთ ქაოსში ყოფილიყო. სწორედ, ქაოსის დაუშვებლობის მენტალიტეტ-მა მოიყვანა შევარდნაძე, ხოლო ვინ ჩამოიყვანა იგი რუსე-თიდან, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. არჩევნებში შევარდნაძემ ხმათა 90% მიიღო იმ მოტივითა და იმედით, რომ იქნებ მან, როგორც ფართო საგარეო კავშირების მქონე პოლიტიკოსმა, ქვეყანა ამ ქაოსიდან და მსოფლიო იზოლა-ციიდან გამოიყვანოს. შევარდნაძემ მოახერხა სტაბილიზა-ცია, ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართვა და ა.შ., რაც მოსახლეობამ დადებითად მიიღო, მაგრამ შემდეგ წლებში მენტალიტეტში გაჩნდა ახალი თემა — კორუფციის, სტაგნაციის, უცვლელი მთავრობის. ამ ყველაფერმა მენტალიტეტში თავი მოიყარა საპროტესტო მუხტის სახით, რამაც შემდეგ „ვარდების რევოლუციას“ შეუწყო ხელი. ასე რომ, როდესაც ხდება რევოლუციები, ისინი მენტალიტეტში იღებენ დასაბამს.

— რამდენად მოკიდია ჩვენთან ფეხი ქურდულმა მენტა-ლიტეტმა, რომელიც პოპულარული იყო საბჭოთა პერიოდში?

— ფართო გაგებით ქურდი, და არა ჯიბის ქურდი, პოზი-ტიური პერსონა იყო და პატივცემულ ფიგურად ითვლებოდა — ამის ნიშნები საბჭოთა პერიოდში გამოკვეთილი მართლაც იყო, ეს დამოკიდებულება ინერციით გაგრძელდა და თუ გა-ვისხნებთ ჯაბა იოსელიანს, როგორც რომანის პერსონაჟს (მისი ბიოგრაფია ამის საფუძველს იძლევა), მას შეეძლო ბე-ერი ახალგაზრდა მოეხიბლა თავისი ქარიზმითა და ქურდის იმიჯით. ჯაბა იოსელიანი და მისი გარემოცვა არ ცდილობდა ამ ქარიზმის გაქარწყლებას, პირიქით, ხელს უწყობდა კიდევ მის გამყარებას. ანუ ამ პერიოდში ქურდულმა მენტალი-ტეტმა იხარა. საბჭოთა სისტემის ამ მანკიერ გადმონაშთს შევარდნაძის ხელისუფლება არ შებრძოლებია, მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგიურად ედუარდ შევარდნაძე და ჯაბა იოსელიანი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ქურდული მენ-ტალიტეტის მიუღებლობამ თავი მხოლოდ „ვარდების რევო-ლუციის“ შემდეგ იჩინა.

— ამ 20 წლის მანძილზე, მიუხედავად საზოგადოების ტრანსფორმაციისა, რამდენადაა ჩვენში დღემდე ფეს-ვადგმული საბჭოთა მენტალიტეტი?



თემის რესპონდენტი  
რამაზ საყვარელიძე

— საბჭოთა მენტალიტეტი გულისხმობს საზოგადოების ხელისუფლებაზე ორიენტაციას. საბჭოთა მოქალაქეს ყველა პრობლემას სახელმწიფო უწყევტდა. ეს დამოკიდებულება დღემდე შემოგვრჩა. თუ საზოგადოება ვერ გაითავისებს, რომ ყველაფერზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას არ უნდა აპყდოს და რომ თავადაც უნდა იბრძოდეს თავისი უფლებების დასაცავად, საცხოვრებელი პირობების გასაუმ-ჯობესებლად, მანამდე ამ საბჭოთა მენტალიტეტს ჩვენს ცნობიერებაში ვერ ამოვფხვრივთ.

— ნათქვამია, ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობსო. ჩვენ, ამ ახლო წარსულში დაშვებული საკუთარი შეც-დომების გაანალიზება მაინც რამდენად მოვახერხეთ, რაც, წესით, ისევე და ისევე მენტალურ ცვლილებებში უნდა ასახულიყო.

— გამსახურდიას პერიოდს დაეუბრუნდები, ოღონდ უკვე სხვა ჭრილში. მაშინ მოხდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლი-ლება ნაციონალური უმცირესობების მიმართ. ქართული მენტალიტეტი გადაიხარა ნაციონალური შეურიგებლობის მხარეს და, პრაქტიკულად, საზოგადოების ბრალია ის, რაც ოსებთან და აფხაზებთან მიმართებაში მოხდა. გამსახურ-დიას მმართველობის დროს გაჩნდა პუბლიკაციები, სადაც ხაზი ესმებოდა — ვინ სტუმარია და ვინ მასპინძელი საქარ-თელოში? ვის რა უფლებები აქვს? ამის ფონზე თავი იჩინა სხვისი უფლებების ნაციონალური ნიშნით შეზღუდვამ, რაც ამ პერიოდში მომხდდა. ეს მენტალური ცვლილება, რაც იქამდე ქართველს ნამდვილად არ ჰქონდა, დარჩა დიდ ხანს, პრაქტიკულად აფხაზეთის ომამდე. ხოლო აფხაზეთის ომის ნაგებამ კორექტივი შეიტანა მენტალიტეტში — ქართველებ-მა სხვა ნაციონალობის მოსახლეობის მიმართ მეტ-ნაკლები პატივისცემა ისწავლეს და მიხვდნენ, რომ ამ მიმართულებით ყოფინა ქვეყნისთვის სასიხათოა. მართალია, საკმაოდ ძვი-რი დაგვიჯდა ეს მენტალური ცვლილება, მაგრამ რადგან ეს მოხდა, მაღლობელი მაინც უნდა ვიყოთ.

შევარდნაძის პერიოდში ჩამოყალიბდა ამგვარი ტიპის მენტალიტეტიც — დასავლეთი „ჩამოვა“ და გიშველის. და-სავლეთის, როგორც მხსნელის მიმართ მენტალიტეტი დღემ-დე შემოგვრჩა. მაგრამ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დავიხსეთ, რომ დასავლეთი სიტყვით და ფულით დაგვხმა-რებდა, მაგრამ შენს მაგივრად არ იბრძოლებს. თანაც ისიც გა-მოიკვითა, რომ ბევრად ფრთხილია რუსეთთან მიმართებაში, ვიდრე სხვა ქვეყნებთან. ამის განცდა, მენტალურად, უკვე გვაქვს.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსული ხელისუფ-ლების პირობებშიც ახალი მენტალური ცვლილებები ხდება. კერძოდ, გაჩნდა ეჭვი, დემოკრატია მართლაც ისეთი ლამა-ზი და კარგია, როგორც ეს გარედან ჩანდა? აღმოჩნდა, რომ დემოკრატია ნიშნავს იმასაც, რომ შენ საკუთარი პრობლემე-ბისთვის თავად უნდა იბრძოდო და თუ მხოლოდ სხვისი იმე-დით აპირებ, მაგას სიზარმაცე ჰქვია.

— სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბებისკენ მო-ქალაქეებს რეალურად ვინ უნდა უზიძვოს? ჩვენს ქვეყანა-ში მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკური ამბიციების მქონე პარტიები აქტიურობენ ხალხის მობილიზებისთვის, რაც შეიძლება ასევე ვინრო პარტიული ინტერესებისადმი მსახ-ურებით დასრულდეს. წლების მანძილზე არ გამოკვეთილა რაიმე ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც წმინდა მოქალაქეობრივი პოზიციების სამჭედლოდ იქ-ცეოდა და ერთგვარ კონტროლს დაანესებდა ნებისმიერი პოლიტიკური ძალის ნაბიჯზე, გადაწყვეტილებაზე... რატომ არის პასიური ამ მხრივ ჩვენი საზოგადოება?

— სამოქალაქო საზოგადოების მენტალიტეტი ერთ დღე-ში არ დაიბადება. შეიძლება შექმნა არასამთავრობო ორგა-ნიზაცია, დააფინანსო იგი და გყავდეს „სამოქალაქო საზო-გადოება“, ოღონდ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ორგანიზა-ციის წევრებს სამოქალაქო მენტალიტეტი აქვთ. „ვარდების რევოლუციის“ პერიოდამდე, შევარდნაძის მმართველობის

მეორე ნაწილში ასეთი NGO-ების ცვენა იყო, ოღონდ სამო-ქალაქო მენტალიტეტი ამით არ გაზრდილა. სამოქალაქო მენტალიტეტის არსებითი ნიშანი არის იმის შეგნება, რომ მე ვარ მოქალაქე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის ავი და კარგი მე მესება და მონაწილეობა უნდა მივიღო ქვეყნის მშე-ნებლობისა და პოლიტიკური სისტემის გაკეთილშობილების პროცესში. ფეოდალური მენტალიტეტი არის ამის საპი-რისპირო. რადგან ქვეყნის ბედ-ილბაღს ფეოდალი წყვრტდა, ადამიანები უნდა დამორჩილებოდნენ მას და დანარჩენი ამ ქვეყნისა თითქოსდა არაფერი ესებოდათ. თუ ფეოდალმა არ მოუწოდა, ადამიანი გაჩერებული იქნება და ხიდან თავისით ჩამოვარდნილ ვაშლს დიდი სიამოვნებით შეჭამს, ანუ ბედ-ილბაღზე იქნება მინდობილი. ჩვენ სწორედ ფეოდალური მენტალიტეტის ქვეყანა ვართ. ჩვენ ვისაც ავირჩევთ პირველ პირად, ვისაც მივაკუთვნებთ პირველ ადგილს, გინდ ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკაში, გინდ NGO-ს მასშტაბით, შემდეგ ბოლომდე იმაზე ვართ დამოკიდებული, შეყვარებულიც და ა.შ. თქვენ გინახავთ პარტია, სადაც გადაწყვეტილებას გუნ-დი იღებს და არა ერთი კაცი? მერე გვიკვირს, რატომ ვირ-ჩევთ პრეზიდენტს 90%-ით. ეს იმიტომ ხდება, რომ როგორც კი სიმპათია ჩნდება ვიღაცის მიმართ, ყველა ვალდებულია თვლის თავს, რომ ვისაც უმრავლესობა აძლევს ხმას, იმას-ვე გაჰყვეს უკან თვითონაც. იმაზე აღარ ფიქრდება, თავად რეალურად ვინ მოსწონს და ვინ არა. ვისაც ემორჩილებიან, მეც იმას უნდა დავემორჩილო — ასეთია მოდელი და ეს ფე-ოდალური მოდელია. ასე რომ, ფეოდალური მენტალიტეტი როდის შეიცვლება სამოქალაქოთი, ვერ გეტყვით. ყველა დე-მოკრატული წყობა ხალხის ბრძოლამ მოიტანა.

— საზოგადოებაში ილია მეორეს ავტორიტეტი დიდია, მაგრამ ვერც მისი შეგონებანი ცვლის ჩვენს საზოგადოე-ბას. მაშ, რა არის გამოსავალი?

— ილია მეორეს ავტორიტეტი დიდია სადღეგრძელოების დონეზე... გაიხსენეთ 9 აპრილის ღამე... პატრიარქი მიტინგ-ზე მივიდა და უთხრა ხალხს, წამოდიოთ სიონში, მაგრამ წაყე-ვნენ? ერთი ფაქტი მაინც მითხრობ, როცა უწმინდესს დაუ-ჯვრეს. ილია მეორე უნდათ და უყვართ თავყანის(ცემის)თვის, ე.ი. ეს ისევე ფეოდალური მენტალიტეტი, ხოლო მან თუ ხმა ამოიღო და ხალხს რაიმე მოსთხოვა, ამის გაკეთების სურვი-ლი აღარ აქვთ. მივლენ, ხელზე ეამბორებიან, მაგრამ რასაც ეტყვიან და, უმეტესწილად, პატრიარქი ჭკვიანურს ამბობს, იმის დაჯერება აღარ უნდათ. რატომ? იმიტომ რომ პატრი-არქის ნათქვამი მათ განზრახვებს არ ემთხვევა. განზრახვე-ბა შესაცვლელი, ცხოვრების წესია შესაცვლელი და მერე შეიცვლება მენტალიტეტიც.



— იკვებება თუ არა ახალი თაობის მენტალიტეტი, რომელიც ქვეყანაში ახალ რეალობას შექმნის?

— მენტალიტეტი არ არის მხოლოდ ცოდნა ან სურვი-ლები. მენტალიტეტი ღირებულებათა სისტემასაც გულისხ-მობს. ჩვენ ჩამოგვიყალიბდა ახალგაზრდა თაობა ისეთ პერი-ოდში, როდესაც ქვეყანაში ქაოსი იყო და მათი აღზრდისთვის და მათში ღირებულებების „ჩადებისთვის“ ვინმეს ნაკლებად ეცალა. ჩვენ ახლა ვინცებთ ამ პროცესს. თუმცა იმასაც ვიტყ-ვი, რომ ახალგაზრდებს სიურპრიზები ახასიათებთ. ზოგჯერ ისინი ტოვებენ ხოლმე ისეთ შთაბეჭდილებას, რომ თითქოს არაფერი აინტერესებთ, მაგრამ როცა უცებ ცხოვრების რაღაც კუთხე შეიცვლება, ეს დარდიმანდი ახალგაზრდები ისევე და ისევე თავად ხდებიან გმირები. ამის მაგალითი იყო აფხაზეთის ომი, რომელშიც ვაკეში ნებიერად გაზრდილი ბი-ჭები საკუთარი ნებით ნავიძნენ და დიდი ნაწილი უკან აღარც დაბრუნებულა. ამიტომ, დრო გვიჩვენებს, თუ რას გამოავ-ლენს ახალი თაობა...

# დამოუკიდებლობა და დემოკრატია



## იყო ანომალია – არის თვითცნობიერება

ინტერვიუ შურნალისტთან თომა ჩაგალიძისთან

— თქვენი შემოქმედებითი ჯგუფი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის არსებობის საქართველოს უახლესი ისტორიის ამსახველი დოკუმენტური ფილმების შექმნაზე მუშაობს. საინტერესოა რა წყაროებზე და რა ინფორმაციებზე დაყრდნობით იქმნება ფილმები, რათა ამ პერიოდის შესახებ ობიექტური სურათი დაიხატოს?

— ფილმზე მუშაობის დროს, ჩემთვის, ძირითადი წყარო, პროცესების თვითმხილველი და მასში უშუალო მონაწილეები, ადამიანები არიან. ფილმების შექმნისთვის ვიყენებ იმ მოვლენების ამსახველ ვიდეო არქივს და ბეჭდვით მასალასაც. ჯერჯერობით მემორიული ლიტერატურა 90-იან წლებზე ძალიან ცოტაა, მხოლოდ თითო-ორი წიგნი დაწერილი. ერთი წიგნი იოსელიანის „სამი განზომილება“ და კიდევ ნოდარ ნათაძის მოგონებები, სხვა მნიშვნელოვანი წიგნი არ მახსენდება. იდუარდ შევარდნის შემთხვევაში, ამ მხრივ, დეტალურ და საინტერესო ინფორმაციას ვერ ვხვდები. ამიტომ, ვინერთ იმ ადამიანებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ პროცესებში და ვცდილობთ ახლოს მივიდეთ ობიექტურობასთან.

— მათგან, ვინც 90-იანი წლების მოვლენებში იღებდა მონაწილეობას, ბევრი პოლიტიკაში წავიდა. შეფასებების გაკეთებისას, მათი მხრიდან სუბიექტურობას რა აბალანსებს თქვენს ფილმებში?

— შეფასებით ჩვენ ვფასებთ, როგორც შურნალისტები და გვაქვს კიდევ ამის სურვილიც, უფლებაც და მოთხოვნაც. თუმცა გვიკეთებია ფილმები, რომელთა შეფასებისგან თავი შეგვიკავებია.



— რომელი პერიოდი შენთვის, როგორც შურნალისტისთვის, საინტერესოა და არსებობს თუ არა ის მოვლენა, რომლის საშუალებითაც გამოვჩანდასა და მორიდებინარ?

— ჩემი აზრით, ყველა პერიოდს თავისებურად საინტერესოა. ჩემთვის ძალიან მტკივნეულია აფხაზეთის ომის პერიოდი — ფაქტობრივად შეცდომებითა და ტრაგედიით აღსავსე ჩვენი ქვეყნისთვის. სოხუმის დაკარგვა იყო „ლაკმუსის ქაღალდი“, პრაქტიკულად გაყიდეს სოხუმი. აფხაზეთი იქცა პოლიტიკური თამაშების მსხვერპლად, რაც ჩემთვის ყველაზე ტრაგიკულია, თუმცა, ამ პროცესების გაშუქება შურნალისტისთვის მეტად საინტერესოა. ჩვენ გამოძიებაც კი ჩავატარეთ, რატომ დაეცა სოხუმი — ამაზე პირდაპირი პასუხი გავეცით ფილმში „სოხუმის უკანასკნელი დღე“.

დავინტერესდით 1995 წლის 29 აგვისტოსა და შემდეგ 9 თებერვლის ტერაქტით შევარდნაძეზე, ასევე, „ვარდების რევოლუციით“, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ბოლო მოვლენა ვერ კიდევ არ არის კარგად შეფასებული, რადგან ამას დრო სჭირდება... „გაცივება“ უნდა... აფხაზეთის ომზე ორი ფილმი მაქვს გაკეთებული, როცა 5-6 წლიანი ინტერვალის შემდეგ მეორე ფილმი გავაკეთე, უკვე სხვაანაირად დაინახე მოვლენები. რაც შეეხება ციხივალის ომს, ჯერ

არ არის გადაღებული ისეთი ფილმი, როგორც საჭიროა.

— თუ გვირძეწია, რომ რაღაც თვალსაზრისით ვიღაცის აზრია დასაბამო? ცენზურა ან თვითცენზურა გიშლის თუ არა ხელს ობიექტური სურათის დახატვაში?

— არ სურს მემთხვევა, რომ ვინმეს მითითებები მოეცა — როგორ უნდა გადავძლიო ფილმი. ის კი არა, ჩემი არის ხელმძღვანელობა მუშაობდა ციხივალის ომზე გამეკეთებინა ფილმი, მაგრამ ვერ შევქმელი, რადგან ბევრი რამ ჯერ ვერ გადავხარე. საერთოდ, ადამიანზე ყველაზე ცუდად თვითცენზურა მოქმედებს. როცა ცენზურაზე საუბრობენ, უფრო აბუქებენ პრობლემას, ვიდრე არის. ნამდვილად არ არის ისეთი ზეწოლა ტელევიზიებში, როგორც ამბობენ.

— დამოუკიდებლობიდან დემოკრატიაში... ამ მხრივ რა გზა გავიარეთ ამ 20 წლის მანძილზე სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით?

— სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით საქართველო დიდი ნახტომი გააკეთა. პრობლემები დღესაც არის, გააჩნია რა პერიოდს შეადარებ. მასსოვს, შევარდნის მმართველობის დროს გურამ აფსაძეს ციხიდან ტელევიზიით პირდაპირი ჩართვა ჰქონდა. ასეთი რაღაც მიუღებელია და არც ერთი ქვეყანა ამას არ გააკეთებდა. წარმოადგინეთ, ადამიანი, რომელსაც ტერაქტისთვის ასამართლებენ, პირდაპირ ეთერში ერთვება — ეს ანომალიაა.

— მაგალითად, როცა დღეს ერთ-ერთი შურნალისტი მმართველი პარტიის წარმომადგენლებს პარლამენტში ერთ კიბოზე სთხოვდა პასუხის გაცემას — დაესახელებინათ ერთადერთი ნაკლი მაინც ამ ხელისუფლების, ყველა გაუბრუნდა პასუხს ან მხოლოდ იმას ამბობდა, რომ მას ნაკლი არ აქვს. არადა ერთი ნაკლი მაინც ნებისმიერ ადამიანს გააჩნია, რისი თქმაც ძალიან ბუნებრივია და არა უხერხული. საინტერესოა, ასეთივე ალტერნატივის წინაშე დგანან შურნალისტებიც, რომლებიც ტელევიზიებში მუშაობენ? (პრესას ეს ნამდვილად არ ეხება, რადგან მასში, ხშირად, ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის მაგალითებიც გვხვდება).

— დღეს, სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით, ჩვენს ქვეყანაში პრობლემები მართლაც არის, მაგრამ ეს მაინც თვითცენზურაა ძალიან ხშირ შემთხვევაში. ტელევიზიაში ქვეყანაში ორი რეკლამა კინაღამ მოახდინა. კარგია, რომ ხელისუფლებას მედიის უშიშია. ეს იმას ნიშნავს, რომ ანგარიშს უწევს, რადგან იცის, რომ მედიას დიდი ძალა აქვს. ყველა ხელისუფლება ცდილობს, რომ მედია აკონტროლოს, ამიტომ შურნალისტებმა თვითცენზურას უნდა სძლიონ...

— ლუსტრაციის პრობლემის წინაშე რამდენად დამდგარხარ, როდესაც საარქივო მასალებზე მუშაობ და მის ფილმში ასახვას ცდილობ?

— როცა 60-იან წლებში ხრუმოვი უნდა მოეკლათ და დამნაშავენი დაიჭირეს, აღმოჩნდა, რომ ვინც შეთქმულება გათქვა, ის ადამიანი ძალიან ცნობილი იყო ქართული საზოგადოებისთვის. ამ ადამიანის სახელი და გვარი კი გავიდა, მაგრამ ფილმში არ ვამბობ. ეს ადამიანი ახალი გამოსული ყოფილა ციხიდან, როცა შეთქმულები მასთან მისულან და უთქვამთ, ხრუმოვი უნდა მოეკლათ. ამ კაცს ისინი მოგზავნილი პროვოკატორები ეგონა, ამიტომ წავიდა და დანერა — მკვლელობაში მონაწილეობის მიღებას მთავაზობდნენ. გამოვიდა ჩაშვება, როგორც ამას სხვები ამბობენ. არ ვიცი, ლუსტრაცია ამას გულსხმობს თუ არა, მაგრამ, ზოგადად კი ვიცი, რომ ვინც კაცებ-სთან თანამშრომლობდა, მათი სიები უნდა გამოქვეყნდეს და მათ სახელმწიფო სამსახურში უნდა აეკრძალოთ მუშაობა. ჩვენ არ გვაქვს სრული სურათი, ვინ იყო მამინდელი კაცებ-ს თანამშრომელი, ჩემი აზრით, საბჭოთა პერიოდს თავიდან არის შეესაბამება და თავიდან დასაწერი. იმ პერიოდზე არსებულ არქივებს ჩაჯდომი და დიდი მუშაობა სჭირდება.

**მიხაილ სააკაშვილი:** „ჩვენ უნდა კარგად გვესმოდეს — საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა ეკუთვნის არა რომელიმე პარტიას, არა რომელიმე პრეზიდენტს, მინისტრს, დეპუტატს, ის ეკუთვნის მთლიანად საქართველოს, საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს.“

ვერაფერი ჩაშლის დღევანდელი დღის აღნიშვნას, ვერაფერი ვერ შეარყევს ჩვენს ნებას — ვიბრძობოთ ჩვენი თავისუფლებისთვის, ჩვენი დამოუკიდებლობისთვის და დემოკრატიისთვის, სიტყვის თავისუფლებისთვის, ყველა მოქალაქის აზრის გათვალისწინებისთვის და ნამდვილად დემოკრატიული, თავისუფალი კონსტიტუციური საქართველოს შეუქცევადად აშენებისთვის.

ჩვენთვის წმინდათაწმინდა ღირებულება არის სიტყვის თავისუფლება. ყველაფერს გავაკეთებ, პირადად მე, იმისათვის, რომ საქართველოს მოქალაქეებს, მათ შორის, მათ, ვისაც აქვს კანონიერი მოთხოვნები ან უკმაყოფილება, ჰქონდეთ საშუალება საკუთარი აზრის გამოხატვის.“ (ამონარიდი 26 მაისის ალუმზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან).

## „ინტელექტუალური განიარაღება“

ინტერვიუ 1 არხის შურნალისტთან თათია პაჭკორიასთან

— რამდენად არის ხელმისაწვდომი ის მასალები, რაც საქართველოს ისტორიის შესახებ თქვენი ფილმების შექმნისას რეალური სურათის დასახატად არის საჭირო?

— 90-იანი წლების არქივები ან დაკარგული ან გახსნილი არ არის. ხომ სულ საუბარია ლუსტრაციის კანონზე, მაგრამ, ეტყობა, ახლა მისი გახსნა საჭირო არ არის. რადგან ამან შეიძლება დიდი კატაკლიზმები გამოიწვიოს, ვინაიდან, თითქმის ყოველი მესამე აგენტი იყო. დღეს არ ვიცი, ისინი თანამდებობის პირები არიან თუ არა, მაგრამ შევარდნის ხელისუფლების დროს, პარლამენტი რომ შეიკრიბა, ერთ-ერთმა უშიშროების მაღალჩინოსანმა თქვა, რომ როცა გადავხედე პარლამენტს, თავი ჩემს სეიფში მეგონათ.

გამსახურდია ვერ ფლობდა ტექნოლოგიებს, თორემ ყოველივე ამის ასე ხმაამლა თქმა არ შეიძლებოდა. თუმცა მისი ხელისუფლების გადატრიალების დროს რა მდგომარეობაშიც ჩავადგეს საკუთარი ქალაქი და ქვეყანა, ხომ აღმოჩნდა, რომ ამას ეროვნული გმირი და საქართველოს მოყვარული არ გავაკეთებს. ამას მართლაც აგენტი და არადადამიანი თუ გააკეთებდა. მაგრამ მათთან პრადილა სხვა მიმართულებით იყო საჭირო და არა ასე ღიად.

— წარსული ისტორია გაკეთილად გვადგება?

— ისტორიის გახსენებას მაშინ აქვს აზრი, როცა შეგიძლია მომავალი შეცდომებისგან თავი დაიკავა. ამ 20 წლიან პერიოდზე მუშაობისას აღმოვაჩინე ძალიან ბევრი შეცდომა და ეროვნული ტრაგედია, ეროვნული მანკიერება, რაც ახასიათებს ქართველს, კერძოდ, გაუტანლობა, სხვისი წარმატების მიმართ მანიაკალური შური და პირადი ამბიციები. მიტინგზე არ წავალ არასოდეს, რადგან აღარ მჯერა მათი, ვინც მოწოდებებით გამოდის. ნოდარ ნათაძესთან ინტერვიუში, როცა მას ვკითხე, ბატონო ნოდარ, ნუთუ წმინდა არაფერი აღარ არსებობს მეთქი?! ასე მიპასუხა: კი, როგორ არა, ის ხალხი, ვინც მიტინგებზე იყო (ანდრინდელ ისტორიაზე საუბარი), წმინდა გრძობით იკრიბებოდნენ, მაგრამ ვინც იმ ხალხის ზევით დგას, იმაზე რა მოგახსენოთ... იმდენი ცუდი ამოვიდა ზედაპირზე, რომ ბევრი პოლიტიკოსის დანახვაც არ მინდა...

ჩვენ არ უნდა შევექმნათ ყალბი გმირების ისტორია. არადა ყველა ხელისუფლება თავის ისტორიას საკუთარი კარის შურნალისტებით ქმნის, ასე იყო ყველა ეპოქაში... თქვენ უნდა ნახოთ შევარდნის პერიოდში შურნალისტების მიერ შექმნილი გადაცემები, თუნდაც სამოქალაქო ომის თემაზე, ან პროტესტით განწყობილი შურნალისტების ტელევიზიის კიბებზე დასხდომის თემაზე, შეიძლება სიცილით გაიგუდოთ — ეს არის სრულიად უპასუხისმგებლო, სუბიექტური გადაცემები.

— როგორც შურნალისტი, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში სიტყვის თავისუფლების დამკვიდრების ეტაპებს აშუქებთ, რა შეფასებას მისცემთ დემოკრატიის ხარისხს ჩვენს ქვეყანაში?

— პირველი ეტაპი სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლა იყო მაშინ, როცა ზვიად გამსახურდია დემოკრატიული ლოზუნგებით მოვიდა ხელისუფლებაში. მისი პირველი რეფორმატორული ნაბიჯი იყო ტელევიზიის რეფორმა — გადაყენდა თავმჯდომარე, მოიყვანა თავისი ხალხი, დახურა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები, რასაც სერიოზული ბატალიები მოჰყვა (შურნალისტების კიბებზე დასხდომა). თავიდან ეს იყო ჯანსაღი პროტესტი ამ ცენზურის წინააღმდეგ, რადგან შურნალისტები თვლიდნენ, რომ 9 აპრილის მოვლენები, გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლა მათი დამსახურება იყო. იმ პერიოდის მედია, მიუხედავად კომუნისტური წნეხისა, მაინც ხომ ახერხებდა რაღაცების გატანას და, ამდენად, შურნალისტული იდენტის თავი, როდესაც დემოკრატი პრეზიდენტი — მოსული ეროვნულ-პოლიტიკუ-

რი ბანაკიდან უცებ ხურავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემას და თანამშრომლებს სამსახურიდან უშვებს. ამან გამოიწვია ეს ჯანსაღი პროტესტი.

მინდა გითხრათ, რომ ტელევიზიის მიმართ ყოველთვის იყო მომხმარებლური დამოკიდებულება. აქ ხან რომელი პარტია შემოვარდებოდა და ხან რომელი. ტელევიზიაში მუშაობა ყოველთვის რთული იყო ნებისმიერ ეპოქაში. საერთოდ, პირველი დარტყმა მოდის მედიაზე.

შევარდნის პერიოდში შურნალისტებს დაავინყდათ პროტესტი, იყვნენ კმაყოფილი და 10 წლის განმავლობაში ხმა არ ამოუღიათ — როგორ ცემდნენ, ხვრეტდნენ ზვიადისტებს... ეს არც კი გაუშუქებიათ. შევარდნის მმართველობის მხოლოდ ბოლო პერიოდში მივიდეთ ერთგვარი თავისუფლება და ამან რეკლამაცია მოახდინა.



— აქედან გამომდინარე, როგორ მიგაჩნიათ, ქვეყნის სტაბილურობა მოითხოვს კონტროლის დანახვას მედიაზე?

— შურნალისტი, რომელიც აკეთებს პოლიტიკას, იგი უნდა ემსახუროს თავის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. როცა სახელმწიფო სულ რეკლამით ვიფორმირება, უნდა იყოს განონას-ნორეული. საჭიროა ცენზურა, კარგი გაგებით, საჭიროა თვითრეგულაცია და თვითკონტროლი. შურნალისტი არ უნდა იყოს ემოციური და ეგზალტირებული, არ უნდა იყოს სუბიექტური, მაგრამ შენ ქვეყანას უნდა ემსახურო.

— დამოუკიდებლობიდან დემოკრატიაში — ამ მხრივ რა გზა გავიარეთ?

— დემოკრატია არ ნიშნავს ღამნდვას, გინებას, პირად შეურაცხყოფას, დაუკრეფავი გადასვლას, არამედ ნიშნავს ჯანსაღ კრიტიკას, არგუმენტირებულს. დიპლომატიაში არსებობს ტერმინი — „ინტელექტუალური განიარაღება“. არგუმენტით და პოზიციით შეგიძლია ბეჭებით დაანვიზო შენი მოწინააღმდეგე. როცა გამოიხარ და ილანძლები, ე.ი. ხარ სუსტი და არაფერი შეგიძლია. რა თქმა უნდა, უნდა იყოს სამართალი, დამოუკიდებელი სასამართლო, მართლმსაჯულება და ადამიანს არ უნდა ჰქონდეს იმის გაცნა, რომ სახელმწიფო მართავს სამართლებრივ სტრუქტურებს და მათ საქმიანობაში ერევა. როცა არის სამართალი და ადამიანებისთვის სამუშაო, ქვეყანა წელში იმართება. უბრალოდ, შურნალისტს ეთიკა ავალდებულებს, ჯანსაღი კრიტიკული მინიმებით წეროს იმაზე, რაც ამ სამართლიანობის დამკვიდრებას უშლის ხელს, ესკალაციას და საზოგადოების დაპირისპირებას კი ხელი არასოდეს უნდა შეუწყოს. ვფიქრობ, დემოკრატიის გზას მაინც ვადაგვართ...

# უნივერსიტეტი

## როგორ მოგვარდება სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის პრობლემა

სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფმა „თარგმნე“ გადალო სიუჟეტი, რომლითაც სტუდენტები შეეცადნენ ეჩვენებინათ, თუ რა პრობლემა აწყდებიან სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე არარსებობის გამო. ავტორებს შემთხვევით არ დაუწყიათ სიუჟეტი ამონაწერით საქართველოს კანონიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“, სადაც განმარტებულია, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში — აფხაზური“. სწორედ ქართულ ენაზე სწავლის კანონიერი მოთხოვნის საფუძველზე შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ჯგუფი „თარგმნე“, რომელიც სტუდენტთა უფლებების სრული დაცვით მოითხოვს იმ უცხოური ლიტერატურის ხარისხიან თარგმანს, რომლითაც ისინი საბაკალავრო პროგრამას გადიან.

პრობლემა, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტებმა დასვეს, იმდენად აქტუალურია, რომ ვერც ერთი ლექტორი ვერ უარყოფს მის სამართლიანობას. მოგვონს თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ, მართლაც, ძნელია ერთი ლექციის მოსამზადებლად რამდენიმე წიგნიდან ამოიღო სასწავლო მასალა (მით უფრო, თუ ეს წიგნები ბიბლიოთეკაში ერთად არაა თავმოყრილი და მათი მოძებნა სხვადასხვა ადგილზე გიხდება). ძნელია უცხო ენაზე ისწავლო საგანი მაშინ, როცა ენა ჯერ არც თუ კარგად იცი და თანაც კანონი გეუბნება, რომ უფლება გაქვს შენს მშობლიურ ენაზე მიიღო განათლება.

სტუდენტთა ამ მოთხოვნას გარკვეული გამოხმაურება მოჰყვა როგორც უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან, ასევე პრესასა და ტელევიზიაში.

ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, გასულ კვირას სტუდენტურ საინიციატივო ჯგუფ „თარგმნე“ და თსუ-ის ადმინისტრაციას შორის შედგა შეხვედრა, რომელზეც სტუდენტებმა თავიანთი კონცეფცია წარადგინეს. მათი მოთხოვნა, ძირითადად, სასწავლო ლიტერატურის თარგმანს და „რიდერის“ თავმოყრას შეეხებოდა. სტუდენტთა მოსაზრებით, უნდა ჩამოყალიბდეს სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე მთარგმნელთა ჯგუფი, რომლის მიერ გადმოქართულებული მასალები რედაქტირებისთვის გადაეცემა პროფესორებს, საბოლოოდ კი გამოცემლობას, რის შემდეგაც სტუდენტებს ხელთ ექნებათ სასწავლო ლიტერატურა.

რა პოზიცია აქვს ამ პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და როგორ აპირებს იგი სტუდენტთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას? ამ საკითხებზე გვესაუბრება თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი ნინო ღურგლიძე:

### ნინო ღურგლიძე

— ქალბატონო ნინო, თქვენი აზრით, რამდენად რეალურია სტუდენტთა მოთხოვნა ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით სწავლის შესახებ. ეს მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრობლემაა თუ, ზოგადად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემის?

— სტუდენტის სახელმძღვანელოებით და სასწავლო მასალით უზრუნველყოფა ნებისმიერი უნივერსიტეტისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ მხრივ საქართველოში მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებობს პრობლემები, რადგანაც უნივერსიტეტებში ბევრია ისეთი დარგი, რომლის სწავლების გამოცდილებაც საბჭოთა კავშირში არ არსებობდა. შესაბამისად, ლიტერატურის ნაკლებობაა.

ეს, თავის მხრივ, უკავშირდება დროისა და პროფესიონალური კადრების პრობლემას.

ამ მხრივ სტუდენტებს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის განსხვავებული მოსაზრებები, უბრალოდ, არ შეიძლება არსებობდეს. ამიტომ, სიძნელეების მიუხედავად, უნივერსიტეტი ვალდებულია სტუდენტები სასწავლო მასალით უზრუნველყოს.

ეს საკითხი სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთანაც იკვეთება — ეს არის სტუდენტთა კანონიერი უფლებების დაცვა და ქართული ენის განვითარება. სტუდენტს უფლება აქვს, ისარგებლოს კანონით, რომლის მიხედვითაც საქართველოში სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ტერიტორიაზე — აფხაზური. მეორე მხრივ, იმის მიუხედავად, რომ სასწავლო მასალის თარგმანსთან დაკავშირებით რეალური სირთულეები არსებობს, თუ ჩვენ ამ საკითხის მოგვარება არ დავინწყეთ, საფრთხე ექმნება ქართული ენის განვითარებას, რადგან უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმანს ენის თანამედროვე ტერმინოლოგიით გამდიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. თუ ეს პროცესი დღესვე არ დაიწყო, რამდენიმე წელიწადში უკვე შეუძლებელი იქნება კვალიფიციური თარგმანა, რადგანაც ენა გაღატოვდება.

— როგორც ვიცით, სტუდენტური მოძრაობა „თარგმნე“ მოთხოვნები უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

ბრიგ გაითვალისწინა. რა შესაძლებელია უნივერსიტეტმა სტუდენტებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

— ჩვენი უნივერსიტეტის მისიაა, ამ თვალსაზრისით იყოს ლიდერი, რადგანაც ის არის უნივერსალური სტრუქტურა ფუნდამენტურ მეცნიერებათა მრავალფეროვნების მიხედვით. სწორედ აქ უნდა მოხდეს იმ ძირითადი ტერმინოლოგიის შემუშავება, რომელიც საფუძვლად დაედება ქართული ენის გამარავალფეროვნებას და სამეცნიერო თვალსაზრისით გამდიდრებას.

ამ ასპექტით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ადეკვატურად აღიქვა სტუდენტთა მოთხოვნა და მხარი დაუჭირა მას.

კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, მათ შორის, მეც, სტუდენტებთან გაემართეთ რამდენიმე შეხვედრა, რომელზეც შევთავაზეთ, რომ მათ პრობლემის გადაწყვეტის საკუთარი ხედავა და კონცეფცია წარმოედგინათ. სტუდენტებმა ძალიან მაღე წარმოადგინეს თავიანთი პროექტი, რომელსაც ახლდა ფინანსური უზრუნველყოფის გაანგარიშებაც — თუ რა დროს განმავლობაში და რა დანახარჯები დასჭირდებოდა უნივერსიტეტს ამ საკითხის მოსაგვარებლად.

უნდა ვთქვა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი პროექტი ანგარიშგასაწიფი და საქმიანი იყო.

სტუდენტებთან საუბრის დროს გაირკვა, რომ ისინი, ძირითადად, ნაბეჭდ სახელმძღვანელოებს და ლექსიკონებს ითხოვენ. როცა ვკითხვთ, რატომაა საჭირო ნაბეჭდი და არა ელექტრონული ლექსიკონი, რომლითაც ადვილად შეიძლება ისარგებლონ, გვიპასუხეს, რომ ინტერნეტში ხარისხიანი ლექსიკონები არ დევს. მოგეხსენებათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ძლიერი ლექსიკონოგრაფიის ცენტრი, რომლის ხელმძღვანელის, ქალბატონ თინა მარგალიტაძის მიერ შექმნილი ლექსიკონი ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ საქართველოში. ამ ლექსიკონის შესახებ კი სტუდენტებს ინფორმაცია არ ჰქონდათ.

მივმართეთ ქალბატონ თინა მარგალიტაძეს და შევახვედრეთ სტუდენტებს. შედეგად, ქალბატონმა თინამ ითავა სტუდენტების ინფორმირება ლექსიკონისა და მისი მოხმარების წესების თაობაზე, რაც რეალურ დახმარებას გაუწიდა.

რებას გაუწიდა მათ უცხოენოვანი ლიტერატურის გაცნობისას.

— სტუდენტები აცხადებდნენ, რომ აქამდე მათ თავად უწევდათ უცხოენოვანი მასალების თარგმანა, რაც, ბუნებრივია, ხარისხიანი თარგმანისაგან შორს იქნებოდა და კიდევ ერთ პრობლემას გამოკვეთდა — ესაა სამეცნიერო ტერმინოლოგიის გადმოქართულების საკითხი. დაისახა თუ არა პროგრამა ამ კუთხით?

— ტერმინების თარგმანა, მართლაც, სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხია. განმარტებები უნდა დაუსტდეს და სახელმძღვანელოებში ისე უნდა აისახოს, რომ სტუდენტისთვის ის გასაგები იყოს. სხვათა შორის, როდესაც სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის წევრები საუბრობდნენ უზარისხო თარგმანზე, პირველ რიგში სწორედ ამ ასპექტს გულსხმობდნენ, რადგანაც თარგმანი, რომელიც სტუდენტს მიენოვება, არის სიტყვა-სიტყვით, ხოლო ტერმინები, რომელთა გადმოტანაც ჭირს, ასეთ „სახელმძღვანელოებში“ პირდაპირ უცხო ენაზეა დატოვებული. ქალბატონი თინა მარგალიტაძე დაგვიხსენა, რომ ამ კუთხითაც ითანამშრომლებს ჩვენთან და სტუდენტებთან. კერძოდ, ლექსიკონოგრაფიის ცენტრი დაგვიხსენა თარგმანებისთვის განმარტებითი ლექსიკონების დართვაში, რაც პრობლემას ნაწილობრივ მოაგვარებს.

გარდა ამისა, ჩვენ გვქონდა კონსულტაციები პროფესორ-მასწავლებლებთანაც და შევთანხმდით, რომ ბევრმა მათგანმა შეიძლება ვერ შეძლოს უცხო ენიდან თარგმანა, მაგრამ საიმოვნებო დაგვეხმარება რედაქტირებაში. მათ რიცხვში მეც ვარ. დროის დეფიციტის გამო, შესაძლოა, თარგმან ვერ შევძლო, მაგრამ ტერმინთა დადგენასა და რედაქტირებაში აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას.

ასე რომ, ურთიერთობა სტუდენტთა ამ ჯგუფთან საკმაოდ პროდუქტიულია. პრობლემა, რომელიც მათ დააყენეს, მართლაც აქტუალურია და არ შეიძლება ამას კონფორტაციის სახე მივცეს. ჩვენ ყველაფერს გააკეთებთ, რომ სტუდენტების ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

— სტუდენტთა მოთხოვნა ისიც იყო, რომ სასწავლო ლიტერატურა სხვადასხვა



ადგილზე და წიგნებში კი არ ეძებონ, არამედ ლექტორმა შეძლოს ამ მასალის ერთად თავმოყრა და „რიდერის“ სახით სტუდენტებისთვის შეთავაზება. შეხვედრებზე ამ საკითხზე თუ იყო საუბარი?

— პროექტი, რომელიც სტუდენტებმა წარმოადგინეს, სწორედ ამას ითვალისწინებდა. „რიდერი“, ანუ სასწავლო მასალა, რომელიც ყველა სტუდენტს სჭირდება, თავმოყრილი და განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში. ვინაიდან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არის 6 მიმართულება, მათ შეიმუშავეს თითოეული მიმართულებით ზოგადი „რიდერი“, ანუ სასწავლო მასალის გეგმა და ეს პროექტი პრეზენტაციაზე განვიხილეთ.

— ანუ, ეთანხმებით, რომ ლექტორმა ამ სახით მიაწოდოს სტუდენტებს სასწავლო მასალა?

— სტუდენტებს ეს პროექტი თვითნებურად არ გაუკეთებიათ. ისინი დაუკავშირდნენ მიმართულების ხელმძღვანელებს და გაითვალისწინეს პროფესორ-მასწავლებლებთანაზრი. „რიდერის“ შექმნაში მიუღებელი არაფერია, რადგან ეს იქნება ერთგვარი სავალდებულო მინიმუმი, რითაც სტუდენტი ისწავლის. ამას გარდა, ყველა პროფესორს რჩება უფლება, სტუდენტებს დამატებით საკითხავ მასალად მიაწოდოს ლიტერატურა, რომელიც შესაძლოა სასწავლო მასალაში ვერ მოხვდეს. ეს პრობლემა არ არის, პრობლემა თარგმანის ხარისხი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და სწორედ ამის შესახებ იყო ამ შეხვედრებზე საუბარი.

საბოლოოდ, უნდა ვთქვათ, რომ ეს იყო პირველადი შეხვედრები, რასაც პრაქტიკული ნაბიჯები მოჰყვება და სტუდენტების სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის პრობლემაც მოგვარდება.

P.S. გაზეთის რედაქცია დაინტერესდა, თუ რა სახელმძღვანელოებით (ქართულენოვანი თუ თარგმნილი) სარგებლობენ სტუდენტები სწავლისას. ზოგიერთ ფაკულტეტზე ეს ინფორმაცია ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია, ამიტომ სრულ მასალას ამის თაობაზე გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

### ნიგნის თარგმანი

## ახლად ნათარგმნი ღირებულ სახელმძღვანელო ეკონომიკაში

თსუ-ის ადმინისტრაცია სტუდენტების საერთაშორისო დონის სასწავლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას ცდილობს. თსუ-ის სტუდენტები მაინც გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ სასწავლო წიგნები, ხშირ შემთხვევაში, უცხოენოვანია. თსუ-ის ადმინისტრაცია და კადემიური პერსონალი მობილიზებულია სტუდენტთა პრეტენზიების ახლო მომავალში აღმოფხვრას. თსუ-ის აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტები სწავლას ამერიკიდან ახალი ნათარგმნი სახელმძღვანელოთი შეძლებენ.

### თამარ ღაღინი

თსუ-ის გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი ცნობილი ეკონომისტის, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორის ოლივიე ბლანშარის ნიგნის — „მაკროეკონომიკის“ (მე-5 გამოცემის) თარგმანის პრეზენტაცია 4 მაისს სასტუმრო Holiday Inn-ში შედგა. სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, ისე მაკროეკონომიკით დაინტერესებული მკითხველისთვის. სახელმძღვანელო სხვადასხვა თემებს

მოიცავს, მათ შორის პუნქტებს კაპიტალდაბანდების, ფინანსური და შრომითი ბაზრის, უმუშევრობის პრობლემების, ინფლაციის შესახებ. ნიგნში ასახული თეორიული მასალა მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის მსოფლიოში მიმდინარე მაკროეკონომიკურ პროცესებზე. სახელმძღვანელო მნიშვნელოვანია არა მარტო სტუდენტებისთვის, არამედ მაკროეკონომიკით დაინტერესებულ ნებისმიერი ადამიანისათვის.

„მაკროეკონომიკას“ მიმზიდველს ხდის ის ფაქტი, რომ იგი მსოფლიოში მომხდარ მოვლენებს ჰყენს ნათელს — დასავლეთ ევროპაში ევროს შემოღებიდან დაწყებული,

შეერთებული შტატების მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტითა და ჩინეთის ეკონომიკური ზრდით დამთავრებული. ნიგნი ერთ ძირითად მოდელს ეყრდნობა, რომელიც აღწერს ნონასწორობას სამი სახის ბაზარზე: საქონლის, ფინანსურ და შრომის ბაზარზე. სახელმძღვანელოს გაცნობისას წარმოდგენა შეეკმენება არა მხოლოდ წარსულ მაკროეკონომიკურ მოვლენებზე, არამედ იმაზეც, რომლებიც მომავალში განვითარდება.

ნიგნის ორი ძირითადი სიძლიერე ინტეგრირებული სტრუქტურა და მასში მაგა-

# ახლად ნათარბმნი ღირებულ სახელმძღვანელო ეკონომიკაში



ელენე ხარაბაძე

მეცხრე გვერდიდან

ლითების გამოყენება. V და IV გამოცემის სტრუქტურა მსგავსია. საბუნებრივ კი ის არის, რომ იგი ასახავს მსოფლიოში ახალ მაკროეკონომიკურ მოვლენებს, — ვიკითხულობთ ნინასიტყვაობაში.

ნიგნი ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით გამოიცა და მის თარგმანზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი ნოდარ ხადური და ასოცირებული პროფესორები: მალხაზ ჩიქობავა და ნაზირა კაკულია მუშაობდნენ, სამეცნიერო რედაქტორი გახლავთ თსუ-ის სრული პროფესორი იური ანანიავილი.

„სახელმძღვანელო მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, ძალიან დროულია. განსაკუთრებული დატვირთვა მას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის აქვს. სტუდენტები ღირებული ცოდნის შექმნას ორი უდიდესი ეკონომისტის მენქიუსა და ახლა უკვე ბლანშარის ფუნდამენტური ნაშრომის ქართული თარგმანის გაცნობით შეძლებენ. ჩვენი მიზანია, რომ სტუდენტები მსოფლიო სტანდარტების დონეზე მოვამზადოთ ეკონომიკის პრინციპულ საკითხებთან მიმართებაში, ხოლო ეკონომიკის პრინციპებში

ბის ძირითადი შემადგენელი ნაწილი სწორედ მაკროეკონომიკაა, ამიტომ აღნიშნული სახელმძღვანელო მხოლოდ მაკროეკონომიკის სახელმძღვანელოდ კი არ წარმოგვიდგება, არამედ ფუნდამენტურ საგნადაც.

იმედი მაქვს, რომ უცხოელი კოლეგების დახმარებით, კიდევ სხვა მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოებსაც მივანდობთ ჩვენს სტუდენტებს, — განაცხადა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ელენე ხარაბაძემ.

„მინდა მაღლობა გადავუხადო თსუ-ის გამომცემლობას და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს სახელმძღვანელოს გამოცემისთვის. სასურველია, რომ ჩვენმა სტუდენტებმა მშობლიურ ენაზე თარგმნილი ნიგნებით იხელმძღვანელონ, საჭიროებისამებრ მათთვის ხელმისაწვდომი იქნება უცხოენოვანი ლიტერატურაც. ჩვენი სახსრებითა თუ კერძო პირების შემოწირულობის დახმარებით კვლავაც გაგრძელდება სახელმძღვანელოების თარგმნა და გამოცემა, რაც გარკვეულ მითქმა-მოთქმებს და პრეტენზიებს წერტილს დაუსვამს, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიციანიძემ.

ოლივიე ბლანშარი ნიგნში შეძლო თეორიული შედეგების რეალურ სამყაროსთან დაკავშირება. ფაქტებზე დაყრდნობით, აღწერილია როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე მთელ მსოფლიოში მიმდინარე განსაკუთრებული მაკროეკონომიკური მოვლენები და ფაქტები.

„ბლანშარი გარდა თეორეტიკოსისა, კარგი პრაქტიკოსიც არის. ის მოღვაწეობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდში და იმ ბაზებისადმი წვდომა, რომელიც სახელმძღვანელოში აქვს გამოყენებული, გარანტია იმისა, რომ ჩვენი სტუდენტები სხვადასხვა ეკონომიკური პროცესების ღრმა და საფუძვლიან ცოდნას მიიღებენ. მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი ბლანშარი საკმაოდ დაინტერესდა ჩვენი გადამყვანი ტილებით და მომავალშიც ალგეირთქვა დახმარება. იგი ამჟამად ნიგნის VI გამოცემაზე მუშაობს. შეგვიპირდა, რომ ამ გამოცემასაც გვაჩუქებს და სხვა მნიშვნელოვან გამოცემებსაც მოგვანოდებს. აქვე მინდა გითხრათ, რომ რუსეთში ჯერ მხოლოდ

მაკროეკონომიკის მე-3 გამოცემით ასწავლიან, ჩვენ კი ქართველ სტუდენტებს უკვე მე-5 გამოცემა შევთავაზეთ. ჩვენი თაობა რუსულ სახელმძღვანელოებზე გაიზარდა, რადგან იმ დროს არ იყო საშუალება ნიგნები ინგლისურიდან გვეთარგმნა, დღეს კი ამ მხრივ აშკარა უპირატესობა გვაქვს, — განაცხადა თსუ-ის სრულმა პროფესორმა ნოდარ ხადურმა.

ბლანშარის ნიგნის ქართულ ენაზე თარგმნას ეკონომიკის ექსპერტი და უნივერსიტეტის პროფესორი ლადო პაპავაც გამოეხმარა. მან აღნიშნა, რომ მაშინ, როცა სტუდენტები სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე არ არსებობს აპროტესტებენ, ამ ნიგნის თარგმნა თსუ-ის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია და კარგი იქნება, თუ მას სხვა ფაკულტეტებზეც მიბაძავენ. როგორც უნივერსიტეტის პროფესორები აცხადებენ, ოლივიე ბლანშარის სხვა ნიგნების თარგმნაც იგეგმება, ამიტომ „მაკროეკონომიკის“ ავტორთან თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

ოლივიე ბლანშარის კვლევის სფერო მრავალმაკროეკონომიკურ პრობლემას მოიცავს, ფისკალური პოლიტიკის ეფექტებით დაწყებული — მოლოდინის მნიშვნელობით, ფასების სიხისტით, დასავლეთ ევროპაში უმუშევრობით, აღმოსავლეთ ევროპაში ტრანსფორმაციით და შრომის ბაზრის ინსტიტუტებით დამთავრებული. მან მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის არაერთი ნაშრომი შექმნა — მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, ევროკავშირის კომისია, აგრეთვე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

ოლივიე ბლანშარი 2008 წლის 1 სექტემბრიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარი ეკონომისტია. პროფესორს გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი ნაშრომი, არის არა ერთი გამოცემის რედაქტორი და 15-ზე მეტი ნიგნის ავტორი, რომელთა შორისაა სტესლი ფიშერთან ერთად შექმნილი ლექციების კურსი მაკროეკონომიკაში.



## როგორ პასუხობს თსუ-ის ენების ცენტრი სტუდენტთა პრეტენზიებს

ამ ბოლო დროს სტუდენტთა გარკვეული ნაწილი ხშირად აცხადებს პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თითქოს უცხო ენის საფუძვლიანად არ ასწავლიან, რის გამოც სტუდენტებს თურმე უცხო ენაზე შედეგებითი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების გაცნობა უჭირთ. აღსანიშნავია, რომ გარდა თსუ-ის ენების ცენტრის ძალიან ხშირად, უცხო ენის, განსაკუთრებით კი ინგლისური ენის სწავლისთვის ხელშეწყობის არაერთი პროგრამა და პროექტი შესთავაზა სახელმწიფო ახალგაზრდებს, რომელთაც, წესით, უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების პრობლემა აღარ უნდა ჰქონდეთ. ამ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენ დავინტერესდით უნივერსიტეტის ენების ცენტრის ხელმძღვანელების პოზიციით, თუ როგორ ხედავენ არსებული სიტუაციიდან გამოსავალს. გვესაუბრება ენების ცენტრის უფროსი რუსუდან დლოიძი.



— ქალბატონო რუსუდან, სტუდენტები ხშირად ჩივიან, რომ დარგობრივი სახელმძღვანელოები უზარისხობდა თარგმნილი ენების ცენტრი რას აკეთებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

— მოგვხსენებთ, რომ ამ ეტაპზე ენების ცენტრს სახელმძღვანელოების თარგმნა არ ევალება. შემთხვევით განვაცხადო, რომ ამ მიმართულებით ჩვენთვის დახმარებისათვის არც ერთ ფაკულტეტს არ მოუმართავს. სახელმძღვანელოსა და ნებისმიერი აკადემიური გამოცემის თარგმანს ესაჭიროება უფლებების მოპოვება თარგმნის ან ნიგნის ავტორისაგან. თუ ასეთ უფლებას მოიპოვებს უნივერსიტეტი, ამ შემთხვევაში, ნებისმიერ ფაკულტეტს გაუწევთ შესაბამის დახმარებას. სამომავლოდ ჩვენ ვეგეგმავთ მთარგმნელობითი განყოფილების გახსნას, სადაც ჩვენი მხრიდან დასაქმდებიან სპეციალისტები, რომლებიც დახელოვნებულნი არიან გარკვეულ დარგში, ეს იქნება ეკონომიკა, სამართალი, იურისპრუდენცია, პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია და ა.შ. ამასთან, გავითვალისწინებთ, რომ თითოეული სახელმძღვანელოს თარგმნის პროცესში ფაკულტეტებიდანაც ჩაერთოთ სპეციალისტები, რათა თავიდან ავიცილოთ ტერმინოლოგიური უზუსტობები. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ მთარგმნელობითი განყოფილების არსებობის შემთხვევაშიც კი სახელმძღვანელოებს შესაბამისი უფლების გარეშე ვერ ვთარგმნით.

— ვინაიდან სწავლების ხარისხზეც გამოითქმის პრეტენზიები სტუდენტთა გარკვეული ჯგუფის მხრიდან, საინტერესოა თქვენი აზრი, თუ რა ღონისძიებები გასატარებელია სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად და იმ სტუდენტთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც სურთ სწორედ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის საფუძველზე მოახ-

ერხონ მათ უცხოენოვანი სასწავლო ლიტერატურით სარგებლობა?

— ენების ცენტრში სწავლების პროცესი, ჯერჯერობით, ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს. ამ სემესტრში სერიოზულ ცვლილებებს ვერ განვახორციელებთ, რადგან პროგრამები უკვე შედგენილია. ყველა ენაში გვაქვს სილაბუსები და იმ პროგრამისა და საათობრივი ბადის ფარგლებში ვასწავლით, რასაც ფაკულტეტები ჩვენგან ითხოვენ.

სექტემბრიდან დარგობრივი ენების სწავლებას მეტი ყურადღება მიექცევა, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ვინაო სპეციალობის სტუდენტებისათვის. სექტემბრიდან ენების ცენტრის მიერ სასწავლო სახელმძღვანელოების შეცვლაც იგეგმება. ტრადიციულად, სახელმძღვანელოები 2-3 წელიწადში იცვლება, რადგან ეს მეთოდოლოგიურად გამართლებულია. მეორე ეტაპზე ჩვენ გვიწევს შევქმნათ მეთოდური ბორდი, რომელიც სასწავლო პროცესს უზღვევს. ცენტრის დებულება მზადაა დასამტკიცებლად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეგვიძლია შევთავაზოთ მთარგმნელობითი მომსახურება — ეს თსუ-ის ადმინისტრაციის ნებაზეა დამოკიდებული. აქვე უნდა აღვნიშნო ის გარემოებაც, რომ ენების ცენტრს ადმინისტრაციისგან დიდი მხარდაჭერა აქვს.

ცნობისთვის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენების ცენტრი 2005 წელს შეიქმნა და, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, 2006 წლიდან ფუნქციონირებდა. 2007 წლიდან ცენტრი დაუქვემდებარეს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, თუმცა, ამ ეტაპზე, იგი კვლავ დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული გახდა, ისევე, როგორც ეს ევროპის ნამყვან უმაღლეს სასწავლებლებშია აპრობირებული. თსუ-ის ენების ცენტრი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს სთავაზობს უცხო

ენების მრავალფეროვან კურსებს როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნის სახით. აღსანიშნავია, რომ აქ სხვა დანიტრესებულ პირებსაც შეუძლიათ ამა თუ იმ ენაში კომპეტენცია აიმალონ. ამჟამად ცენტრი თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან: ბრიტანულ საბჭოსთან, გოეთეს ინსტიტუტთან და ფრანგულ ინსტიტუტთან, ასევე აშშ-ის, გერმანიის, იტალიის, თურქეთის, იაპონიის საელჩოებთან, რომელთაც დიდი წვლილი შეაქვთ სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში.

ენების ცენტრის ხელმძღვანელის რუსუდან დლოიძის ინფორმაციით, ცენტრი უზრუნველყოფს ენის სწავლებას დაწყებითი ცოდნიდან პროფესიულ დონემდე და სტუდენტებს სთავაზობს როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ გაკვეთილებს. ცენტრს შემუშავებული აქვს კურსები, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციალისტთა ინტერესებსაც. ამჟამად ენების ცენტრში ისწავლება ევროპული ენები: ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ბერძნული, იტალიური, რუსული, ესპანური; კავკასიური ენები: აფხაზური, ჩეჩნური, ადიღური; კლასიკური ენები: ლათინური და ძველი ბერძნული; აღმოსავლური ენები: არაბული, სომხური, სპარსული, ებრაული, ჩინური, იაპონური, თურქული; ასევე ისწავლება ქართული ენაც უცხოელი მოქალაქეებისთვის.

მარტის დასაწყისში იმ პედაგოგებმა, რომლებიც ცენტრში მუშაობდნენ, ატესტაცია გაიარეს, რის საფუძველზეც ისინი ცენტრში უკვე შტატის თანამშრომლის სტატუსით დასაქმდნენ. ახალი წესის თანახმად მასწავლებელი 4 წლის ვადით ირჩევა. ენების ცენტრის თანამშრომლები აქტიურად ზრუნავენ ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმზე.

მოამზადა შპრისინა ბაროშვილმა

# მაღალტექნოლოგიური მასალების დამზადება სწრაფად და იაფად

იდეა, რომელიც ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებას ან ახალი ტექნოლოგიის შემუშავებას შეეხება, შესაძლოა განხილვის ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც მეცნიერების განვითარებისთვის სათანადო პირობებია შექმნილი. საქართველოს ხელისუფლების გადამწყვეტილება — მეტი ყურადღება დაეთმოს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებას, მიმართულია სწორედ იქით, რომ ქართველ მეცნიერთა იდეებმა პრაქტიკული განხორციელება პოვოს.

იმ სამეცნიერო პროექტებს შორის, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშავდება, ინტერესს იწვევს ახალი სამეცნიერო მიგნება, რომელიც მაღალტექნოლოგიური მასალების ეფექტურ და სწრაფ დამზადებას შეეხება. პროექტი, „ფოტონისმიულირეზონანსული მყარსხეულოვანი რეაქციის დამუშავება და მისი გამოყენება მაღალტექნოლოგიური მასალების დამზადებისათვის“ გულისხმობს ზეგამტარების, ძლიერი მაგნიტების, ნახევარგამტარებისა და სხვა მაღალტექნოლოგიური მასალების მიღების ტექნოლოგიური პროცესის დახვეწას. პროექტის თანამონაწილე მეცნიერები უკვე დარწმუნებულნი არიან, რომ იდეა რეალურია და სათანადო დამუშავების შემდეგ იგი წარმატებით განხორციელდება.

პროექტის არსსა და მისი განხორციელების მოსალოდნელ შედეგებზე პროექტის ხელმძღვანელი, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ალექსანდრე შინბელიანი გვესაუბრა.

## მაია ტორაძე

— ბატონო ალექსანდრე, რა არის თქვენი მიგნების არსი და რითაა ის გამორჩეული იმ მეთოდებისგან, რომლითაც თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მასალები მიიღება?

— თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ მასალებზე, როგორცაა ზეგამტარები, ძლიერი მაგნიტები, ნახევარგამტარები და ყველა ის ნივთიერება, რომელიც დღეს მაღალტექნოლოგიური მასალების დამზადებისთვის გამოიყენება, მოთხოვნილება თანდათან იზრდება. ამიტომ ნებისმიერი სიახლე და მიგნება ამ მიმართულებით მეცნიერთა ინტერესს საგანია.

რა არის ჩვენი პროექტის არსი?

მაღალტექნოლოგიური მასალების დასამზადებლად საჭირო ნივთიერებების სინთეზი ამაჟამად ე.წ. მყარი სხეულის რეაქციის მეთოდით ხდება. ამ მეთოდის მიხედვით სხვადასხვა ქიმიური კომპონენტები (ფხვიანობის სახით) სასურველი პროპორციით ერევა ერთმანეთს და მაღალტემპერატურაზე (დაახლოებით 1000-დან 1200 გრადუსამდე) ცხვება. აღნიშნული მეთოდით მასალის საბოლოო სახით მიღებას, დაახლოებით, ერთი კვირა სჭირდება. ანუ ეს არის პროცესი, რომელიც დიდ დროს და ენერჯის მოთხოვს. ჩვენ დაგვებადა იდეა, გაგვეკვია, ხომ არ შეიძლება მყარი სხეულების მიღების პროცესის დაჩქარება და რადგანაც ნახევარგამტარების ფიზიკაში ძლიერი ნათურების გამოსხივების ეფექტების შესწავლის გარკვეული გამოცდილება გვქონდა, გადავწყვიტეთ, გვეცადა ნივთიერებების მიღება ამ მეთოდით.

თავიდან ეს თითქოს უცნაური იდეა იყო, მაგრამ გვქონდა გარკვეული მოსაზრებები, თუ რატომ შეეძლო ამ მეთოდს ემუშავა. ამიტომ დავეინყეთ იდეის განხორციელება უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული დანადგარების მეშვეობით. ავიღეთ სათანადო მასალა (ნიმუში) და მძლავრი ნათურებით დავასხივეთ იგი. აღმოჩნდა, რომ საკმარისია სინათლის მძლავრი იმპულსით 20-ნამიანი დასხივება, რათა მივიღოთ უკვე მზა ნივთიერება, რომლის მიღებასაც აქამდე არსებული მეთოდით ერთი კვირა სჭირდებოდა.


ეს არის ჩვენი მიგნება. მაღალტექნოლოგიური ნივთიერებები მსოფლიოში ამ მეთოდით ჯერ არავის დაუმზადებია და ამის შესახებ არც არსად დანერგა. ჩვენ უკვე გავამზადეთ სტატია და გავგზავნეთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში „მოამბე“. გვინდა, ჯერ აქ გამჟღავნდეს იდეის შესახებ, რადგან ეს რომ საერთაშორისო ჟურნალში გამოვაქვეყნოთ, წამში შეუძლია ვიღაცას დაგვასწროს და ჩვენი იდეა ჩვენზე ადრე განახორციელოს. ჩვენ გვინდა ჯერ პროცესი კარგად შევისწავლოთ და მოვძებნოთ ოპტიმალური რეჟიმები, რომელზეც შემდეგ მზა ტექნოლოგიური პროცესი აიგება. როდესაც მხოლოდ იდეა არსებობს და მას არ მოჰყვება ტექნოლოგიური დადასტურება, ნებისმიერ ჩვენზე უკეთ შეიარაღებულ ლაბორატორიას შეუძლია დაგვასწროს და იდეა განახორციელოს. ამიტომ ჩვენს იდეას ჯერ მხოლოდ საქართველოში ვაფიქსირებთ.

— როგორც აღნიშნეთ, თქვენ მიერ მიგნებული ტექნოლოგიური მეთოდი, აქამდე არსებული შედარებით, ძალზე აიაფია, მაგრამ რაც უნდა ეკონომიური იყოს იდეის განხორციელების პროცესი, გარკვეულ დაფინანსებას მაინც მოითხოვს. თქვენს პროექტს ვინ აფინანსებს?

— პირველი ცდები გაკეთდა ჩვენი სამეცნიერო მუშაობის ფარგლებში, მაგრამ დღეისათვის პროექტი უკვე წარდგენილია რუსთაველის სამეცნიერო ფონდში და პასუხს ველოდებით. თუმცა ჩვენ უკვე დავინყეთ სერიოზული, დეტალური მუშაობა ამ მიგნებაზე და მიუხედავად იმისა, დააფინანსებს თუ არა ამ პროექტს სამეცნიერო ფონდი, მაინც ვაპირებთ მასზე მუშაობის გაგრძელებას, რადგან პირველი შედეგები ძალზე ეფექტურია.

პროექტზე მუშაობს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონდენსირებული გარემოს ფიზიკის ლაბორატორიის მეცნიერთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში, ჩემს გარდა, არიან დიმიტრი დარასელია (ლაბორატორიის გამგე), ზურაბ ჯიბუტი და დავით ჯაფარიძე. ასევე, ჩართულნი არიან სტუდენტებიც, რომელთაგან ეს საკითხი ერთ-ერთის სამაგისტრო სადიპლომო ნაშრომის თემაცაა.

— თუკი არსებობს იდეა, რომელიც კომერციულ დატვირთვის ატარებს, უნდა იყოს ის ბიზნეს-სფერო, ვისთვისაც ეს იდეა კომერციულად საინტერესოა. თქვენი სამეცნიერო პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ვის დაინტერესებს ეს მიგნება, ვისთვისაა იგი განკუთვნილი?



— ეს რომ ავხსნა, ცოტა შორიდან დავინყებ და ვიტყვი, რომ ზეგამტარების პარამეტრები განუწყვეტილად უმჯობესდება. არსებობს ჩვეულებრივი ზეგამტარები, რომელსაც კლასიკურ ზეგამტარებს უწოდებენ. 1986 წლიდან კი დაიწყო მაღალტემპერატურული ზეგამტარების აღმოჩენა, რომელიც, სხვათა შორის, ჩემმა მასწავლებელმა, შვეიცარიელმა პროფესორმა ალექს მიულერმა აღმოაჩინა და ამისთვის მას ნობელის პრემია მიენიჭა. დღეისათვის ამ ტექნოლოგიის ღირებულება ოც მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

ზეგამტარი არის ნივთიერება, რომელსაც შეუძლია ძალიან დიდი დენის გატარება. ჩვეულებრივ მათულს აქვს

გარკვეული ზღვარი, ანუ წინაღობა, თუ რა სიდიდის დენი შეუძლია გაატაროს. ამ ზღვარს ზემოთ ის გადახურდება და დადნება. ზეგამტარი კი ისეთი ნივთიერებაა, რომელსაც წინაღობა საერთოდ არ გააჩნია. მას შეუძლია გაატაროს ნებისმიერი სიდიდის ელექტროენერგია ისე, რომ არც კი ვაობეს. მას აქვს ასევე სხვა დადებითი თვისებებიც: როდესაც ელექტროსადგურიდან ელექტროენერგია ჩვენამდე მოდის, ის გაივლის დიდი რაოდენობით სადენებს და მანძილს, რის გამოც ელექტროენერგია იკარგება. ზეგამტარები კი ამ დანაკარგების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

ასევე შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ დიდი ქალაქების ელექტროენერგით უზრუნველყოფის პერსპექტივა — მსოფლიოს დიდ ქალაქებში კარგა ხანია გაჩნდა პრობლემა: რადგანაც ელექტროენერგიის მოხმარება ყოველწლიურად იზრდება, საჭიროა მისი ქსელში განაწილება, რასაც აქამდე არსებული ელექტროსადენები ვეღარ უძლებს. ამიტომ ამერიკასა და იაპონიაში უკვე დაიწყეს მავთულების ზეგამტარებით ჩანაცვლების ცდები. მართალია, ეს საკითხი ჯერ გამოცდის ეტაპზეა, მაგრამ ყველა ხვდება, რომ ზეგამტარობა არის ტექნოლოგია, რომელსაც ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს. უახლოესი 20 წლის განმავლობაში ქსელების პრობლემა მწვევად დადგება და ზეგამტარებიც აქტიუალური გახდება.

ძალიან მნიშვნელოვანია ზეგამტარების გამოყენება სამედიცინო დარგშიც. ყველას გაუგია მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიის შესახებ. ამ აპარატებში სწორედ ზეგამტარები გამოიყენება, რადგან მას ძლიერი მაგნიტური ველი სჭირდება და მისი შექმნა ზეგამტარების გარეშე საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა. ხვალ, ბუნებრივია, უფრო მეტი მოთხოვნა იქნება მასზე, რადგან მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიის განვითარების გარეშე თანამედროვე მედიცინა წარმოუდგენელია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ

რადგანაც ჩინეთი მიხვდა, რომ ეს ელემენტები ყველას სჭირდება. ამან გამოიწვია თავად მაგნიტების გაძვირებაც. ახლა ყველა ეძებს გზას, რომ ეს პროდუქცია როგორმე გააიაფოს. მეთოდი, რომელსაც ჩვენ ვამუშავებთ, ამ მიმართულებითაც საინტერესოა, რადგანაც არის იდეები, თუ როგორ შეიძლება მაგნიტების დამზადება იშვიათმინალებების გარეშე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფოტონური დასხივების მეთოდი ამ მხრივაც საინტერესო იქნება.

— როდესაც მეცნიერების კომერციალიზაციაზე საუბარი, უნდა გამოვყოთ, რომ შესაძლებელია გაიყიდოს იდეაც და მისი განხორციელების ტექნოლოგიაც. ბუნებრივია, თუ თქვენი სამეცნიერო იდეა სათანადო შედეგებს მოგვცემთ, დაინტერესებული იქნებით მისი შემსყიდველიც მოიძებნოს. როგორ ფიქრობთ, სავარაუდოდ, რომელი სფერო შეიძლება დაინტერესდეს ამ ტექნოლოგიით?

— როგორც თქვენ ბრძანეთ, ერთი გზა არის სწორედ იდეის დაპატენტება, მაგრამ ეს არ ნიშნავს ავტომატურად ფულის შემოსვლას. ეს იდეა ვიღაცამ უნდა იყიდოს და გამოიყენოს. მეორე არის უკვე მზა ტექნოლოგია, რომლითაც ინვესტორი უნდა დაინტერესდეს და მისი წარმოება დაიწყოს.

მეცნიერის ამოცანა არ არის ფულის „კეთება“. მისი ამოცანაა, დაამუშაოს ტექნოლოგია და შესთავაზოს ის ინვესტორს, ან დაინტერესოს სახელმწიფო. ის, რომ ჩვენ ჯერ იდეა დავამუშაოთ, მერე კი მისი ტექნოლოგია, გავაკეთოთ წარმოება, შექმნათ პროდუქცია, ვიპოვოთ ინვესტორი ან მყიდველი და გავყიდოთ იგი, წარმოუდგენელია. ეს, პრაქტიკულად, მეცნიერებაზე უარის თქმას ნიშნავს. ამით შესაბამისი სტრუქტურები უნდა იყვნენ დაინტერესებული. ჩვენ გავაკეთებთ ჩვენს საქმეს, მისი შეფუთვა, დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის მიწოდება და შემდგომი რეალიზაცია უკვე სხვა სტრუქტურების მოვალეობა უნდა იყოს.

— და მაინც, თქვენი აზრით, რომელია ის „სხვა სტრუქტურები“, რომელიც თქვენი პროექტით უნდა დაინტერესდეს?

— არსებობს კომპანიები, რომლებიც ამ მასალების დასამზადებლად ტრადიციულ ტექნოლოგიებს იყენებენ. რა თქმა უნდა, ისინი დაინტერესდებიან იდეით, რომელიც რეალურად მუშაობს და ტექნოლოგიით, რომელიც გაცილებით სწრაფი და იაფია. კომპანიები, რომლებიც ამზადებენ და ყიდნიან მაღალტექნოლოგიურ მასალებს, არიან გერმანიაში, ამერიკაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. რაც შეეხება კერძო ინვესტორს საქართველოში, იგი, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით სამეცნიერო პროექტებზე ნაკლებად ფიქრობს, რადგან გაცილებით ადვილია იყიდო შექარი უკრაინაში და გაყიდო საქართველოში, ვიდრე ისეთ გრძელვადიან საქმეში ჩადო თანხა, როგორც მეცნიერების კომერციალიზაცია.

მე მაინც მგონია, რომ ასეთი ტექნოლოგიების გაყიდვის ყველაზე კარგი გზაა — საქართველოში შემოვიდეს რომელიმე მსოფლიოში ცნობილი კომპანია და აქ დაიწყოს ისეთი ტექნიკის წარმოება, რომელსაც ზეგამტარები და სხვა თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მასალები სჭირდება. მაგალითად, ბოლო პერიოდში ირლანდიაში ნოუთბუქების წარმოება დაიწყო და ამან სხვადასხვა მოთხოვნილება გააჩინა, მათ შორის, მაღალტექნოლოგიურ მასალებზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე და ა.შ. ასეთი რამ რეალურია და პერსპექტიულიც.

ვიმეორებ, მეცნიერების ამოცანა არის ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების შექმნა და არა მისი წარმოება-გაყიდვა. როგორ გამოიყენებენ ახალ მიგნებებს ქვეყანაში, ეს უკვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე დამოკიდებულია.

# შენიშვარსობით

## შოთა მესხია — „ვეფხისტყაოსნით“ ნასაზრდოები მეცნიერი

შოთა მესხია ერთ-ერთი მათგანია, ვინც, სახელოვან წინამორბედთა მსგავსად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიტეტსა და ღირსებას თავისი მოღვაწეობით და ცხოვრებით უფროსად უნდა აღვნიშნავთ. უნივერსიტეტში უკვე ის თაობა სწავლობდა და ასწავლიდა, რომელთა უმეტესობას შოთა მესხიას მხოლოდ წიგნები აქვთ ნაკითხული. მისი მეცნიერული დამსახურება საქართველოს წინაშე ფასდაუდებელია. ამიტომაც, მეცნიერის დაბადების დღე უნივერსიტეტში განსაკუთრებულად აღინიშნა. 27 აპრილს, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის და საზოგადო მოღვაწის შოთა მესხიას დაბადებიდან 95 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებას მისი კოლეგები, მეგობრები, ოჯახის წევრები, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ. იუბილეს ფარგლებში, თსუ-ის V კორპუსის ფოიეში გამოიფინა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული შოთა მესხიას პირადი არქივის ნაწილი, შრომები და ხელნაწერები.

### შურსხია გაროშვილი

„თამამად შემოიღია ვთქვა, რომ ცხოვრებაში გამიმართლა, რადგან შოთა მესხიას შვილიშვილი ვარ და იმ ადამიანების გარემოში მომინია ცხოვრებამ, რომლებმაც გამიძლიერეს საქართველოს ისტორიის სიყვარული და პატივისცემა ბაბუას მიმართ. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ჩემი პედაგოგები იყვნენ ბაბუას მეგობრები და კოლეგები: მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, ნოდარ ასათიანი. სამწუხაროდ, ბაბუა არ მახსოვს, რადგან პატარა ვიყავი, როდესაც იგი გარდაიცვალა, მაგრამ ბებია წმიდად მიყვებოდა მის შესახებ და შემახსენებდა ხოლმე, როგორი პიროვნების შვილიშვილი ვარ. ჩემი წინაპრები ახლა, ალბათ, ძალიან ბედნიერები იქნებოდნენ, რადგან უნივერსიტეტის რექტორის საპატიო ტიტონს ვატარებ. შოთა მესხია დამსახურებული მეცნიერია, რომლის შრომებიც ქართული ისტორიის შესწავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე მან შექმნა შექმნა საფუძვლიანი და სიღრმისეული ფუნდამენტი ქართული ისტორიისთვის. გვსურს, ახალმა თაობამაც იცოდეს მისი მოღვაწეობის შესახებ, რასაც მსგავსი ღონისძიებები ემსახურება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიციანიძემ შოთა მესხიას 95 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

შოთა მესხია იმ დღეს ბევრმა ადამიანმა გაიხსენა. საზეიმო სხდომა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ გახსნა, რომელმაც მიწვეულ სტუმრებს მიმართა: „საბედნიეროდ, ჩვენს გვერდით დღესაც არიან მისი კოლეგები, მეგობრები, რომლებიც შოთა მესხიასთან ერთად ათეული წლების მანძილზე იღვწოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს ისტორიის საკითხებს იკვლევდნენ. იმედი გვაქვს, რომ ასეთი შეხვედრების დროს უფრო მეტ ინფორმაციას მივაწვდით მომავალ თაობას ჩვენს სასიყვარულო მამულიშვილზე, პატივს მივაგებთ დიდი მეცნიერის ხსოვნას, გაიხსენებთ, შევაფასებთ და დავაფასებთ მის ღვაწლს“.

დარეჯან თვალთვაძემ იუბილეს ორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს და ყველა იმ ადამიანს, ვინც საიუბილეო მზადებაში აქტიურად იყო ჩართული.

შოთა მესხიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ეტაპებზე ვრცლად ისაუბრა აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ.

„შოთა მესხია 1916 წელს დაიბადა. იგი სამეცნიერო ასპარეზზე 1937 წელს, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გამოვიდა. ის გახლდათ სიმონ ჯანაშიას საყვარელი სტუდენტი და ასპირანტი. როდესაც ომი დაიწყო, შოთა მესხია ფრონტზე გაიწვიეს და დროებით ჩამოშორ-

და სამეცნიერო საქმიანობას. 1942 წელს იგი დაიჭრა და საქართველოში დაბრუნდა. ამავე წელს მან საკანდიდატო დისერტაცია დაცვა თემაზე — „ხელოსნობა ძველ საქართველოში“ (V-XII საუკუნე). 1945 წელს იგი აირჩიეს დოცენტად, 1956 წელს კი, ნიკო ბერძენიშვილის წარდგინებით, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ შოთა მესხია აირჩია საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ, იმ კათედრისა, რომელსაც მისი დიდი მასწავლებლები: ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდნენ. 1957 წელს მან მიანიჭეს საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მეცნიერის წოდება. 1967 წელს შოთა მესხია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

შოთა მესხიას მეცნიერული მემკვიდრეობის ძირითადი თემატიკა შუა საუკუნეების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საითხები იყო. იგი ჯერ კიდევ ომში წასვლამდე, თეიმურაზ ბაგრატიონის პიროვნებაზე და მის მოღვაწეობაზე მუშაობდა. ომიდან დაბრუნებულმა, 1942 წელს გამოცა „თეიმურაზ ბაგრატიონის ივერიის ისტორია“.

1951 წელს იგი მოსკოვში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში დოქტორანტად მიაღწია. ორი წლის განმავლობაში მის მუშაობას ცნობილი რუსი ისტორიკოსი ტიხომიროვი ხელმძღვანელობდა. 1955 წელს დაიცვა დოქტორის ხარისხი და დაწერა ერთ-ერთი კარდინალური ნაშრომი: „ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში“. ნაშრომი, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონოგრაფია, რუსულადაც გამოიცა. ეს არის გამოკვლევა ქართული ქალაქების შესახებ, სადაც მეცნიერი ავითარებს იმ თვალსაზრისს, რომ XVII-XVIII საუკუნეებში თბილისში შეიქმნა ქალაქის მცხოვრებთა ზედა ფენა, რომელსაც „მოქალაქე“ ეწოდებოდა. შოთა მესხია თავიდანვე გატაცებული იყო თბილისის ისტორიით, რომლის შესახებ მას რამდენიმე სტატია აქვს გამოქვეყნებული, 1952 წელს დავით გვრიტიშვილთან ერთად გამოცა ნაშრომი: „თბილისის ისტორია უძველესი დროიდან საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე“, რომლის მეორე, გაფართოებული ვარიანტი 1965 წელს გამოიცა, მამია დუმბაძისა და აკაკი სურგულაძის თანაავტორობით. ამ გამოცემას დაემატა თბილისის ისტორია საბჭოთა ხელისუფლებამდე. წიგნში ძირითადი თავები ავტორი შოთა მესხია გახლავთ.

მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი „ქსნის ერისთავთა მატანე“, რომლის მასალები მან ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოიპოვა და დაამუშავა.

შოთა მესხიას განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის ეპოქა უყვარდა. თავის ერთ-ერთ გამოკვლევას, თავდაპირველად, „დიდგორის ბრძოლა“ უწოდებდა. ამ ნაშრომში იგი დავითის მიერ დიდგორის ბრძოლის წინ გატარებულ სამხედრო


რეფორმას განიხილავს. 1972 წელს უკვე გაფართოებული და რედაქტირებული ეს ნაშრომი, „ძველი საქართველოს“ სახელწოდებით ხელახლა გამოიცა და მისი სათაყვანებელი მასწავლებლის სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია მიენიჭა.

პარალელურად, მეცნიერი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. იგი ხშირად კითხულობდა ლექციებს თბილისში და სხვადასხვა რეგიონებში, თავიდანვე აქტიურად ჩაება ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის შექმნაში, სადაც საქართველოს ისტორიის სექციას ხელმძღვანელობდა. იგი სიცოცხლის ბოლომდე თავდაუზოგავად შრომობდა, სამუშაო მაგიდაზე მას დარჩა თითქმის დამთავრებული ნაშრომი — „საქართველოს პოლიტიკური ისტორია და სახელმწიფოებრივი წყობა“ (XI—XII ს.).

შოთა მესხია ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე საქართველოს ისტორიასა და მის სწავლებას შეეხებოდა. 70-იან წლებში, ატესტატი საქართველოს ისტორიაში ცალკე ნიშანი არ იწერებოდა. შოთა მესხიას ხელში ჩაუვარდა ერევნის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლის ატესტატი, სადაც სომხეთის ისტორიაში ნიშანი ეწერა. ამის შესახებ მან დაწერა წერილი სათაურით, „საცნობელად თავისაო“ და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა. სტატია დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში. შოთა მესხიამ მოიპოვა უფლება, რომ საქართველოს ისტორიის კათედრის წევრებს საქართველოს მასშტაბით შეემონებინათ საქართველოს ისტორიის სწავლების დონე არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ სკოლებშიც. შემდეგ დაწერა დასკვნა და სათანადო ორგანოებში გაგზავნა, რამაც თავისი შედეგი გამოიღო — მისი გარდაცვალების შემდეგ სკოლებში საქართველოს ისტორიის საათები გაიზარდა და მიიღეს დადგენილება ახალი სახელმძღვანელოს შექმნის თაობაზე, ასე ქრონოლოგიურად აღწერა მართამ ლორთქიფანიძემ თავის გამოხსენებაში შოთა მესხიას მიერ განვლილი გზა.

მეგობარი და კოლეგა აკადემიკოსმა ოთარ ჯაფარიძემაც გაიხსენა. ახალგაზრდა მეცნიერებმა ერთმანეთი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში გაიცნეს. ბატონ ოთარს კარგად ახსოვს, როგორ ანდო სიმონ ჯანაშიამ შოთა მესხიას ლექციების ნაკითხვა საქართველოს ისტორიაში. მან საზოგადოებას სიმონ ჯანაშიას წერილი გააცნო, სადაც იგი შოთა მესხიას საყვარელად შენიშვნებზე ისაუბრობს.

ოთარ ჯაფარიძე 1972 წლის თებერვალში ერაყში, არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა. წინა დღეს მეგობრებმა ფეხით ერთად გაისივრნეს ისტორიის ინსტიტუტიდან მამინდელ ლენინის მოედნამდე. „ბავშვთა სამყაროში შევიარეთ, რომ შევიღებოთ მისთვის საჩუქრები გვეყიდა, შოთამ თავისი შვილიშვილისთვის, სანდროს-



ვის, დიდი ორთქმავალი შეარჩია. მახსოვს, ძალიან უყვარდა და ბევრს მიყვებოდა მასზე. მისში, როდესაც ერაყიდან ჩამოვედი, მისი გარდაცვალების ამბავი გავიგე, რაც ჩემთვის მოულოდნელი და ძალიან მტკივნეული იყო. იგი მხოლოდ სიკეთისთვის ცხოვრობდა, ბევრს გაუწოდა დახმარების ხელი და ცხოვრების გზის გაკვლევაში დაეხმარა. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ასაკში გარდაიცვალა, ბევრის გაკეთება მოასწრო“, — ასე გაიხსენა ოთარ ჯაფარიძემ მეგობარი.

იუბილეზე შოთა მესხია გაიხსენეს ნოდარ ასათიანმა, გივი ჯამბურია, თამაზ გამყრელიძემ და სხვებმა.

ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოვიდა ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტის რექტორი თეონა ხოფერიანი, რომელმაც თავის გამოსვლაში ისაუბრა, რამდენად დაფასებულია მეცნიერი მშობლიურ სამეგრელოში. „ჩვენმა სასწავლებელმა 2011 წელი „შოთა მესხიას წლად“ გამოაცხადა, რომელიც მრავალი საინტერესო ღონისძიებით აღინიშნება. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სახელით მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ჩვენთან თანამშრომლობისთვის“, — აღნიშნა თეონა ხოფერიანი.

განსაკუთრებით საინტერესო იყო პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის გამოსვლა, რომელმაც საზოგადოების ყურადღება გაამახვილა გამოფენაზე წარმოდგენილ „ვეფხისტყაოსნის“ იმ გამოცემაზე, რომელიც მეცნიერს კიროვობაში სამხედრო სამსახურის დროს შეუქმნია. 1966 წელს, შოთა რუსთაველის კაბინეტის გახსნის დღეს, შოთა მესხიამ წიგნი კაბინეტს უსახსოვრა. უფრო მნიშვნელოვანია ნარწერა, რომელიც მას ამ წიგნზე გაუკეთებია — „ვეფხისტყაოსანმა“ იარა ჩემთან ერთად კიროვობა-დიდან ბუგლენამდე (დალესტანი), მატარებლით და ფეხით, ბუგლენიდან ყუბანამდე, მთელი ყუბანი ფეხით მოვიარეთ, განუყრელად. ჩემს მცირე ჩემოდანში მუდამ იყო ადგილი მისთვის, შესვენებების დროს მუდმივად მესაუბრებოდა იგი მე და მამხსენებდა თავისი ბრძნული აფორიზმებით. მაგონდება, რომ ჩრდ იხე შორეულ წარსულში თავგამოდებით ვსწავლობდი მის ყოველ სიტყვას და ვცდილობდი, ამ

ნაშრომში მეპოვა მასალა საქართველოსა და მისი ხალხის გმირული ისტორიის შესახებ. მისში, როდესაც ერაყიდან ჩამოვედი, მისი გარდაცვალების ამბავი გავიგე, რაც ჩემთვის მოულოდნელი და ძალიან მტკივნეული იყო. იგი მხოლოდ სიკეთისთვის ცხოვრობდა, ბევრს გაუწოდა დახმარების ხელი და ცხოვრების გზის გაკვლევაში დაეხმარა. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ასაკში გარდაიცვალა, ბევრის გაკეთება მოასწრო“, — ასე გაიხსენა ოთარ ჯაფარიძემ მეგობარი. ნაშრომში მეპოვა მასალა საქართველოსა და მისი ხალხის გმირული ისტორიის შესახებ. მისში, როდესაც ერაყიდან ჩამოვედი, მისი გარდაცვალების ამბავი გავიგე, რაც ჩემთვის მოულოდნელი და ძალიან მტკივნეული იყო. იგი მხოლოდ სიკეთისთვის ცხოვრობდა, ბევრს გაუწოდა დახმარების ხელი და ცხოვრების გზის გაკვლევაში დაეხმარა. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ასაკში გარდაიცვალა, ბევრის გაკეთება მოასწრო“, — ასე გაიხსენა ოთარ ჯაფარიძემ მეგობარი. უადგილობის გამო ბევრი რაღაც გადავყარე, მაგრამ მეგობრული იყო, ეს ხომ მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, მას მხოლოდ ტყვია მომპოვებდა ჩემი შურგჩანთიდან და კონიდან. მართლაც, იმ წუთებშიც კი, როცა გერმანელების ტყვიები მთელი სისასტიკით გვიტყვევდნენ, ჩემი საბარგე ჩანთა ზურგზე მქონდა აკიდებული და მასში მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“ და ჩემთვის ძვირფასი წერილები იყო. 14/03/1942 წელს, როცა გერმანელი ტყვიით მეც გამიმასპინძლდა და მარჯვენა ბარძაყში დამჭრა, მისუსტებულს ყველაფერი ზედმეტად მეჩვენებოდა, ყველაფერი გადავყარე, ცხვირსაოცებებიც კი ვიბიძან, მაგრამ „ვეფხისტყაოსანს“ თავისი ადგილი ეჭირა. ზურგით, ხოხვით გადმოვიტანე ომის ველიდან სამშვიდობოზე, სადაც ისე ახლო აღარ იყო სიკვდილი. წიგნმა თავისი როლი შეასრულა მაგისა და სიმბოლოსი. მას უკვე ფრონტიდან წამოსულმა სხვა მოვალეობა დავაკისრე. იგი შეემატა ჩემს ბიბლიოთეკას არა მარტო როგორც „ვეფხისტყაოსანი“, არამედ როგორც მომგონებელი ყოველზე იმისა, რაც გადავგვხდა ამ 7 თვის განმავლობაში, როგორც მესაიდუმლე და მოძმე, გამამხსენებელი ერთ დროს მძიმე თუთუბში მყოფი თავისი პატრონისა“.

როგორც ელგუჯა ხინთიბიძემ აღნიშნა, „ეს თითქოს უზარლო ამონაწერი ამ ძვირფას წიგნზე, ყველა გაახსენებს, რომ მისი მფლობელი მთელი ცხოვრება „ინგოდა“ რუსთაველით და ცდილობდა მისი სიღრმეში ჩანდომას. სხვათა შორის, შესაძლოა ენათესავებოდა კიდევ შოთას სახელით, შესაძლებელია გვართავიც“.

იუბილეს ფარგლებში თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ვიციანი სამეცნიერო კონფერენციაც გაიმართა, რომელიც შოთა მესხიას დაბადებიდან 95-ე წლისთავს მიეძღვნა.

# ქართულმა ეკონომიკამ ურუსეთოდ „ყოფნა – არ ყოფნის“ კომპლექსს სძლია

საბჭოთა კავშირის დაშლის თანმდევი პროცესების დროს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების იდეით ატაცებული ქართული მოსახლეობის უმეტესობას ყველაზე მეტად აშინებდა ის პრობლემა, თუ როგორ შეძლებდა ქვეყანა რუსეთისგან დამოუკიდებლად სასიცოცხლო მნიშვნელობის დონეზე მაინც ეკონომიკის განვითარებას. დღეისთვის კი რუსეთის წილი მინიმუმამდე დასული და, პრაქტიკულად, ქვეყანამ ურუსეთობა გადაიტანა — ამ 20 წლიან პერიოდზე, მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესების წარმართვის წარმოჩენის მიზნით, თავის მოსაზრებებს გვიზიარებს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი ნოდარ ხაღურდი.

## თამარ ლალიანი

— საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში დაიწყო ეკონომიკის უკონტროლო რღვევა. მაშინ არსებობდა ცენტრალიზებული დაგეგმვადი და მართვადი ეკონომიკა. შეუქცევადი პროცესები დიდი გამოწვევების წინაშე აყენებდა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს, რაც სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ძირეულ ტრანსფორმაციას მოითხოვდა. რა საშიშროების წინაშე დადგა მაშინ საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარება?

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა — მას ეკონომიკური პროცესების მართვის და რეგულირების გამოცდილება არ გააჩნდა. ჩვენი ეკონომიკა ხან მოსკოვიდან, ხან პეტერბურგიდან იმართებოდა და აგებული იყო საინტერესო პრინციპით, კერძოდ: ერთი და იგივე საქონლის მაკომპლექტებელ დეტალებს აწარმოებდნენ თბილისში, მაგდანში, შუა აზიაში. შესაბამისად, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკები, ისე საქართველოს ეკონომიკა მიბმული იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიკაზე. ამდენად, რეფორმების პროცესში წლებში შეცდომები არ იყო გამოკრცხული. ქვეყანა ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად ახდენდა საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.

როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, აღმოჩნდა, რომ საქართველოს არ ჰქონდა არანაირი ინსტიტუტი, რომელსაც შეეძლო ეკონომიკაზე ზეგავლენის მოხდენა; არ გააჩნდა საკუთარი ფულადი სისტემა; არ ჰქონდა რეალური, დამოუკიდებელი ბიუჯეტი; არც საგადასახადო და საბაჟო სისტემა, ანუ არ ჰქონდა ეკონომიკაზე ზემოქმედების არანაირი ბერკეტი. საჭირო იყო, კომუნისტური ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნილიყო და, პარალელურად, ამ პროცესში სახელმწიფო დამოუკიდებელი გამხდარიყო. ამდენად, საქართველო მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა მით უფრო, რომ ქვეყანა მაშინ ქაოსშია, კრიზისულ მდგომარეობაშია და მოიცვა. ამას აფხაზეთისა და სამჩაბლოს პრობლემები დაემატა. რუსეთის მხრიდან დაიწყო ენერგობლოკადა, სატრანსპორტო ბლოკადა, მოკლედ, მძიმე და უმართავი სიტუაცია შეიქმნა.

— ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ოფიციალური დოქტრინა წამოაყენა. როგორ ხედდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გზებს?

— გამსახურდიას დროს საქართველოში გარკვეული ეკონომიკური რეფორმები დაიწყო, მაგრამ მისი მცირეგადახანი პრეზიდენტობის დროს საქართველოში სიტუაცია ძალიან დაიძაბა. დაიწყო მიტინგები, გამოსვლები, შეიქმნა უკონტროლო სიტუაცია და ეკონომიკის რეფორმირებისათვის არავის ეცალა.

ამას დაემატა ჰიპერინფლაციაც... მართალია, საქართველო პოლიტიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, მაგრამ მას საკუთარი ფულის ნიშანი არ ჰქონდა, იგი ისევ მთლიანად რუსეთის ცენტრალური ბანკის „კეთილ ნებაზე“ იყო დამოკიდებული. რუსეთმა კი ერთ „მშვენიერ“ დღეს საქართველოს ფულის ნიშნების მიწოდება შეწყვიტა. ე.ი. რუსეთმა გვაიძულა, საკუთარი ფულადი ნიშანი შემოგვეღო. მართალია, თავიდან რუსული რუბლის ადგილი სუსტმა და ვირასრულყოფილმა ფულის ნიშანმა — კუპონმა დაიკავა, მაგრამ კუპონი შემდგომ ლარის შემოღების საფუძველი გახდა, ანუ საქართველომ დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმბოლო მიიღო.

— როდის გადაიდა პირველი სერიოზული ნაბიჯი ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით?

— ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს მოხდა საგადასახადო სისტემის ჩანასახის ფორმირება, ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაზე ფიქრი, თუმცა ამ პერიოდში მონეტარული დამოუკიდებლობისკენ ნაბიჯები პრაქტიკულად არ გადადგმულა. 1992 წლის იანვარში დროებითმა მთავრობამ

მოსახლეობის პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად პრივატიზაციის პროცესი დაიწყო. დაიწყო მინის რეფორმა და ბინების პრივატიზაცია. თუმცა საქართველოსათვის 1992-1993 წლები ძალიან მძიმე იყო. ჰიპერინფლაციამ, დაახლოებით, 17000%-ს მიაღწია (ნელს, დაახლოებით, 14%-ია). მაშინ ჩვენს ქვეყანას წინასწარ დაგეგმილი ბიუჯეტიც კი არ გააჩნდა.

1995 წლიდან დღემდე, ეკონომიკა 128%-ით გაიზარდა (საშუალო წლიურმა ზრდამ დაახლოებით 8,5% შეადგინა).

როგორც აღვნიშნეთ, მაშინ საქართველოს არ ჰქონდა საკუთარი ფული, რეფორმების განხორციელება კი ძვირი სიამოვნებაა. საქართველომ განვითარების დასავლური, ცივილური გზა არ აირჩია. ხელისუფლებამ მოლაპარაკება დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან და მათი დახმარებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

პირველად, ქვეყნის ისტორიაში, გაჩნდა ეკონომიკის რეგულირების ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, როგორცაა ეროვნული ვალუტა, საგადასახადო სისტემა, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, პარალელურად შეიქმნა მარეგულირებელი კომისიები. ანუ ეკონომიკური პროცესების მართვის ქაოსური სისტემიდან გადავდით ფორმალური, ცივილური მარეგულირებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბების რესტრუქტურაზე.

შეიქმნა ნებართვების სისტემა, ლიბერალური გახდა საგარეო ვაჭრობა, მინიმუმამდე შემცირდა რეგულირებადი ფასების რაოდენობა. სახელმწიფო სხვადასხვა ფორმით მხოლოდ ე.წ. „ბუნებრივი მონოპოლიების“ ფასებს არეგულირებდა.

2004 წლის დასაწყისამდე საქართველო აყალიბებდა საბაზრო ეკონომიკის ისეთ ინსტიტუტებს, რომლებიც ბაზას, რომლის მსგავსი ევროპას ან ამერიკის სახელმწიფოებში იყო. საქართველომ იკისრა ვალდებულებები საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ. ევროპული მოდელიდან გადახვევა კი ქვეყნის მისწრაფებას — საკუთარი ღირსეული ადგილი დაიკავოს ევროპულ ოჯახში, სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს.

— საქართველოს ეკონომიკამ „შოკური თერაპიის“ პერიოდზე გამოიარა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით რა მნიშვნელოვანი და ეფექტური ნაბიჯები განხორციელდა?

— 1994 წლიდან მოხერხდა გარდატეხის შეტანა ეკონომიკაში, ლიბერალიზაციის პროცესის პარალელურად მოხერხდა სტაბილიზაციის მიღწევა. საქართველომ გამოაცხადა, რომ იქნებოდა ღია ქვეყანა, როგორც ინვესტორებისათვის, ისე საქართველომ გახდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, რისი პოლიტიკური მიზნებით გამოყენებასაც დღეს ვცდილობთ. ამ პერიოდში შეიქმნა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა. შეჩერდა ეკონომიკური დაცემა და დაიწყო ეკონომიკის აღმშენებლობა. ქვეყანაში ნესრიგი დაშვარდა, ანუ ნელ-ნელა ხელისუფლებამ ქვეყნის მშენებლობა დაიწყო. შემოვიღეთ საკუთარი ფული, არა დროებით კუპონი, არამედ ლარი. თუკი მაინამდე ვალუტის გაცვლითი კურსი იყო კატასტროფული (1 დოლარი ღირდა 5 მილიონი კუპონი), შემდეგ სანდო ფულად-საკრედიტო სისტემა ჩამოყალიბდა.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ეკონომიკური გამარჯვება დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბება იყო, როცა ქართველმა ლარმა 1995 წლის ოქტომბერში მოახერხა მიმოქცევიდან გაედევნა რუბლი. ინფლაცია აღარ იყო ისეთი საშიში, როგორც მანამდე. გამოიკვეთა სტაბილიზაციის ნიშნები, ხოლო 1996-1997 წლებში საქართველოს ეკონომიკამ ზრდის ძალიან მაღალ ტემპს მიაღწია, საშუალოდ, 11%-ს. ამ დროს იქმნება საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახური, სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, ბიუჯეტი უფრო გამჭვირვალე ხდება, ხაზინა იქმნება, საბაჟო და საგადასახადო სისტემები იწყებს ფუნქციონირებას... ცხადია, ყველაფერს თავისი ნაკლოვანებები ჰქონდა,

მაგრამ ნათლად გამოჩნდა ქვეყნის სწრაფვა, რომ ქართული ეკონომიკური სისტემა ინსტიტუტურად ევროპული სისტემის მსგავსი ყოფილიყო.

ამ პერიოდში ყველაზე დიდი ეკონომიკური შეცდომა იყო ის, რომ ქვეყანა არ ებრძოდა კორუფციას. ყველა ის სიკეთე, რომელიც ამ ინსტიტუტების შექმნას უნდა მოეტანა, ხშირ შემთხვევაში კორუფციის გამო ფერხდებოდა, რის გამოც ქვეყნის განვითარებაში (1998 წლიდან-2003 წლამდე) უძრაობის ხანა დადგა. ამ პერიოდში მხოლოდ 2-3% ეკონომიკური ზრდით მივიდოდით წინ, რაც ჩვენნიარ ქვეყნისთვის ძალიან ცოტაა. პრაქტიკულად მოუშვადებლებში შემოვიღეთ საქართველოში დამატებითი ღირებულების გადასახადი, რამაც პრობლემები შეუქმნა როგორც მენარმეებს, ისე ქვეყნის ბიუჯეტსაც.

დიდი შეცდომა იყო საქართველოს კლირინგული ოპერაცია თურქმენეთთან გაზის სანაცვლოდ. ქვეყანა იღებდა გაზს, ხოლო გაზის საფასური ადგილობრივი პროდუქციით უნდა გაესტუმრებინა. მეორე აღმოჩნდა, რომ ჩვენი პროდუქცია იყო უხარისხო და თურქმენეთმა უარი განაცხადა მათ მიღებაზე. საქართველოს ამ მიზუნის გამო თურქმენეთის, დაახლოებით, ნახევარი მილიარდი ვალი დაუკრეფდა. ასე რომ, გამოუცდელი ვის გამო თუ მიზანმიმართულად დაშვებული შეცდომები მრავლად იყო.

იმ პერიოდში მიღწეული წარმატებები დიდ ნილად ეკუთვნოდა გამბედაობითა და პროფესიონალიზმით გამოჩენილ ეკონომისტთა გუნდს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბატონი ლადო პაპავა (ეკონომიკის მინისტრი), ნოდარ ჯავახიშვილი (ეროვნული ბანკის პრეზიდენტი) და სხვები.

დაიწყო პრივატიზაციის პროცესიც, რომელიც თავიდან კარგ პრინციპზე გახლდათ აგებული. მისი ამოცანა იყო ქონებას გასაჩენოდა მესაკუთრე. მოგესხებოდა, მესაკუთრეებად გარდაქმნა ერთ ღამეში არ ხდებოდა. მართალია, მათ ქონება აუქციონზე დაბალ ფასად შეიძინეს, მაგრამ მათში მესაკუთრის ინტერესებმა საკმარისად გაიზარდეს, ამდენად ეს პროცესი რთული აღმოჩნდა.

— როგორ გავრძელდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ?

— უარი ეთქვა საყოველთაო კორუფციას. 2004 წლიდან მკვეთრად გაიზარდა ქვეყნის ბიუჯეტი შემოსავლები.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, ეკონომიკის რეფორმირების ახალი ეტაპი იწყება, რომელიც თითქმის მთლიანად კახა ბენდუქიძის სახელს უკავშირდება.

საქართველომ 2004 წლიდან ეკონომიკური ლიბერალიზმი მთავარ პოლიტიკურ იდეოლოგიად გამოაცხადა, რაც გულისხმობს, რომ ქვეყანა სინგაპურის ეკონომიკური მოდელის მიხედვით უნდა განვითარდეს. როცა დამოუკიდებლობას ვაცხადებდით, იმ დღიდან ჩვენი მიზანი ევროკავშირში გაწევრიანება იყო. ევროპელები გვთხოვენ, ეკონომიკის განვითარების ევროპული მოდელი ავირჩიოთ და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ავაშუშაოთ. საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება, რომ შექმნას ახალი ანტიმონოპოლიური სამსახური.

ხელისუფლება ბევრ ფულს ხარჯავს ინფრასტრუქტურის განვითარებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ინვესტორთა რიცხვმა იკლო...

— საინტერესოა, რას უნდა მივანეროთ ეს, როცა წარმატებით ვითარდება ჩვენთან ტურისტული ინფრასტრუქტურა, ხელისუფლებამ სტაბილური გარემოს შექმნისთვის ხისტი პოლიტიკაც წარმატებით გაატარა (თუ არ ჩავთვლით კონფლიქტურ ზონებს) და იგი ცდილობს საქართველო პატარა „ოაზისად“ აქციოს...

— საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის შეფერხება გამოიწვია 2008 წელს რუსეთის სამხედრო აგრესიამ და მის მიერ სამხედრო ბაზების მშენებლობამ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში.

სამწუხაროდ, რუსული სამხედრო შენაერთების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტორებს აფრთხობს. ასევე, რუსული ემბარგო და დაკარგული ბაზრები საქართველოს ეკონომიკას საინვესტიციო მიზიდველობას უკარგავს.

სამწუხაროდ, გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ქართული პროდუქციისთვის ევროპულ ბაზრებზე შეღწევა დობა დაბალია. ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ სრულად გამოვიყენოთ ევროკავშირის მიერ დაწესებული პრეფერენციები. საქართველოში სუსტი მარეგულირებელი ინსტიტუტები ის ერთ-ერთი ფაქტორია, რომლის გამოც ევროპის ბაზარზე შესვლა



თემის რესპონდენტი  
ნოდარ ხაღურდი

მნიშვნელოვნად გართულებულია. ვიდრე საქართველო არ შეძლებს ევროპულ ბაზრებზე სრულფასოვნად გასვლას, როგორი ლიბერალიზაციაც არ უნდა იყოს გარემო, დაბალი გადასახადები და ა.შ., საინვესტიციო მიზიდველობა მაინც დაბალი იქნება.

კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორი — კერძო საკუთრების უფლებების ხელყოფა. ვიდრე საქართველოში საკუთრების უფლება არ იქნება დაცული, რთულია სერიოზულ ინვესტიციებზე საუბარი.

სამწუხაროდ, მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რომლებიც ქვეყანას აქვს კანონმდებლობის, ლიცენზიების, ნებართვების სფეროში, სხვა მხრივ არსებული მდგომარეობა დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს. ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს არსებული ინსტიტუტური გარემოს გაუმჯობესებაზე. გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ფორმალური ინსტიტუტების (მაგალითად საგადასახადო სისტემა, კანონმდებლობა) სრულყოფა იმ შედეგს არ იძლევა, რასაც ქვეყანაში არაფორმალური ინსტიტუტების მინიმალური შეიძლება მივალნიოთ.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ საქართველომ რუსეთის გარეშე ცხოვრება ისწავლა. 2006 წელს რუსეთმა ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა საქართველოს: აკრძალა ყველაფრის ექსპორტი. ამით მან საქართველოს სტიმული მისცა, რომ სხვაგან დაეწყო ეკონომიკური კავშირების ძებნა. დღეისთვის რუსეთის წილი მინიმუმამდე დასული. პრაქტიკულად, ქვეყანამ ურუსეთობა გადაიტანა. ანუ ეს მართალი დიდი მიღწევაა. მეორე, ეკონომიკური სისტემისათვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ შევქმენით ინსტიტუტები, რომლებიც ეკონომიკური განვითარების მიღებისა და განხორციელების შესაძლებლობებს იძლევა. საქართველოს აქვს საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა, საბაჟო სისტემა. ჩვენმა ქვეყანამ თავისი ეკონომიკური ფუნქცია იპოვა, საქართველო საჭირო გახდა მსოფლიოსათვის. 20 წელი ცოტაა სერიოზულ ნაბიჯებზე ფიქრისთვის, მაგრამ სერიოზული ფიქრი კი უდაოდ გვჭირდება.

უნდა შევეცადოთ დავსვათ ზუსტი დიაგნოზი — რა გვჭირს? მეორე და უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. ჩვენ კი ასეთი დოკუმენტი არ გვაქვს. ჩვენ არ გავცანია ანტიკრიზისული, ანტიინფლაციური და ა.შ. სტრატეგიები. ერთადერთი რაც გვაქვს, არის საშუალოვადიანი დოკუმენტი, რომელსაც „ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტი“ ჰქვია, სადაც მხოლოდ მაკროეკონომიკური პროგნოზებია განხილული.

დღეს სერიოზული განსჯის საგანია საქართველოს ეკონომიკის მომავალი სტრუქტურა. დიდი იმედება დამყარებული ტურნიზმზე, სატრანზიტო გადაზიდვებზე და ა.შ., რასაც მივესალმები.

მე, ევროპაში ვხედავ ჩვენს ადგილს და ეკონომიკაც ევროპული უნდა გვქონდეს, ევროპული სოციალური დაცვის სექსიონებით, ევროპული განათლების სისტემით, მეცნიერებისადმი ევროპული მიდგომით და ა.შ. საქართველომ თავისი კუთვნილი ადგილი ევროპაში უნდა იპოვოს.

# ასე დაწერილი დამოუკიდებლობის 20-წლიანი ისტორიის მთავარი შტრიხები

თავისუფლება მხოლოდ ბედნიერება არ არის, ის ტვირთია, რომლის მოპოვება ღირსების შენარჩუნებასაც ნიშნავს. წარსულის მაგალითზე უნდა ითქვას, რომ ერის ღირსებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება ყოველთვის ძვირი გვიჯდება.

დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე საქართველომ რთული გზებით იარა. ერის ცნობიერებას ღრმა კვალი დაამჩნია ბოლო 20 წელიწადში მომხდარმა მოვლენებმა, როდესაც გადაფასდა საბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელი ფსევდოლიბერალური საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე იყო XX საუკუნის 80-90-იანი წლები, რომელიც ეროვნული მოძრაობის აღმავლობით და შემდეგ პარტიული, პოლიტიკური დაპირისპირებით აღინიშნა. გასული საუკუნის კატაკალიზმებმა, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებით, შემდგომ კი სახელმწიფო გადატრიალებით დამთავრდა, ქართველი ხალხის შემდგომი ისტორიული რეალობა განსაზღვრა და დღესაც გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურებაზე. მძიმე დალი დააჩნია ქვეყანას „შეფარდნადის ეპოქამ“, რომელიც გარკვეული პოლიტიკური მზაობის შემდეგ „ვარდების რევოლუციით“ დამთავრდა. ისტორიკოს დიმიტრი შველიძის აზრით, სალი აზრის დამკვიდრებას, პირველ რიგში, საისტორიო მეცნიერება უწყობს ხელს და საზოგადოებას დუალიტური ბურჟუაზიის გამოსვლაში ეხმარება, რაც არც ისე მარტივია. ამ პერიოდის შესწავლა და ადეკვატური შეფასება საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს მომდევნო პერიოდისა და თანამედროვე საქართველოს განვითარების ორიენტირები. საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლიანი ისტორიის მთავარ შტრიხებს ჩვენთან საუბარში ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე გამოკვთს.

— რა პოლიტიკური პერიპეტები უძღოდა წინ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას? რა პოლიტიკურმა ვითარებამ შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის დაშლას და რა მოვლენები ახლდა თან ამ პროცესს?

— უმთავრესი ფაქტორი, რომელმაც საბჭოთა კავშირის სიმტკიცე გატეხა — ძალდატანებით დამორჩილებული ხალხების ანტიიმპერიული მოძრაობა და თავისუფლებისათვის მათი ბრძოლა გახლდათ. ამის გარდა, მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური ფაქტორი. საბჭოთა ეკონომიკა პროდუქციის წარმოებით საგრძობად ჩამორჩა დასავლეთს. სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია უკვე კარგა ხანია ვეღარ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნას. საზოგადოება უკვე იმაზეც ალაპარაკდა, რომ მიხილ გორბაჩოვის მიერ გამოცხადებული სოციალიზმის „გაკეთილშობილების“ კურსი არაეფექტური იყო და, საერთოდ, სოციალიტური სისტემა საბაზრო ეკონომიკით უნდა შეცვლილიყო. საბჭოთა სახელმწიფო დასავლეთს ჩამორჩა სამხედრო მრეწველობაში და კოსმოსის ათვისებაშიც, მაგრამ მთავარი მაინც დაპყრობილი ხალხების ეროვნული მოძრაობების აღმავლობა გახლდათ. 1986 წელს იაკუტიასი სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა იაკუტ და რუს სტუდენტებს შორის. ყაზახეთის ადგილობრივი ახალგაზრდები რუს თანატოლებს შეეტაკნენ. დაიწყო სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი, რომელიც ომში გადაიზარდა. ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკაში დაიწყო თანმიმდევრული ბრძოლა ცალკე გამოყოფისთვის. ამ მოძრაობებს, რომელსაც წინ უძღოდა მძლავრი ანტირუსული გამოსვლები პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში და, საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპაში, მოსკოვი ვეღარ აკონტროლებდა.

— საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას თავისი ეტაპები ჰქონდა. როგორ ვაჩიარებთ ეს გზა?

— ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი დღესაც იმ აზრზეა, რომ დამოუკიდებლობა ხონჩით მოგვართვის, თითქოს გულხელდაკრეფილები ვიხსენებო და უბრალოდ, მის მოპოვებას არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ შეუწყო ხელი. ჩვენ ამისთვის დიდი ხნის განმავლობაში ვიბრძოდით. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პირველი რესპუბლიკა დამარცხდა და დამოუკიდებლობა დაეკარგეთ, ასე ადვილად არ დაგვებებულვართ. გაიხსენოთ 1922 წელს სვანეთის აჯანყება, რომელსაც მოჰყვა ხევსურეთის და კახეთის აჯანყებები, არ უნდა დაგვაფიქვადეს 1924 წლის აგვისტოს საყოველთაო ქართული აჯანყება, ამის შემდეგ კი გაიხსენოთ 1937 წლის რეპრესიები და 1956 წლის 9 მარტის ცნობილი მოვლენები. ამ პერიოდში ათამდე არალეგალური ორგანიზაცია შეიქმნა, რომელიც „საქართველოს დამოუკიდებლობას“ აწერდა თავის დროსას. ამ მოვლენებს სრულიად ლოგიკურად მოჰყვა 80-იან წლებში ეროვნული მოძრაობის აღმავლობა. ასე რომ, დამოუკიდებლობა ციდან არ ჩამოვარდნილა, ჩვენ ვუპირისპირდებოდით საბჭოთა იმპერიას და რომ არა ეროვნული მოძრაობა, რომლის ერთ-ერთი ფრთა გამსახურდიას ლიდერობით მოქმედებდა, შესაძლოა, დღესაც საბჭოთა კავშირში ვყოფილიყავით.

ნამდვილი გარდატეხა გამსახურდიას ინიციატივით ჰელსინკის კავშირის დაარსებიდან დაიწყო, როცა ამ თავისთავად მცირერიცხოვანი ორგანიზაციის ლიდერმა და მისმა თანამებრძოლებმა საზოგადოებას მაგი-

ური სიტყვა „დამოუკიდებლობა“ გაახსენეს და ინტენსიურად დაიწყეს მისი პროპაგანდა. 1956 წლის მოვლენების გავლენით, საზოგადოების ერთი ნაწილი — ახალგაზრდობა და ინტელიგენცია ამ ლოზუნგისთვის ნიადაგ-შემზადებული იყო.

1985 წელს მიხილ გორბაჩოვმა ე.წ. „პერესტროიკის“ კურსი გამოაცხადა. მას ეგონა, რომ თუ დემოკრატიის გარკვეულ დოზას დაუშვებდა, ამით იმპერიას შეინარჩუნებდა, რაც საკმარისი იქნებოდა „დემოკრატიული სოციალიზმის“ ასაშენებლად. მაგრამ როგორც კი მან სადავეები მოუშვა და საზოგადოებამ შედარებით თავისუფლად ამოისუნთქა, ნელ-ნელა პროცესები უმართავი გახდა. სხვადასხვა რესპუბლიკებში დემოკრატიულ პროცესებთან ერთად აღმავლობის გზას დაადგა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. განსაკუთრებით

**შეგვიძლია დღევანდლობასთანაც გავავლოთ პარალელები — ამჟამინდელი ოპოზიციის ლიდერები ახლაც რუსეთისგან ელიან მხარდაჭერას და იქიდან იღებენ ინსტრუქციებს, ზოგიერთს ისე უნდა წარმართოს მოვლენები, როგორც 1990-1991 წლებში, თუმცა იმდენ ვიტოვებთ, რომ ეს ასე არ მოხდება.**

ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და საქართველო. 1987-1989 წლებში საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მრავალპარტიულ სისტემას. მართალია, ზოგიერთი პარტია რეგისტრირებული არ იყო, მაგრამ ისინი მეტ-ნაკლებად ზეგავლენას ახდენდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ და მათმა მამინდელმა თანამოაზრეებმა საქართველოში დისიდენტობა დასვეს და ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობას ეროვნული გეზი მისცეს, რაც რუსი სამართალდამცველებისთვის არა მარტო გაუგებარი, არამედ მიუღებელიც გახლდათ.


— რა პოზიციები ეკავათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას და როგორ უყურებდნენ ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლის განწყობას, რაც ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ჰქონდათ?

— საქართველოს კომუნისტურმა მმართველობამ სრულიად არაადეკვატური პოზი-

ცია დაიკავა 80-იანი წლების მზარდი ეროვნული მოძრაობის მიმართ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათ ვერ გამოიმუშავეს პოლიტიკური მიდგომა. ისინი უფრო მოსკოვიდან წამოსული მითითებების შემყურე-მომლოდინე პოზიციაში ჩარჩნენ, საოცარ გაუბედაობას ამჟღავნებდნენ: გაურბოდნენ დიალოგს, ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან შეხვედრაზე უარს ამბობდნენ და დუნედ მიჰყვებოდნენ მოვლენებს. დამოუკიდებლობა მათთვის და მათი პარტიული ლიდერისთვის შიშისმომგვრელი და დამანგრეველი მოვლენა გახლდათ. ეკვას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიავილი, თუნდაც ამ ერთი თვისე-ბითაც, მისი წინამორბედი პირველი მდივნის ანტიპოდი გახლდათ.

— იმ პერიოდში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის რომელი ფრთა გამოირჩეოდა აქტიურობით? რა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდა მათი ინიციატივით?

— აპრილის აქციები ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ წამოიწყო, მათი მთავარი მიზანი აფხაზეთის პრობლემის მოგვარება და ამ მიმართულებით ხელისუფლების სტიმულირება იყო. 6 აპრილს აქციას შეუერთდნენ რადიკალები: ზვიად გამსახურდია — ჰელსინკის კავშირი, ირაკლი წერეთლის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და სხვები. მათ წამოაყენეს საქართველოს დამოუკიდებლობის ლოზუნგი და ამით სრულიად შეცვალეს აქციის მასშტაბიც, მიზანიც და რისკის ხარისხიც. რა თქმა უნდა, ამ გადასახედიდან შეიძლება ვისაუბროთ მათი მხრიდან ზედმეტ რისკზეც, მაგრამ არ უნდა დაგვაფიქვადოს, რომ რადიკალებს ყველა დროში და ეპოქაში აქვთ პოლიტიკური არსებობის და ქმედების უფლება, მით უფრო, რომ აქციის მრავალრიცხოვანი მონაწილე იქ ძალდა-



თემის რესპონდენტი  
დიმიტრი შველიძე

ბისა და მონაწილეების, მეორე მხრივ — რუსეთიდან წამოსული დამსჯელი შეიარაღებული ქვედანაყოფების იმჟამინდელი ხელმძღვანელების — როდიონოვისა და ფიშოვის, რადგან მათ სამოქმედო სივრცე დაუთმო რესპუბლიკის პარტიულმა ლიდერმა.

— რამდენადაც ცნობილია, 1990 წელი ახალი დაპირისპირებით აღინიშნა. პარტიულ-პოლიტიკური კონკურენცია და ბრძოლა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც მიმდინარეობდა, რომელიც დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, მაგრამ ჩვენთან ამ ბრძოლამ შეურიგებელი დაპირისპირების სახე მიიღო. რამ გამოიწვია განხეთქილება ეროვნული მოძრაობის ძალებს შორის?

— 1990 წლის 25 მარტს დანიშნული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ეროვნულ-რადიკალურმა საბჭოთა არჩევნებისადმი ბოიკოტის კამპანია წამოიწყო, მაშინ როცა ზოგიერ-ლიბერალური ბანაკის, როგორც ცენტრისტების, ისე მემარჯვენე ფრთის პარტიებმა არჩევნებში მონაწილეობას დაუჭირეს მხარი. რადიკალთა ძირითადი არგუმენტი გახლდათ 25 მარტის არჩევნების ერთპარტიული ხასიათი. უკვე ამ დროისათვის ეროვნულ-რადიკალური მოძრაობის გავლენა ისეთი ძლიერი იყო, რომ მათ შეძლეს უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩაშლა. არსებობდა მოარული აზრიც, რომ თითქოს, მოსკოვში დაწერილი ცენზარის მიხედვით, არჩევნები თვით საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაშალა, რათა ამით გზა გაეხსნა ეროვნული რადიკალების ხელისუფლების სათავეში მოსვლისათვის, რაც შედიოდა კრემლის შორსმომავალ გეგმებში. ამგვარი ვერსიის მეცნიერული დასაბუთება არ არსებობს. უფრო დასაბუთებულად გამოიყურება ჩვენს მიერ არგუმენტირებული თვალსაზრისი, რომ ეროვნულ-რადიკალურმა მოძრაობამ პერმანენტული საპროტესტო აქციებით იძულებული გახდა რესპუბლიკის კომუნისტური ხელისუფლება, გაეუქმებინა 25 მარტს დანიშნული უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

საქართველოში 1990 წლის სექტემბერ-ოქტომბრისთვის ორი არჩევნები დანიშნა — ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოსი, რამაც თავიდანვე განაპირობა მოვლენების ორხელისუფლებიანობის ლოგიკით განვითარება. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლასთან ერთად, ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ რეალობაში გაჩნდა პარალელური მოძრაობა — ბრძოლა ხელისუფლებისათვის. იგი არანაკლები სიმწვავეთი წარმართა, ვიდრე ეროვნული მოძრაობა და ბევრწლიად დაჩრდილა კიდევ ეს უკანასკნელი.

1990 წლის 25 სექტემბერს, საქართველოში ეროვნული კონგრესის არჩევნები ჩატარდა. მიუხედავად ამისა, დოკუმენტური მასალა, ექსპერტიზის ანალიზი და თვითმხილველური საზოგადოებრივი აზრი საწინააღმდეგოს ადასტურებდა... ეროვნული კონგრესის არჩევნებში საქართველოს ელექტორატის



# ასე დაწერილი დამოუკიდებლობის 20-წლიანი ისტორიის მთავარი შტრიხები

## მეთოთხმეტე გვერდიდან

აბსოლუტურ უმრავლესობას მონაწილეობა არ მიუღია; არ ჩატარებულა საარჩევნო წესით გათვალისწინებული რეფერენდუმი, რის გამოც, შემდგომში ფორმირებული ეროვნული კონგრესი ფაქტურად წარმოადგენდა რადიკალური მოძრაობის ერთ ნაწილსა და მოსახლეობის უმცირესი ნაწილის მიერ არჩეულ ორგანოს. ამდენად, ეს იყო არალეგიტიმური, უკანონო და თვითმარქვია ორგანო. იგი არ გამოხატავდა ქართველი ერისა და ქვეყნის მოსახლეობის ნებას. ეს ყველაფერი კონგრესის წევრებმაც და მომხრეებმაც მშვენივრად იცოდნენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს კი ჩატარდა უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნები. მასში გაიმარჯვა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკურმა ძალამ, რომლის ლიდერიც ზვიად გამსახურდია იყო. პარლამენტის უმრავლესობაში ეროვნული ძალები მოვიდნენ და საქართველოს სათავეში ეროვნული ხელისუფლება ჩაუდგა. ასე რომ, საქართველოში ხავერდოვანი რევოლუცია განხორციელდა, რომლის შედეგადაც კომუნისტური ერთპარტიული დიქტატურის ეპოქა დასრულდა. თუმცა, ამავდროულად, ქვეყანაში ფუნქციონირებდა თვითგამოცხადებული ეროვნული კონგრესი. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ორხელისუფლებიანობას, მაგრამ იმას მაინც ნიშნავდა, რომ ქვეყანაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ორი ძირითადი კონფრონტაციული ცენტრი.

— **არსებობს მოსაზრება, რომ ზვიად გამსახურდიამ იჩქარა დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგან ქვეყანა ამისთვის მზად არ იყო...**

— ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ გამსახურდიას ხელისუფლება არ ჩქარობდა და ასე მოუშვებდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას არ აპირებდა. მათ ძალიან გონივრული პროგრამა ჰქონდათ შემუშავებული, რის მიხედვითაც, ქვეყანაში გარდამავალი პერიოდი გამოცხადდა. ამ დროის მანძილზე უნდა მომზადებულიყო საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები. ეს იყო სავსებით რეალისტური გადაწყვეტილება. თავისუფალი საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე ქვეყანაში იმოქმედებდა არსებული კონსტიტუცია „სათანადო ცვლილებებით და დამატებებით“. კონსტიტუციის 68-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკა ცხადდებოდა „სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრე სახელმწიფოდ“. უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ სხვა მნიშვნელოვანი კანონებიც მიიღო: საქართველოს ტერიტორიაზე შეჩერდა სსრ კავშირის მოქმედება სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ, რომლის მიხედვითაც საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს საბჭოთა კავშირის რიგებში აღარ გაიწვევდნენ, კანონი სახელმწიფოს სიმბოლიკის შესახებ და ა. შ. ახალ ხელისუფლებას არც პოლიტიკური სიფრთხილე აკლდა. ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, საბჭოთა იმპერია თავისთავად დაიშლებოდა და საქართველოც მშვიდ გარემოში მიიღებდა ნანატრ თავისუფლებას. ოპონენტები გამსახურდიას ბრალს სდებდნენ, რომ აჩქარდა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გამსახურდია ნამდვილად არ აპირებდა ასეთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმას. გარდამავალი პერიოდი, დაახლოებით, 2-4 წელი უნდა გაგრძელებულიყო, „მრგვალმა მაგიდამ“ წამოაყენა საქართველოში „ოფიციალური არასაბჭოური არჩევნების“ იდეა, რომლის განხორციელებაც საკმაოდ რეალისტური იყო. არჩევნების ჩასატარებლად საჭირო იყო საქართველოში შექმნილიყო შესაბამისი პოლიტიკური სიტუაცია, რათა ლეგიტიმური ყოფილიყო მთავარი მიზანი: — დამოუკიდებლობის გამოცხადება. „კონცეფცია“ მიზნად ისახავდა მოქმედებათა გეგმას შემდეგი თანმიმდევრობით: საქართველოს უნდა მიეღო თავისი რეალური მდგომარეობის შესაბამისი პოლიტიკური სტატუსი. მას უნდა შეეცვალა სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელი, რის შემდეგ საქართველო აღარ ჩაითვლებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილად და მოკავშირე რესპუბლიკად. გარდამავალ პერიოდში ქვეყანა უნდა ემართა დროებით მთავრობას. დამოუკიდებლობას კი მთავრობა სამი პირო-

ბის აღსრულების შემდეგ გამოაცხადებდა — როდესაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მთავრობის სუვერენიტეტი განხორციელდებოდა და როდესაც იურიდიულად დადგინდებოდა ქვეყნის ტერიტორიის საზღვრები, პირველ რიგში კი, საქართველოს მოსახლეობას თავისი ნება საყოველთაოდ, დემოკრატიული არჩევნების გზით უნდა გამოეხატა. არჩევნების შედეგად მოსულ უმაღლეს ხელისუფლებას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი საფუძვლები უნდა მოემზადებინა, ამით განისაზღვრებოდა მისი მთავარი დანიშნულება.

„პოლიტიკური კონცეფციის“ სახით, „მრგვალი მაგიდას“ ორგანიზაციებმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ახალი სტრატეგია და ტაქტიკა შეიმუშავეს. იგი თანმიმდევრულად და ეტაპობრივად წარმოადგენდა ეროვნული მოძრაობის კონკრეტულ გზას.

მაგრამ პროცესები დაჩქარა მოსკოვის მხრიდან რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივამ. 1991 წლის დასაწყისში მოსკოვში, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რეფერენდუმის ჩატარების გადწყვეტილება მიიღეს, კითხვა დაახლოებით ასე იყო დასმული: **„გსურთ თუ არა შევინარჩუნოთ საბჭოთა სახელმწიფო, თუ დაცული იქნება ეროვნული თავისუფლება? ამ რეფერენდუმში მონაწილეობის მიღება იმასაც გულისხმობდა, რომ, ფაქტობრივად, კვლავ საბჭოთა კავშირი უნდა გველიარებინა. ამიტომ გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება იძულებული გახდა ამ რეფერენდუმისთვის ანულირება გაეკეთებინა და თავისი რეფერენდუმით დაპირისპირებოდა. 31 მარტს რეფერენდუმი ერთი კითხვით — „გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა?“ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა. რეფერენდუმის შედეგების თანახმად კი მან 9 აპრილს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.**

ბუნებრივია, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მოსკოვის ღია უკმაყოფილება გამოიწვია. მან შეერთებული შტატების პრეზიდენტს უფროს ბუშს მოსთხოვა, რომ უარი ეთქვა გამსახურდიას საგანგებო ვიზიტზე ამერიკაში. თავის მხრივ, გამსახურდიამ საბედისწერო შეცდომები დაუშვა ამერიკასთან დამოკიდებულებაში. მის მიმართ ბუშის კრიტიკულ გამონათქვამებს მან ღია კრიტიკით უპასუხა და თითქმის დაუპირისპირდა ამერიკის პრეზიდენტს. ქუჩაში გამოჩნდა ანტიამერიკული ტრანსპარანტები, საბჭოთაო პრესაში ამერიკის იმპერიალიზმის მამხილებელი სტატიები. ეს პოლიტიკური სიბეცე გახლდათ.

— **როგორ ფიქრობთ, რატომ დაუშვა რუსეთმა ზვიად გამსახურდიას აღზევება და რატომ ვერ გაიმარჯვა ვია ჭანტურიას იდეებმა?**

— რა ვქნა, პირადად მე ამ ზღაპრის არ მჯერა. ასეთი ყოვლისშემძლე რომ ყოფილიყო გორბაჩოვი, რუსეთი არ დაუშვებდა ვალენსას მოსვლას პოლონეთში, ოლეგსკუს მოსვლას რუმინეთში, ჰაველის მოსვლას ჩეხოსლოვაკიაში, მალი ბერეშას მოსვლას ალბანეთში, რომ აღარაფერი ვთქვათ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში და მოლდოვეთში მოსკოვის ნების საწინააღმდეგოდ განვითარებულ მოვლენებზე.

რაც შეეხება ვია ჭანტურიას იდეებს, ის არ იყო მოსკოვის კაცი. ის უფრო დასავლეთის კადრი გახლდათ და ამიტომ მის მკვლევლობაში, თბილისთან ერთად, მოსკოვის ხელი ირია.

— **როგორ შეაფასებდით ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდს?**

— ზვიადს, როგორც საქართველოში ეროვნული მოძრაობის ყველა გამორჩეულ პიროვნებას, რთული ცხოვრება ჰქონდა. ვერავინ იტყვის, ვერც მტერი, ვერც მოყვარე, რომ ზვიად გამსახურდია ბედნიერი კაცი იყო. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გახდა, ერთი დამე მშვიდად აღარ სძინებია. მძიმე პერიოდში მოუწია მმართველობამ. იგი ხელისუფლების სათავეში 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგად მოვიდა, 14 ნოემბერს პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს. მას არა მარტო ჯერ კიდევ არსებული საბჭოთა იმპერია დაუპირისპირდა, არამედ ქვეყნის შიგნით არსებული საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია, რომელიც ასევე ეროვნული მოძრაობის მეორე ფრთისგან შედგებოდა. ეს მტკიცეული იყო არა მარტო გამსახურდიასთვის, არამედ მთელი ქართველი ხალხისთვის.

დამოუკიდებლობის გამოცხადება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ იდეის უკომპრომისო ერთგულებაში საქართველოს ისტორიას სამარადუროდ დარჩება მისი სახელი. ამ მხრივ ძნელია მას XX საუკუნის რომელიმე ქართველი მოღვაწე შევადაროთ. სამწუხაროდ, შეცდომებიც ბევრი იყო, რომელთა უმრავლესობა დროის სირთულით და შინაური ოპოზიციის მიერ დატრიალებული პერმანენტული ანარქიითაც იყო განპირობებული. როგორც ჩანს, ახლოვლების გავლენაც საკმარისზე ძლიერი გახლდათ ზვიად გამსახურდიას. მან საგარეო პოლიტიკაში მცდარი კურსი აირჩია დასავლეთთან დამოკიდებულებაში. თუმცა, ყველა ამ შეცდომას ობიექტური მიზეზებიც შეიძლება მოუძებნო.

დასავლეთი და მისი სამხედრო-პოლიტიკური ლიდერი აშშ, 1991 წლის მინურულამდე ცნობდნენ საბჭოთა კავშირს, მის ტერიტორიულ მთლიანობას და ამდენად, ყველა მოკავშირე რესპუბლიკა განიხილებოდა იმპერიის შემადგენელ ნაწილად. ამ მარტივი მიზეზის გამო, დასავლეთი თანაუგრძობდა მოკავშირე რესპუბლიკებში მიმდინარე ეროვნულ მოძრაობას, მაგრამ ოფიციალურად არ ცნობდა მათ სეპარატისტულ სახელმწიფო-

კიდებლობას. 1991 წლის შემოდგომის ჩათვლით, არც აშშ-ს, არც დასავლეთს არ უცვნიდა საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა. დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკების დე-იურე ცნობის პროცესი 1991 წლის დეკემბერში დაიწყო. მაგრამ საქართველოს ხელისუფლება, სწორედ ამ პერიოდში, აშშ-ის მიერ მხარდაჭერის გარეშე აღმოჩნდა, რამაც მისი მდგომარეობა უიმედო გახადა. ახალ სამოკავშირე ხელშეკრულების ხელმოწერაზე საქართველოს ხელისუფლების უარმა, საბოლოოდ განაპირობა აშშ-ის და დასავლეთის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის შეუძლებლობა. გამსახურდიამ კვლავ უარი თქვა ცენტრთან კომპრომისზე და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლაზე, რაც მას ხელისუფლების შენარჩუნების შანსს აძლევდა.

როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს და მოღვაწეს, ზვიად გამსახურდიას შეეძლო საბჭოთა იმპერიასთან უკომპრომისო ბრძოლა გაეგრძელებინა. მაგრამ როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, მან მიიმე შეცდომა დაუშვა, როცა კომპრომისზე არ წავიდა არც ცენტრთან და არც საერთაშორისო კონიუნქტურასთან,



ბრივ წარმონაქმნებს. პოლიტიკური საერთაშორისო რეალობის ამგვარი ლოგიკის გამო, 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდგომი საქართველოს არასაბჭოური რესპუბლიკა, დასავლეთისთვის ისევე საბჭოთა კავშირში შემავალი საქართველოს რიგითი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახლდათ და თავიდანვე განწირული იყო საერთაშორისო იზოლაციისთვის, როგორც მისგან არცნობილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი.

ამ მხრივ მდგომარეობა არ შეცვლილა არც 1991 წლის 9 აპრილის შემდეგ. დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდეგ, საქართველოს ახალი მდგომარეობა არ უცვლიათ არც დასავლეთს, არც მსოფლიოს რომელიმე სახელმწიფოს. ასე რომ, გამსახურდიას ხელისუფლება არსებული საერთაშორისო იზოლაციის ბაღეს ვერ გაარღვევდა, სანამ მსოფლიო თანამეგობრობა საბჭოთა კავშირს ცნობდა.

1991 წლის აგვისტოს შუა რიცხვებამდე, დამოუკიდებელი საქართველოს ე.წ. საერთაშორისო თანამეგობრობის ფარგლებს გარეთ ყოფნა და მისი არცნობა — ზვიად გამსახურდიას სუსტი ან ძლიერი, ან ნებისმიერი ხარისხის საგარეო პოლიტიკის შედეგი კი არ იყო, არამედ — საერთაშორისო ურთიერთობებისა და მამხინდელი მდგომარეობის შედეგი, ანუ როგორც შეტული იტყოდა — ობიექტური რეალობის ნაყოფი.

მიუხედავად ამისა, ოპოზიცია სრულიად უსაფუძვლოდ ამტკიცებდა, რომ თითქოს გამსახურდიას ხელისუფლება რომ არა — დასავლეთი ცნობდა საქართველოს დამოუ-

რამაც მისი ხელისუფლების დამხობაში საბედისწერო როლი ითამაშა.

გარდა ამისა, უმთავრესი, თუ არა საბედისწერო შეცდომა, იყო გამსახურდიას გაუგებარი კონფრონტაციული ურთიერთობა ინტელიგენციასთან.

თუ ჰეგელს დავუჯერებთ, ის რაც ხდება, ყოველთვის კანონზომიერია. ამის იმისი თქმა მსურს, რომ რაც შემდგომში მოხდება, ორი ძირითადი მიზეზით იყო განპირობებული: საბჭოთა კავშირის აგენტურას უზარმაზარი რესურსი ჰქონდა და მან შეძლო, რომ პატარა ქვეყნის ეროვნულ მოძრაობაში არეულობა შეეტანა და მეორე მიზეზი იყო ის, რომ ჩვენ არ გვეყო შესაბამისი მზაობა, ინტელექტი და არ გვეყო შესაბამისი მზაობა, ინტელექტი და პოლიტიკური გონი, რომ ეს დაპირისპირება თავიდან აგვეცილებინა. ამას ემატებოდა ცნობილი „ქართული ამბიცია“.

ოპოზიცია ყოველდღე მიტინგებს აწყობდა. მთელი რუსთაველი ჩახერგილი და გადაკეტილი იყო თვეების მანძილზე, განსაკუთრებით, 1990 წლის 2 სექტემბრის მოვლენების შემდეგ. ჩემი აზრით, ოპოზიციის ლიდერების მოქმედება დანაშაულებრივი იყო, მათ იცოდნენ, რომ ამას მოჰყვებოდა კონფრონტაცია და ყველაფერი იარაღით დამთავრდებოდა. შეგვიძლია დღევანდელი ოპოზიციის თანამეგობრობის განხილვა დასავლეთის პარალელური — ამ უამინდელი ოპოზიციის ლიდერები ახლაც რუსეთისგან ელიან მხარდაჭერას და იქიდან იღებენ ინსტრუქციებს, ზოგიერთს ისე უნდა წარმართოს მოვლენები, როგორც 1990-1991

# ასე დაწერილი დამოუკიდებლობის 20-წლიანი ისტორიის მთავარი შტრიხები

## მეთხუთმეტე გვერდიდან

წლებში, თუმცა იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ასე არ მოხდება.

— **სამოქალაქო ომმა ღრმა კვალი დაამჩნია საქართველოს ისტორიას...**

— ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ 1991-1992 წლების გადატრიალება არ იყო სამოქალაქო ომი. ეს იყო შეიარაღებული გადატრიალება, რომელიც სხვა მეტროპოლიამ მოაწყო აქაური ძალების გამოყენებით, შეიარაღებული ფორმირებებით. ჩემი მოსაზრება დასაბუთებული მაქვს 597-გვერდიან მონოგრაფიაში „პოლიტიკური დაპირისპირებები საქართველოში და ეროვნული ხელისუფლების დამხობა 1987-1992 წლებში“.

სამწუხაროდ, მაშინ დათესილს დღესაც ვიძიებთ. ოპოზიცია, რომელიც მიტინგებს აწყობდა მთელი წლის განმავლობაში, 1991 წლის სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერში, მოსკოვიდან უკვე საკმაოდ შეიარაღებული, 22 დეკემბერს იწყებს ბრძოლას, 6 იანვარს კი ხელისუფლება უკვე დამარცხებულია და მიდის.

— **ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ვისი იდეა იყო საქართველოში შევარდნაძის ჩამოყვანა. რამდენად სწორი იყო ეს გადაწყვეტილება და როგორი პოლიტიკური კურსი აირჩია სახელმწიფოს ახალმა მეთაურმა?**

— მართალია, გადატრიალების სახელობითი ავტორები შემდგომში იჩენებდნენ, რომ შევარდნაძე მათ ჩამოიყვანეს, მაგრამ მისი „ჩამოყვანა“ ბევრად ძლიერმა ძალებმა დაგეგმეს და განახორციელეს მოსკოვ-ვაშინგტონში, ვიდრე მათი ნების აღმსრულებელი მარიონეტების სამეული გახლდათ.

ეფუარდ შევარდნაძის სახელს უკავშირებენ არა მარტო გადატრიალების ინსპირაციას, არამედ გადატრიალების შემდგომ ქვეყანაში სტაბილიზაციასაც. მან მოახერხა კრიმინალური შეიარაღებული ფორმირებებისა და ლამის საველე მეთაურების დონეზე გაძლიერებული ყოფილი ლიდერების — კიტოვან-ოსელიანის ნეიტრალიზება. მან 1995 წელს მიიღო ქვეყნის კონსტიტუცია, საფუძ-

ველი ჩაუყარა დასავლეთთან და აშშ-თან ურთიერთობას. მისი მმართველობის დროს გადაიდა პირველი ნაბიჯები ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან პარტნიორულ თანამშრომლობაში. უმნიშვნელოვანესი გახლდათ სტამბოლში, ეუთოს სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება — საქართველოდან რუსეთის შეიარაღებული ბაზების გაყვანის შესახებ. გარდა ამისა, საქართველო გახდა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა — გაეროსი, ეუთოსი, ევროსაბჭოსი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძე ახალი დროის დემოკრატიულ მოთხოვნებს უნარიანად მოერგო, მაინც საბჭოთა მმართველი იყო. მას არასოდეს უფიქრია დამოუკიდებელი ქვეყნის ლიდერობაზე. მის მმართველობას ადრეულ ხანაშიც ერთი უცნაურობა ახასიათებდა: 1970-იან წლებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას, მაგრამ მალე მისმა ქმედებამ კორუფციის უფრო მეტი გაძლიერება გამოიწვია. მან უღმობელი ომი გამოუცხადა 1970-იან წლებში ნეგატიურ მოვლენებს, მაგალითად პროტექციონიზმს, მაგრამ ამის შემდეგ პროტექციონიზმმა უფრო მაგრად გაიძვრა ფესვები ქართულ საზოგადოებაში. 90-იან წლებში მან, პირიქით, თვითღიწევაზე მიუძღვა პროცესები, კორუფციას გასაქანიც კი მისცა, რათა თავისი ხელისუფლებისთვის დასაყრდენი სოციალური ფენა — ელიტარული ინტელიგენცია და ყოფილი პარტიულ-ბიუროკრატიული ზედაფენა გაეძლიერებინა. ეს მისი ძველი გვარდია იყო.

— **რატომ გაემიჯნა „მოქალაქეთა კავშირის“ რეფორმატორული გუნდი მის წევრთა მთავარ შემოქმედს — შევარდნაძეს?**

— სააკაშვილის ლიდერობით რეფორმატორთა გუნდის ორგანიზება აშშ-ის პროექტი გახლდათ. დასავლეთს აღარ აკმაყოფილებდა შევარდნაძის ორმაგი თამაშები. ერთ დღეს იგი თავის სტრატეგიულ პარტნიორად აშშ-ს ასახელებდა, მეორე დღეს კი — რუსეთს. შეიძლება ითქვას, რომ იგი ვახტანგ მეექვსეს პოლიტიკას ახორციელებდა, რომელზეც დავით გურამიშვილი ამბობდა:

— სამი ბატონის ყმა იყო. გამოზნული იყო, რომ რეფორმატორები პოსტშევარდნაძის-ეულ საქართველოში უნდა მოსულიყვნენ.

ამ პერიოდში ორი პროექტი შეეჯახა ფარულად ერთმანეთს — მოსკოვისა ჟვანია-ბურჯანაძის გუნდის სახით და სააკაშვილისა აშშ-ის კადრის სახით. ახლა რომ ამბობენ, ბურჯანაძემ პარლამენტის სპიკერობიდან წასვლის შემდეგ აიღო გეზი მოსკოვზე, გულუბრყვილობაა — ბურჯანაძე სპიკერობის პერიოდშიც მოსკოვის კადრი იყო, ისევე როგორც ნოლაიდელი. თუმცა ჩემი ეს მოსაზრება მეტ დასაბუთებას საჭიროებს.

**ახლა რომ ამბობენ, ბურჯანაძემ პარლამენტის სპიკერობიდან წასვლის შემდეგ აიღო გეზი მოსკოვზე, გულუბრყვილობაა — ბურჯანაძე სპიკერობის პერიოდშიც მოსკოვის კადრი იყო, ისევე როგორც ნოლაიდელი. თუმცა ჩემი ეს მოსაზრება მეტ დასაბუთებას საჭიროებს.**

— **ძირითადად რა პროცესებმა განაპირობა „ვარდების რევოლუცია“?**

— „ვარდების რევოლუცია“ თავიდან ბოლომდე ორიენტაციული რევოლუცია გახლდათ. რევოლუციის ძირითადი მიზანსი საქართველოს საგარეო პოლიტიკის დასავლური ორიენტაციის ლიანდაგზე გადასვლა იყო და ასეც მოხდა. შევარდნაძის მმართველობის უკუღმართობით გამძვინვარებული ხალხის უკმაყოფილება რევოლუციით დასრულდა.

— **საინტერესოა, როგორ იწერება უახლესი ისტორია და ვინ განსაზღვრავს მის ობიექტურობას? რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს ქართულმა ისტორიოგრაფიამ მოვლენების მიუკერძოებლად გასაშუქების და ობიექტური შეფასების დროს?**

— ნებისმიერი მოვლენის გააზრებისთვის ბევრი გარემოებაა გასათვალისწინებელი. ბოლო წლებში, ქართულ საისტორიო მეცნიერებას შესაძლებლობა მიეცა XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, მათ შორის, 1991-1992 წლების მოვლენები ერთი პრინციპით, მაქსიმალური მიუკერძოებლობით, რეალობასთან მიახლოებით გააშუქოს. ამ პრინციპის აზრი ერთადერთია: დღევან-

დელ საზოგადოებას როგორც არასდროს, ისე სჭირდება მართალი ისტორია, ცუდი სიმართლე ღამაზ და გამოგონებულ ტყუილს ჯობია.

ისტორიკოსთა მრავალი თაობისთვის დამაფიქრებელი და რთულად გადასაწყვეტია ერთი პრობლემა — როგორ უნდა აღადგინოს ისტორიკოსმა მოვლენების მიუკერძოებელი, ობიექტური სურათი, მით უფრო, რომ ბევრი სპეციალისტის აზრით, ასეთი რამ თითქმის შეუძლებელია. მაგრამ მცდელობა და მასთან მიახლოება მაინც შესაძლებელია. სხვანაირად საისტორიო მეცნიერება აზრს დეკარ-

გავდა. მაგალითად, ერთ დროს ჩვენში დიდი კამათის საგანი იყო, თუ ვინ ისროლა პირველმა 1991 წლის 22 დეკემბერს. ეს ფაქტი შეიძლება ზუსტად ვერ დადგინდეს, ან ნებისმიერი ვერსია არასარწმუნო იყოს, მაგრამ საქმის არსის გასარკვევად ამ ფაქტს ისტორიკოსებისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან შეიარაღებულმა ოპოზიციამ მთავრობის სასახლეს ალყა შემოარტყა და ორი კვირა ესროდა მას. რა მნიშვნელობა ჰქონდა პირველ გასროლას? რა თქმა უნდა, საისტორიო მეცნიერებამ უნდა გაითვალისწინოს მომხდარი პოლიტიკური მოვლენების მონაწილეთა პოზიციაც, მაგრამ მათი მრავალრიცხოვნობისა თუ სუბიექტურობის გამო შეუძლებელია უკრიტიკო გაზიარება. ისტორიკოსისთვის მთავარი ამოსავალი მაინც დოკუმენტია, ან საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტი ან ისტორიული წყაროს შემცველი მასალა.


ისტორიის უმთავრესი დანიშნულება კი ერთადერთია — არ გავემეორეთ წარსულის შეცდომები.

**მოამზადეს: შურთხია ბერძენიშვილი და ნინო კაკულიანი**

## ისტორია მეორდება?!

### რატომ არ მიიღეს საქართველო ერთა ლიგაში

საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავის აღნიშვნა ისტორიული წარსულის ანალიზისა და გადაფასების ერთგვარი აუცილებლობის ნიშნად გვაყენებს. ის, რომ დასავლეთი სიტყვითა და ფულით გვეხმარება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, ხშირად არასაკმარისად გვეჩვენება. მევეთ პოლიტიკურ მხარდაჭერას და კომპრომისებს, თუნდაც ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გასაწევრიანებლად, არც ამერიკის შეერთებული შტატები და არც ევროპა არ უშვებენ ამის მიზეზი შეიძლება იყოს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამერიკა და ევროპა რუსეთს ანგარიშს უწევენ და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ საქართველოსთან მიმართებაში ხისტ ნაბიჯებს არ დგამენ. ისტორია მეორდება... ასე იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) არსებობის დროსაც, როცა ერთა ლიგა „ქოლგად“ მიგვაჩნდა, მაგრამ მასში განევრიანების საშუალება, ისევე და ისევე, რუსეთის ფაქტორის გამო არ დაგვადგა. სწორედ ამ წარსული რეალობის შესხენებითაა შესაძლებელი სწორი ნაბიჯების გადადგმა, რათა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“ და მხოლოდ სხვისი იმედის მოლოდინში არ ვიყოთ. აი, რა მწარე სიმართლეს გვახსენებს ჩვენი ისტორია...



1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მუდმივი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და ამით განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება იმ პერიოდში მიმდინარე და შემდგომში მოსალოდნელი ომებისადმი. მუდმივი ნეიტრალიტეტის თაობაზე ქართული პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილება იყო არსებული საერთაშორისო ვითარების სწორი ანალიზის შედეგი.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელი გახდა გერმანიის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერის წყალობით, ახლად შობილი სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ვექტორი სწორედ გერმანიისაკენ იქნა მიმართული. ამასთან, პროგერმანული ორიენტაცია, სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორითაც იყო განპირობებული. თურქეთი არ დასჯერდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშე-

კრულებით (1918 წლის 3 მარტი) მოპოვებულ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას (ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქებს) და მოითხოვდა კიდევ სხვა ტერიტორიებს. თურქეთმა სამხედრო ინტერვენციის გზით ცადა მიზნის მიღწევა. თურქეთის აგრესიული პოლიტიკის რამდენადმე შეზღუდვა შეეძლო ისევე და ისევე გერმანიას (თურქეთი და გერმანია პირველ მსოფლიო ომში მოკავშირეები იყვნენ). ყოველივე ამან განსაზღვრა საქართველოს პროგერმანული ორიენტაცია, რამაც გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო. ამასთან ერთად, საქართველოს მოუხდა გარკვეულ კომპრომისზე წასვლა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება იძულებული გახდა 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ხელშეკრულებით თურქეთისათვის დაეთმო ძირძველი ქართული ტერიტორიები (მთელი მესხეთი აბასთუმისა და აწყურის გამოკლებით და აჭარა),

სამაგიეროდ თურქეთმა 1918 წლის 4 ივნისს საქართველო დე ფაქტო აღიარა.

ამდენად, პირველი სერიოზული წარმატება (გარკვეული ტერიტორიული დანაკარგების ხარჯზე) — საქართველოს დე ფაქტო აღიარება თურქეთის მხრიდან მიღწეულ იქნა საგარეო-პოლიტიკური მოკავშირის — გერმანიის იმპერიის აქტიური დახმარებით. თვით გერმანიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე ფაქტო აღიარა 1918 წლის 28 მაისს ფოთში დადებული ხელშეკრულებით. ამასთან, 1918 წლის 27 აგვისტოს გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების მეცამეტე მუხლში ჩაინერა: „რუსეთი თანახმაა, რომ გერმანიამ ცნოს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანიზმად“. ეს საბჭოთა რუსეთის მხრიდან არაპირდაპირ საქართველოს დე ფაქტო აღიარებას ნიშნავდა.

საქართველოს პროგერმანული ორიენტაციით შემოვითებას ვერ მალავდნენ ანტანტის სახელმწიფოები (ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები). ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1919 წლის 9 თებერვალს საერთოდ „უარი თქვა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე“.

ინგლისის პოზიცია კარგად გამოხატა საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა. მისი აზრით, თუ საქართველოს მტრული დამოკიდებულება ექნება რუსეთთან, ინგლისი ვერ ცნობდა საქართველოს. ამდენად, ანტანტის ქვეყნები საქართველოს, ფაქტობრივად, საბჭოთა რუსეთთან პირისპირ ტოვებდნენ.

საბჭოთა რუსეთის მიერ გენერალ ანტონ დენიკის თეთრი არმიის დამარცხების შემ-

➤ **მე-17 გვერდზე**

# ისტორია მეორდება?

## მეთექვსმეტე გვერდიდან

დედ კერზონმა ანტანტის უმაღლეს საბჭოში დააყენა საქართველოს დე ფაქტო ცნობის საკითხი.

გერმანიის პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა გამარჯვებული სახელმწიფოების (ინგლისი, საფრანგეთი და სხვ.) პოზიციას, რომლებიც პარიზის კონფერენციაზე შეიკრიბნენ (გაიხსნა 1919 წლის იანვარში). ეს სახელმწიფოები მზად იყვნენ საქართველო დე ფაქტო აღიარებინათ, ხოლო მისი დე იურე აღიარება შესაძლებლად მიაჩნდათ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის მიერ საქართველოს დე იურე აღიარების შემდეგ. 1920 წლის 12 იანვარს ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ, ხოლო 1920 წლის 7 თებერვალს იაპონიამ დე ფაქტო ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალ სუბიექტად ცნობა ითვალისწინებს მის დე იურე აღიარებას. ამ მიმართულებით გარკვეული წინააღმდეგობები, როგორც აღვნიშნეთ, თვით გერმანიასთანაც კი წარმოიშვა. გერმანია მზად იყო საქართველო დე იურე აღიარებინა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრის (ანუ საბჭოთა რუსეთის) მიერ ყოფილი კოლონიის (ანუ საქართველოს) დე იურე აღიარების შემდეგ. ამდენად, აშკარად გამოხატული პროგერმანული ორიენტაციის მიუხედავად, საქართველომ გერმანიის მხრიდანაც კი ვერ მიაღწია დე იურე აღიარებას რუსეთის მიერ მის დე იურე ცნობამდე. ამასთან, საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის გარკვევა სხვა მხრივაც იყო სასიცოცხლო მნიშვნელობისა საქართველოსთვის. საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე ნოემბერს არმია 1920 წლის 2 მაისს აზერბაიჯანის მხრიდან გადმოლახა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი (საბჭოთა რუსეთმა აზერბაიჯანი დაიპყრო 1920 წლის აპრილში) და თბილისსაკენ აიღო გეზი. მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს „დაუპატივებელ სტუმრებს“ და მათ უკან დაახევინეს, მაგრამ საბჭოთა რუსეთთან ომის წარმოება საქართველოს დე იურე აღიარებას საბოლოოდ დაასამარებდა. ამიტომაც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებმა ჯერ კიდევ 1920 წლის 16 და 22 აპრილს სათანადო ნოტა გაუგზავნეს საბჭოთა რუსეთის მთავრობას და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზეს.

მართალია, საბჭოთა რუსეთი საქართველოს დასაპყრობად ემზადებოდა, მაგრამ 1920 წლის გაზაფხულისათვის საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის მიმდინარე ომმა და გენერალ პეტრე ვრანგელის ჯარების თავმოყრამ ყირიმში გაართულა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა. ამიტომაც, რუსეთმა მიზანშეწონილად ჩათვალა დიპლომატიური მოლაპარაკებების დაწყება. მოლაპარაკება დასრულდა 1920 წლის 7 მაისს ხელშეკრულების დადებით. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების პირველი მუხლით რუსეთმა უპირობოდ დე იურე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. რუსეთი ნებაყოფლობით ამბობდა უარს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომლებიც კი მას გაჩნდა ქართველი ერისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის მიმართ. დიდი მიღწევა იყო ისიც, რომ რუსეთმა დემოკრატიული რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად ცნო თბილისის, ქუთაისის გუბერნიები და ბათუმის ოლქი მათში შემავალი ოკრუგითა და მახრებით, ასევე — ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ რუსეთი საქართველოს ნაწილად მიიჩნევდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილსაც მდ. ფსოუდან აღმოსავლეთით. მიუღებელი იყო საქართველოსათვის 1920 წლის 12 მაისს მოსკოვში დადებული დამატებითი შეთანხმება, რომელიც ხელშეკრულების ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა. დამატებითი შეთანხმების ძალით, ზაქათალის ოკრუგის (საინგილოს) ტერიტორიის კუთვნილების საკითხი განსახილველად უნდა გადასცემოდა ქართულ-აზერბაიჯანულ კომისიას, რომლის თავმჯდომარეც რუსეთის წარმომადგენელი იქნებოდა, ცხადია, ტერიტორიულ დავას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის რუსეთი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყვეტდა.

მართალია, 1920 წლის 7 მაისის ხელშე-

კრულება შეიცავდა საქართველოსათვის ძალზე სასიფათო მუხლებს, მაგრამ, მთავარი იყო, რომ საბჭოთა რუსეთმა დე ფაქტო და დე იურე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, ქმნიდა წინააღმდეგობებს მსოფლიოს სახელმწიფოების მხრიდან საქართველოს დე იურე აღიარებისათვის. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას შედეგად მოყვა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება.

რუსეთში მყოფი ქართველი ბოლშევიკები ი. სტალინი და ს. ორჯონიკიძე კატეგორიული წინააღმდეგობი იყვნენ საქართველოსთან რაიმე ტიპის ხელშეკრულების დადებისა. ხელშეკრულების დადების შემდეგ გრიგოლ ურატაძე შეხვდა იოსებ სტალინს. ი. სტალინმა გრ. ურატაძეს ცინიკურად უთხრა: „გრიშა! ბიჭო, შენ მართლა გგონია რომ რუსეთი ასე ადვილად დათმობს ბათუმს?!“

ქართველი პოლიტიკოსები კარგად ითვალისწინებდნენ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა რუსეთი, დე ფაქტო და დე იურე აღიარების მიუხედავად, საქართველოს დასაპყრობად ემზადებოდა და, ამიტომაც, ქართველი დიპლომატების უმთავრეს მიზანს შეადგენდა საქართველოს განუყოფლობა ერთა ლიგაში, რომელიც დაიცავდა მას რუსეთის აგრესიისაგან.

## ერთა ლიგის შექმნის ისტორია

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა წამოაყენა უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის იდეა, რომელიც მონოდეპენდენტი იქნებოდა — განუყოფელია სახელმწიფოების შორის მშვიდობა, დაემყარებინა მათ შორის კეთილშეობილი ურთიერთობა და ყველა დავა-კონფლიქტი გადაჭრილიყო მოლაპარაკებათა გზით. ამ იდეას აქტიურად დაუჭირა მხარი ინგლისის პრემიერ-მინისტრმა დევიდ ლოიდ ჯორჯმა. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის მიზნით მუშაობა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წარმოებდა.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე (1919 წლის იანვარი — 1920 წლის იანვარი) ანტანტის ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები) პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ სახელმწიფოებთან (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი) საზღვარ ხელშეკრულების დასადავად და ახალი მსოფლიო წესრიგის დასაქონებლად შეიკრიბნენ. კონფერენციის მსვლელობის დროს, დღის წესრიგში დადგა საერთაშორისო ორგანიზაციის — ერთა ლიგის — წესდების შემუშავების საკითხი. მართლაც, 1919 წლის 28 აპრილს პარიზის (ვერსალის) კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ძალაში შევიდა 1920 წლის 10 იანვარს (ერთა ლიგის წევრი სახელმწიფოების მიერ მისი რატიფიკაციების შემდეგ). ასე ჩაეყარა საფუძველი ახალ საერთაშორისო ორგანიზაციას — ერთა ლიგას, ანუ „ხალხთა ლიგას“, როგორც მას მაშინ საქართველოში ეძახდნენ.

ერთა ლიგის წესდების მეათე მუხლის თანახმად, ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ვალდებული იქნებიან, პატივი ეცათ და დაეცვათ ორგანიზაციის ყველა წევრის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. თავდაპირველად ერთა ლიგის წევრი გახდა 44 ქვეყანა (ინგლისი, აშშ, საფრანგეთი, იტალია და სხვ.).

## მკვიდრი ქართული პოზიცია

ცხადია, მსგავს საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს განუყოფლობა ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხის გაუვნებელყოფის მთავარი გარანტი გახდებოდა. 1919 წლის 21 მაისს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის სახელით კარლო ჩხვიძემ სპეციალური მემორანდუმით მიმართა ერთა ლიგას და სთხოვა ორგანიზაციაში საქართველოს მიღება. აღნიშნული მემორანდუმი 1920 წლის სექტემბერში ევროპაში ჩაიტანა ქართულმა დელეგაციამ სავარყო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. ქართული დელეგაციის წევრები ინტენსიურ შეხვედრებს მართავდნენ ერთა ლიგის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებთან, რათა მიეღწიათ ორგანიზაციაში საქართველოს მიღების დასტურისათვის.

ერთა ლიგაში საქართველოს განუყოფლობა-

ბის საკითხი ფართო დებატების საგანი გახდა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში. დეპუტატები დიდხანს მსჯელობდნენ ერთა ლიგაში საქართველოს მიღების მნიშვნელობაზე. ერთა ლიგაში საქართველოს განუყოფლობის წინააღმდეგ გამოვიდა სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია. ამ ფრაქციის წარმომადგენელმა ლეო შენგელიამ მოითხოვა ერთა ლიგაში საქართველოს განუყოფლობის საკითხი გატანილიყო რეფერენდუმზე და უშუალოდ ხალხს გაერკვია განუყოფლობა-არგანუყოფლობის საკითხი. სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია უმცირესობაში აღმოჩნდა. დეპუტატების უმრავლესობა (სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები) მხარს უჭერდა ერთა ლიგაში საქართველოს განუყოფლობას.

## რა პირობები უნდა დაეკავოფილაინა საქართველოს?

1920 წლის 15 ნოემბერს შენგელმა გაიხსნა ერთა ლიგის პირველი სესია. სესიაზე უნდა განხილულიყო ლიგაში ახალი სახელმწიფოების მიღების საკითხი. ახალი წევრების მიღების განხილვა მეხუთე განსაკუთრებულ კომისიის პრეზიდიუმის შეადგენდა. ლიგის წევრობის კანდიდატ ქვეყანას უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი მოთხოვნები: 1. სახელმწიფოს უნდა შეესრულებინა ყველა ინტერნაციონალური ვალდებულება, რომლის შესრულებაზე თანხმობა ჰქონდა მიცემული; 2. სახელმწიფოს უნდა ჰყოლოდა ისეთი მთავრობა, რომელიც შეასრულებდა ხალხის მოთხოვნებს; 3. ერთა ლიგაში მიღების მსურველი სახელმწიფო მზად უნდა ყოფილიყო შესრულებინა ერთა ლიგის წესდება და ორგანიზაციის მიერ მიღებული ყველა დადგენილება (გადაწყვეტილება); 4. სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა დადგენილი საზღვრები და ამ საზღვრებში მცხოვრებნი ერთი ერის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ.

საქართველოს საკითხი განსახილველად გადაეცაზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასთან და კოსტარკასთან ერთად მესამე ქვეკომისიას: თავმჯდომარე — ფრ. ნანსენი (ნორვეგია), წევრები: პროფესორი იოანესკუ (რუმინეთი), მილენი (ავსტრია), პალასიოსი (ესპანეთი), პოლიტისი (საბერძნეთი), სპალი-კოვიჩი (სერბია) და ტსან-ტსაიფუ (ჩინეთი). მესამე ქვეკომისიის ამოცანას შეადგენდა, თავის მხრივ, გაერკვია შემდეგი: ა) სწორადაა თუ არა წარმოდგენილი შუამდგომლობა ლიგაში მიღებისათვის; ბ) უპირობოდ თუ არა შუამდგომლობის წარმომადგენი ქვეყანა დე ფაქტოდ ან დე იურედ და რომელი სახელმწიფოების მიერ; გ) ჰყავს თუ არა ქვეყანას მტკიცე მთავრობა და აქვს თუ არა გარკვეული საზღვრები, როგორია მისი ფართობი და მოსახლეობის რაოდენობა; დ) დემოკრატიულია თუ არა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა; ე) რა პოზიცია აქვს შეიარაღების საკითხებზე საერთაშორისო ვალდებულებათა და ერთა ლიგის დადგენილებების მიმართ.

ბუნებრივად ისმის კითხვა, აკმაყოფილებდა თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთა ლიგის წევრობის კანდიდატი ქვეყნის მოთხოვნებს?

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ ჰქონდა აღებული განსაკუთრებული საერთაშორისო ვალდებულება და, აქედან გამომდინარე, ცხადია, ვერც დაარღვევდა მას; 2. საქართველოს ხელისუფლება არჩეული იყო ქართველი ხალხის მიერ და შეძლებისდაგვარად ახორციელებდა ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვა რეფორმებს; 3. ლიგაში გაგზავნილ მემორანდუმში დანვრილებით იყო აღწერილი საქართველოს სახელმწიფო საზღვრები; 4. მართალია, საქართველო მეტად ჭრელი იყო ეთნიკურ თვალსაზრისით, მაგრამ, რაც მთავარია, ეთნიკური უმცირესობების უფლებები ქვეყანაში არ ირღვეოდა; 5. საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტად აღიარების საკითხი, ამ დროისათვის, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ხელის შემშლელი ფაქტორი ერთა ლიგაში გასანუყოფლობაზე, ვინაიდან, 1920 წლის ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე ფაქტო იყო აღიარებული თურქეთის, გერმანიის, არგენტინის, იტალიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, ბელგიის, საბჭოთა რუსეთის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის მიერ, ხოლო დე იურე — თურქეთის, საბჭოთა რუსეთის და გერმანიის მიერ.

ამდენად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველნაირად აკმაყოფილებდა

ერთა ლიგის წევრობის კანდიდატი ქვეყნის მოთხოვნებს.

საბოლოოდ, მესამე ქვეკომისიამ დადებითად გადაწყვიტა საქართველოს საკითხი და ის დამკვეთელ იქნა მეხუთე განსაკუთრებული კომისიის სხდომაზე.

საქართველოს ერთა ლიგაში მიღების საკითხი განხილეს 1920 წლის 16 დეკემბერს. კენჭისყრაში მონაწილეობდა 24 სახელმწიფო, ერთა ლიგის წევრად გახდომისათვის საჭირო იყო 16 ხმა. ერთა ლიგაში საქართველოს მიღებას მხარი დაუჭირეს: სამხრეთ აფრიკამ, ბოლივიამ, კოლუმბიამ, იტალიამ, ნორვეგიამ, პარაგვაიმ, სპარსეთმა, პორტუგალიამ, შვეიცარიამ და ჩილემ. საქართველოს წინააღმდეგ ხმა მისცეს: ავსტრალიამ, კანადამ, კუბამ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ესპანეთმა, ზელანდიამ, ნიდერლანდებმა, ჩეხოსლოვაკიამ და დანიამ. თავი შეიკავეს: ბელგიამ, პოლონეთმა, შვეიცამ და რუმინეთმა.

ამდენად, საქართველოს ერთა ლიგაში განუყოფლობას მხარი დაუჭირა 10 ქვეყანამ (წევრობისათვის საჭირო იყო დამატებით კიდევ 6 ხმა), წინააღმდეგი აღმოჩნდა ასევე — 10 და თავი კი შეიკავა 4 ქვეყანამ.

ასე რომ, კენჭისყრის შედეგების მიხედვით, საქართველო ერთა ლიგის წევრი ვერ გახდა.

## უარი ინგლისის გავლენით

ის გარემოება, რომ ინგლისის ყველა დომინიონი (ავსტრალია, კანადა, ზელანდია) კენჭისყრის დროს ლიგაში საქართველოს წინააღმდეგი აღმოჩნდა, განპირობებული იყო ისევე და ისევე ინგლისის გავლენით.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა რუსეთთან „ახლოს მიდებარე“ სახელმწიფოებმა (ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, შვეიცარია, რუმინეთი) კენჭისყრაში ან თავი შეიკავეს ან საქართველოს წინააღმდეგ მისცეს ხმა და ამით გამოხატეს ერთგვარი ლოიალობა რუსეთისადმი. საინტერესოა, ერთა ლიგაში საქართველოს მიღების მოწინააღმდეგე სახელმწიფოების არგუმენტები. ინგლისელი ფიშერი ამტკიცებდა, რომ „ერთა ლიგა ჯერ ახალგაზრდა ორგანიზაციაა და თავიდანვე არ უნდა იქნას როს პასუხისმგებლობა ამა თუ იმ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაზე“. ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა ფრანგმა ვივიანამაც. მისი თქმით, „ლიგას მეტად გაუძნელდება ახალი წევრების ტერიტორია, მე-10 მუხლის თანახმად, თავდასხმისაგან უზრუნველყო“.

ერთა ლიგაში საქართველოს მიღების საკითხი უარყოფითად გადაწყვიტა ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციამ. ვეროპის პოლიტიკაში სწორედ ეს ორი სახელმწიფო თამაშობდა გადაწყვეტ როლს. ინგლისი და საფრანგეთი გავლენას ახდენდა ისეთი ქვეყნების პოზიციებზე, როგორებიც იყვნენ: ავსტრალია, კანადა, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ესპანეთი და სხვ. ერთა ლიგის სესიის შემთავის პერიოდში (1920 წლის დეკემბერი) ლონდონში ინგლისსა და საბჭოთა რუსეთის შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება. მოლაპარაკებების ერთ-ერთ ძირითად საკითხს შეადგენდა გავლენის სფეროების გამიჯვნა სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში). ამ დროისათვის აზერბაიჯანი და სომხეთი უკვე დაპყრობილი იყო საბჭოთა რუსეთის მიერ. ლონდონის მოლაპარაკებაზე საბჭოთა რუსეთმა მიაღწია იმას, რომ საჯარო-ეკონომიკური ურთიერთობის (ინგლისის საბჭოთა რუსეთთან გაჰქონდა ნავთობი, მანქანუმი, ხორბალი და სხვ.) სანაცვლოდ ინგლისს დაათმობინა ამიერკავკასია. ასეთ გარიგებას დაეთანხმა საფრანგეთიც. ამრიგად, ერთა ლიგაში საქართველოს მიღების თაობაზე კენჭისყრის დღისათვის (1920 წლის 16 დეკემბერი) ინგლისის მიერ საქართველო აღიარებული იყო რუსეთის გავლენის სფეროდ და, ცხადია, ინგლისი მხარს არ დაუჭერდა საქართველოს მიღებას ერთა ლიგაში.

საქართველოს ლიგაში განუყოფლობის საკითხის ჩაშლის საკომპენსაციოდ ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა 1921 წლის 27 იანვარს (ინგლისი, საფრანგეთი) მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს დე იურე აღიარებისა.

მაგრამ ერთა ლიგაში მიუღებლობის გამო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთთან პირისპირ დარჩა და ამით მისი ბედი იმთავითვე განსაზღვრული აღმოჩნდა. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა მხოლოდ დროის საკითხი იყო.

# ოფიციალური ქრონიკა

## თანამშრომლობის გამორანდუმი იაპონიის რიკენ ომიკსის სამეცნიერო ცენტრთან



10 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იაპონიის რიკენ ომიკსის სამეცნიერო ცენტრის დელეგაცია ეწვია. ვიზიტის ფარგლებში თსუ-სა და სამეცნიერო ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიციანიძემ და რიკენ ომიკსის სამეცნიერო ცენტრის დირექტორმა ჰაიშიზუმი იოშიდომ მოაწერეს.

„მემორანდუმის მიზანია ერთობლივი გრძელვადიანი კვლევითი თანამშრომლობა, რომელიც მეცნიერთა შორის აქტიური კონტაქტების დამყარებას, სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლას, ერთობლივი ლექციებისა და სიმპოზიუმების გამართვას გულისხმობს“, – აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიციანიძემ.

ხელშეკრულებით კავთალისწინებულ ძირითად საკითხებს გენეტიკა და გენომიკა, მოლეკულური დიფერენცირების განვითარება და მათი პოტენციური გამოყენება წარმოადგენს. რიკენ ომიკსი ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია იაპონიაში. ცენტრის ძირითად საქმიანობას გენომის, კერძოდ ცოცხალ ორგანიზმებში მოლეკულურის ყოველმხრივ შესწავლასა და კვლევას წარმოადგენს. გენომების სრულმა თანმიმდევრობამ (გენების სრული კომპლექტი ორგანიზმში) შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ტიპის მოლეკულური მონაცემების ანალიზი. ომიკსის ცენტრის ფუნდამენტური კვლევების მიზანია დააკვიროს აღნიშნული მოლეკულური მონაცემების ქსელი, რათა მოლეკულურ დონეზე ბიოლოგიური მოვლენების გაგება გაუმჯობესდეს.

„ჩვენ ვმუშაობთ უნივერსალურ სისტემურ ანალიზზე, სახელწოდებით „ცხოვრების შესახებ მეცნიერების ამაჩქარებელი“ (life science accelerator). ეს პროექტი წარმოადგენს ფართომასშტაბიან სისტემურ ანალიზს, რომელიც მოლეკულური ქსელის ახსნაში გვეხმარება. ჩვენ მას ვუნდოდით ამაჩქარებელი, რადგანაც ის ამაჩქარებს ცხოვრების შესახებ სამეცნიერო კვლევების ტემპს მთელს მსოფლიოში. გვესურს მსგავსი სიახლეები გაუზიაროთ ჩვენს ქართველ კოლეგებს და გავზარდოთ მათი ჩართულობა“, – განაცხადა რიკენ ომიკსის სამეცნიერო ცენტრის დირექტორმა ჰაიშიზუმი იოშიდომ.

## იპროკავშირის დღეები თსუ-ში

7-9 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განათ-

ლებისა და მეცნიერების დეპარტამენტმა პროექტი „ევროკავშირის დღეები“ განახორციელა.

მრავალპროფილიანმა პროექტმა ლექცია-დებატები, კონფერენცია და ინტელექტუალური თამაშები მოიცვა. პროექტის მიზანია სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა საგანმანათლებლო აქტივობებში, ამა-სთან, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობასთან დაკავშირებით ცოდნის გაღრმავება და მეტი გამოცდილების მიღება.

პროექტის ფარგლებში გაიმართა კონფერენცია თემაზე — „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია, გამოწვევები და პერსპექტივები“. მონაწილეებმა ევროკავშირის სტრუქტურებისა და საქართველოს ინტეგრაციის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა ასპექტები განიხილეს. კონფერენციაში გამარჯვებულმა სამმა სტუდენტმა საკუთარი თემა კონფერენციის საზეიმო დახურვაზე წარმოადგინა. საუკეთესო სამუშაო ფულადი პრიზები გადაეცათ.

საზეიმო გახსნა 7 მაისს შედგა. ევროკავშირის თემაზე გამართული ლექცია დებატებით დასრულდა. ლონისძიების ფარგლებში ინტელექტუალური თამაში „უგამე“ ჩატარდა, რომლის ყველა მონაწილე ევროკავშირის სადაქვრებელ მისიის მიერ გადმოცემული სპეციალური პრიზებით დასაჩუქრდა, ხოლო გამარჯვებულმა გუნდმა 400 ლარიანი ნიგნების ვაუჩერი მიიღო.

## შვეიცარიის ელჩი ბიუნტარ ბახლარი სტუმრად თსუ-ში

10 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოში შვეიცარიის ელჩი გიუნტარ ბახლარი ეწვია. ელჩმა სტუდენტებისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის წაიკითხა ლექცია თემაზე — „მშვიდობა და დემოკრატიული რევოლუცია არაბულ ქვეყნებში“.

დოქტორმა ბახლარმა არაბულ სამყაროში განვითარებულ უკანასკნელ მოვლენებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ რევოლუციების სერია ტექნოლოგიების განვითარებამ და ორგანიზებულმა ოპოზიციურმა ძალამ გამოიწვია. ელჩმა მოხსენებაში ქუჩის საპროტესტო აქტივობები, რევოლუციები და „დაუნდობელი შეტაკებები“ ერთის მხრივ, პოლიტიკური და კულტურული სტაგნაციის, ხოლო მეორეს მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების კონტექსტში განიხილა. გიუნტარ ბახლარი საზოგადოებისთვის საინტერესო სხვადასხვა საკითხს შეეხო: რა სახის „რევოლუციებს“ განიცდიან; ვინ დგას პოლიტიკური ძალების უკან; რით აიხსნება ცვლილებების თანადროულობა სხვადასხვა რეგიონში; როგორია მოვლენების მსგავსება და განსხვავება სხვადასხვა ქვეყნებში; ასევე, არსებობდა თუ არა ინტელექტუალური ფესვები, რომლებმაც ხელი შეუწვეს სახალხო მოძრაობებს; რა კავშირია დემოკრატია, მშვიდობიან ცვლილებებს და შეიარაღებულ ძალადობას შორის ქვეყნებში, რომელიც დატანილია რუკაზე.

„რევოლუციები გახშირდა. ეს საზოგადოების მეტმა ინფორმირებულობამ და დე-

მოკრატისკენ სწრაფვამ განაპირობა. ხალხს აღარ სურს იყოს რომელიმე რეჟიმის შიგნით. საქართველომ თავისი სურვილი „ვარდების რევოლუციის“ დროს გააჟღერა. მე დიპლომატიური სამსახურის დიდი გამოცდილება მაქვს და მსურს სტუდენტებს გაუზიარო ჩემი მოსაზრება, წარმოადგინო ერთგვარი ანალიზი და მოვისმინო მათი აზრი. მომავალი მათ ხელშია, ამიტომაც მათი დაოკიდებულება ამა თუ იმ საკითხზე ყოველთვის მნიშვნელოვანია“, – აღნიშნა საქართველოში შვეიცარიის ელჩმა გიუნტარ ბახლარმა.

კონფლიქტების კვლევის დარგში ბრემენის უნივერსიტეტის მეცნიერებათა დოქტორმა გიუნტარ ბახლარმა სამეცნიერო მოღვაწეობა ჰამბურგის უნივერსიტეტში მშვიდობის და უსაფრთხოების კვლევის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკად დაიწყო. ახალგაზრდა მეცნიერის შრომები ძირითადად აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტს ეხებოდა. 1996 წელს პროფესორმა ჰარვარდის მოლაპარაკებების პროგრამა და ჯონ კენედის სახელმწიფო მართვის სკოლა გაიარა. 1988-2000 წლებში გიუნტარ ბახლარი ხელმძღვანელობდა მისივე დაარსებულ შვეიცარიული მშვიდობის ფონდს. 2005 წლიდან კი, ნეპალში შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური მრჩეველი სამშვიდობო საკითხებში, 2007 წელს შვეიცარიის საგარეო უწყებამ იგი მიაგნა დარფურში — სუდანში მთავარ მრჩეველად სამშვიდობო საკითხებში. 2009 წლიდან დოქტორი იყო მთავარი მედიატორი, 2010 წლის ივნისამდე კი ის აქტიურად იყო ჩართული დარფურის სამშვიდობო მოლაპარაკებებში, რომელიც ყატარში მიმდინარეობდა.

## თსუ-ის დელეგაციის ვიზიტი კადისის უნივერსიტეტში

11-14 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია სამუშაო ვიზიტით კადისის (ესპანეთი) უნივერსიტეტს სტუმრობდა. სამკაცინ დელეგაციას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიციანიძე ხელმძღვანელობდა. ვიზიტის მიზანი პარტნიორ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გააქტიურება და კონკრეტული პროექტების განხორციელება იყო.

ვიზიტისას ორი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები პირველ ერთობლივ არქეოლოგიურ პროექტზე შეთანხმდნენ. პროექტი სახელწოდებით „აღმოსავლეთ-ხმელთაშუაზღვის, პირინეის და კავკასიის კულტურათა და სავაჭრო ურთიერთობების შედარებითი ანალიზი“ წლის ბოლომდე დაიწყება. ერთობლივ პროექტს ორი ხელმძღვანელი ქართველი არქეოლოგი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი და ცნობილი ესპანელი არქეოლოგი დიეგო ლუის მატა ეყოლება. პროექტის ფარგლებში მოხდება ერთობლივი გათხრების წარმოება დასავლეთ საქართველოში; ამასთან, დაგეგმილია კოლხეთის დაცული კოლექტიური სამარხების გათხრა და შესწავლა. მონაწილე მხარეები ერთობლივად აღმოჩენილი ნიმუშების რესტავრაციასა და კონსერვაციას განახორციელებენ, გაიწერება აღმოჩენილი ექსპონატების ბაზა და სამუშაოების დასასრულს სამეცნიერო პუბლიკაცია გამოიცემა. პროექტის დასასრულს, 2013 წლის შემოდგომაზე ქალაქ კადისში ერთობლივი გამოფენაც მოეწყობა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კადისის უნივერსიტეტს შორის აქტიური თანამშრომლობა 2009 წლის სექტემბერში გაფორმებული მემორანდუმის შემდეგ ხორციელდება. ორ უმაღლესი სასწავლებელს შორის მიღწეული შეთანხმების მიზანია ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომების მომზადება და სტუდენტთა და პედაგოგთა ურთიერთგაცვლა. კადისის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ამჟამად რამდენიმე ქართველი სტუდენტი სწავლობს.

## თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია

20 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტური ორგანიზაცია „ემსა თსუ“-სა (ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია) და თსუ სტუდენტური თვითმმართველობის განათლების დეპარტამენტის ეგიდით სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობას მედიცინის სფეროს ცნობილი მოღვაწეები და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლები იღებენ. კონფერენციაზე პროფესორებთან ერთად სტუდენტებიც წარდგნენ.

„მსგავსი კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც სტუდენტები პროფესორებთან ერთად აკეთებენ მოხსენებებს, შესაბამისად, მათ გამოცდილებას იზიარებენ, ამასთან იღებენ უფრო მეტ საინტერესო და ახალ ინფორმაციას პირველი პირებისგან, რომლებიც წარმატებულნი არიან მედიცინის სფეროში“, – განაცხადა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა ალექსანდრე ცისკარიძემ.

კონფერენციის პირველ დღეს გაკეთდა მოხსენებები გლობალური ჯანმრთელობის ტენდენციების და მედიცინაში ნანოტექნოლოგიების გამოყენების შესახებ.

„უალტისკური ქირურგია ეს არ არის მარტო სიღამაზის ქირურგია, ის მოიცავს რეკონსტრუქციულ და ესთეტიკურ ქირურგიას, რაც მას მეტ მნიშვნელობას სძენს. მსურს ჩემი გამოცდილება გაუზიარო სტუდენტებს და ვუთხრა მათ, რომ მიღებული ცოდნა და პრაქტიკა მათი წარმატების გარანტი იქნება“, – აღნიშნა პროფესორმა ივა კუზანოვმა.

კონფერენციის მეორე ნაწილი ბაზალეთის ტბაზე გაგრძელდა. კონფერენციის დასასრულს გაიმართა მონაწილე სტუდენტების დაჯილდოების ცერემონია, სერტიფიკატებთან ერთად მათ საბასხვო საჩუქრები და ფულადი პრემია გადაეცათ.

აღნიშნული კონფერენცია „ემსა თსუ“-ს ერთი წლის იუბილეს დაემთხვა. ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია – თსუ 2010 წლის 20 მაისს ჩამოყალიბდა და ამ პერიოდის განმავლობაში მრავალი სპეციალური აქცია და პროექტი განახორციელა.

## სტუდენტის თვალით დანახული ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი

20 მაისს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა თემაზე - „სტუდენტის თვალთ დანახული ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი“

„ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დამკვიდრებისათვის საჭიროა საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. სტუდენტები თავიანთი აქტიურობით უზრუნველყოფენ ინსტიტუტის ამუშავებისთვის აუცილებელ პირობებს, ის მოსაზრებები და რჩევები, რომლებსაც ახალი თაობა დღეს ავლენს, გათვალისწინებული იქნება ხვალ“, – აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულაძე.

შეხვედრაში მონაწილეობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა, თავმჯდომარის მოადგილეებმა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეებმა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეებმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებმა, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს.

„მსგავსი პროექტები უზრუნველყოფს მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას და

# ოფიციალური ქრონიკა

იმ სისტემისთვის მზადყოფნას, რომელიც უფლებებთან ერთად მეტ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს. სტუდენტებმა პრაქტიკოსი იურისტებისგან შეიტყვეს უფრო მეტი ინსტიტუტის შესახებ. ამავე დროს, იური-სტუდენტმა მოისმინეს სტუდენტებისაგან რჩევები და შენიშვნები, – განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა.

## ტსუ-ის სტუდენტები ზაარლანდის უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორის ნინო ლაპიაშვილის ხელმძღვანელობითა და DAAD-ის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 20 მარტს საქართველოდან ზაარლანდის უნივერსიტეტში (გერმანია) გამართულ ინტენსიურ სემინარზე – „კონფლიქტების მართვა“ იმყოფებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის 4 მაგისტრანტი (გიორგი მესხი, ანჟელა აბულაძე, ანა ტიტ-ვინიძე, ნინო კეკელიძე) და იურიდიული ფაკულტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 4 დოქტორანტი (ნინო ფარსადანიშვილი, ნათია ნებუნშივილი, თორნიკე ნოზაძე, გიორგი შიოშვილი). აღნიშნული პროექტი მოიცავდა „კონფლიქტების მართვისა და ზაარ-ლორ-ლუქსის რეგიონის“ ისტორიულ ჭრილში განხილვას. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო კონფლიქტოლოგიის დარგში 2 პროფესორის მომზადება, რაზეც წარდგენილი იყვნენ პროფესორები ქეთევან ხუციშვილი და მედეა დესპოტაშვილი, რომლებიც მოამზადებენ კურსს კონფლიქტოლოგიაში, რასაც მოგვიანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექცია-სემინარების სახით წაიკითხავენ.

ზაარლანდის უნივერსიტეტში ინტენსიური სემინარების პირველი კვირა დაეთმო „დიდი რეგიონის“ ისტორიულ ჭრილში განხილვას. ზაარლანდის ტერიტორია, ისევე როგორც ლორანისა და ლუქსემბურგის ტერიტორიები, წლების განმავლობაში სადავო იყო გერმანია-საფრანგეთს შორის. დროის ცვლასთან ერთად ორი ქვეყნის იურისდიქციის ცვლილებაც ხდებოდა. ევროკავშირის დაარსების შემდგომ კი ეს პრობლემა გადაწყდა. დღეს, ისევე როგორც მთელს ევროპაში, არც აქ არის საზღვრები გავლენიანი. დაუზუსტებელია ასევე ამ რეგიონის საზღვრები, მას ჩვეულებრივ Saar-Lor-Lux-ის უწოდებენ, თუმცა აკადემიურ სფეროში „Greater Region“-ის (დიდი რეგიონის) სახელით მოიხსენიებენ. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება მიეცათ ენახათ Saar-Lor-Lux-ის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ძეგლები და ქალაქები: მეცი, ლუქსემბურგი, ზარბრუკენი, ზაარლუი. პირველი კვირა მოიცავდა ექსკურსიებს ისტორიულ ქალაქებში. კვირის ბოლოს სტუდენტებს ზეპირი გამოცდის ჩაბარება მოუხდათ, რაც წარმატებით შეძლეს.

სემინარების მეორე ინტენსიური კვირა დაეთმო ირლანდიის კონფლიქტის განხილვას პროფესორ ეამონ ო'კიარდასთან. სემინარები ინტერაქტიულ რეჟიმში მიმდინარეობდა, რაც საკმაოდ საინტერესოს ხდიდა აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას. მეორე კვირაც ზეპირი გამოცდის ჩაბარებით დასრულდა.

მესამე კვირა დაეთმო ახლო აღმოსავლური კონფლიქტების განხილვას. ლექცია-სემინარებს კითხულობდა ზაარლანდის უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი უდო შტაინბახი. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობაც ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პროფესორმა შტაინბახმა შემთხვევით ისეთი რუკა აჩვენა სტუდენტებს, სადაც დაშვებული იყო კარტოგრაფიული შეცდომა, აზერბაიჯანის ნაცვლად დატანილი იყო სომხეთი, რაზეც აზერბაიჯანელი სტუდენტები და პროფესორები საკმაოდ სენსიტიური აღმოჩნდნენ და, ფაქტიურად, ლექციის პირველი მონაკვეთი აღნიშნულის განხილვას დაეთმო. ახლო აღმოსავლური კონფლიქტების შესახებ სტუდენტები კარგად ინფორმირებულე-

ბი იყვნენ. მესამე კვირაც, ისევე როგორც პირველი ორი კვირა, ზეპირი გამოცდით დასრულდა. ზაარლანდის უნივერსიტეტმა ქართველ მონაწილეებს 9 კრედიტი მიანიჭა, რაც „ევროპაეიკუმის“ სერტიფიკატის ერთ მესამედს შეადგენს.

ინტენსიური სემინარების ბოლოს, ქართველმა და აზერბაიჯანელმა სტუდენტებმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს ქართულ-აფხაზური და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტები.

სტუდენტებმა: ნინო ფარსადანიშვილმა და გიორგი მესხმა, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები არა მარტო პოლიტიკური კუთხით, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი კუთხითაც განიხილეს, რაც საკმაოდ საინტერესო იყო დამსწრე საზოგადოებისთვის, რასაც აუდიტორიაში საკმაოდ საინტერესო დისკუსია მოჰყვა.

ზაარლანდის უნივერსიტეტის ინტენსიური სასემინარო კურსი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართველი სტუდენტებისათვის. მათ შეიძინეს არა მარტო თეორიული ცოდნა, არამედ ზედმიწევნით დეტალურად გაეცნენ „დიდი რეგიონის“ ისტორიას, წარსულსა და აწმყოს.

## ტსუ-მ მოსწავლეთა 65-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის გეოლოგიის საქციის მონაწილეებს უმასპინძლა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ტრადიციულ იქცა მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის გეოლოგიის სექციის შემაჯამებელი სხდომების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარება.

სექციის შემაჯამებელი სხდომა 15 მაისს ჩატარდა. სექციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: თბილისის, ქიათურის, ფოთის, ონის, ქუთაისის, ოზურგეთის, ხაშურის, ზუგდიდის, სიღნაღის, კასპის, რუსთავის, ასპინძისა და გურჯაანის საშუალო სკოლების VIII-XI კლასის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა.

წარმოდგენილი მოხსენებები გამოირჩეოდა თემატიკის მრავალფეროვნებით, რაც არის დასტური იმისა, თუ როგორ დაინტერესებას იჩენს ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობა ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მინერალური ნედლეულის, კატასტროფული მოვლენების, ჩვენი პლანეტის გეოლოგიური აგებულების, მისი წარსულის დროსა და სივრცეში განვითარების ისტორიის შესახებ. კონფერენციაზე მოსმენილი მოხსენებებიდან ადვილად ვრწმუნდებით, რომ მოსწავლეები გეოლოგიის მიმართ (მიუხედავად იმისა, რომ ეს დარგი სკოლაში ცალკე დისციპლინად არ ისწავლება) დიდ ინტერესს იჩენენ. ასეთი კონფერენციის მოწყობა, რომელშიც უდიდესი წვლილი შეაქვს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის გეოლოგიის სექციას და სკოლის პედაგოგებს, მნიშვნელოვანწილად ავსებს სასკოლო განათლებაში ამ მიმართულებით არსებულ ხარვეზს. გეოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული ასეთი ხასიათის კონფერენციების მოწყობაში. ისინი ყოველთვის მზად არიან მისცენ მოსწავლეებს პრაქტიკული ხასიათის რჩევები, რაც კიდევ უფრო მეტად გაუღვივებს მათ გეოლოგიის მეცნიერებისადმი ინტერესს და ამით ბევრი მათგანი გეოლოგიას თავიანთ მომავალ პროფესიას დაუკავშირებს.

როგორც მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის გეოლოგიური სექციის ხელმძღვანელმა ლეილა მეზალიშვილმა განაცხადა, წინა წლებთან შედარებით 2011 წლის კონფერენციაზე გაცილებით მაღალი დონის ნამუშევრებია წარდგენილი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს



და მოსწავლე-ახალგაზრდებს სიტყვით მიმართეს ტსუ-ის გეოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ-მოსწავლებლებმა: ბეჟან თუთბერიძემ, გურამ ლონდაძემ და კარლო აქიმძემ.

## კავკასიური ნიგნის გამოფენა პარლამენტში

პარლამენტის დიასპორასა და კავკასიის საკითხთა კომიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით პარლამენტში კავკასიური ნიგნის გამოფენა მოეწყო. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ტსუ-ის ბიბლიოთეკაში დაცული კავკასიოლოგიის მიმართულების რარიტეტული გამოცემები, კავკასიოლოგიის ფუძემდებელთა - არნოლდ ჩიქობავასა და გიორგი ახვლედიანის, ასევე, ტსუ-ის გამომცემლობის მიერ ბოლო დროს გამოშვებული სახელმძღვანელო და სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ნიგნები, რომლებიც კავკასიელი ხალხების კულტურის, ენისა და ტრადიციების შესახებ მოგვითხრობს. აგრეთვე, მოეწყო ფოტოგამოფენა – „კავკასიელი ხალხების ეროვნული სამოსი“.

გამოფენის ექსპონატები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, როგორც ავტორების, ასევე თემატიკის მიხედვით. სტუმრები სიმონ ჯანაშიას, არნოლდ ჩიქობავას, როლანდ თოფჩიშვილის, ბარასბი ბრაჟნოკოვის, ევგენი ჯეირანაშვილის ნიგნებთან ერთად თანამედროვე მწერლებისა და კავკასიოლოგების შრომებს გაეცნენ, მათ, ასევე, კავკასიელ ხალხთა ეროვნული სამოსის ფოტოგალერეა დაათვალიერეს.

კავკასიური ნიგნის გამოფენა ტსუ-ის რე-

ქტორმა ალექსანდრე კვიციანიშვილმა გახსნა. „უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო ამ განძის შეგროვება, არამედ მისი საზოგადოებამდე მიტანა. მოხარული ვარ, რომ გამოფენამ დიდი დაინტერესება გამოიწვია, ვფიქრობ, ყველამ უნდა ვიცოდეთ რას ვფლობთ და როგორი მრავალფეროვანია ჩვენი სიმდიდრე“, – განაცხადა ტსუ-ის რექტორმა.

ტსუ-ის დაარსების დღიდან უნივერსიტეტში შეიქმნა კავკასიური ენების ცენტრი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა როგორც კავკასიური ენების, ასევე მთლიანად კავკასიოლოგიის მეცნიერულ შესწავლაში. უნივერსიტეტში დღეს მოქმედი კავკასიოლოგიის ინსტიტუტი რეგიონში კავკასიოლოგიის შესწავლის ცენტრია.

„საქართველოში კავკასიოლოგიის ძლიერი სამეცნიერო სკოლის დაფუძნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკავშირდება. ინტერესი და ყურადღება კავკასიური პრობლემატიკის მიმართ უკვე უნივერსიტეტის დაარსების იდგამი იყო ჩადებული. შემთხვევითი არ არის ის, რომ გამოფენა საქართველოს პარლამენტში იმართება, რადგან დღეს სწორედ პარლამენტში ხდება კავკასიელ ხალხებთან ახალი ურთიერთობების კონსტრუირება. ამ გამოფენის მოწყობა სიმბოლურია, რადგან სულ ახლახან პარლამენტმა 1763–1864 წლების რუსეთ-კავკასიის ომის შედეგად რუსეთის მიერ ჩერქეზი ხალხის მიმართ განხორციელებული გენოციდის აღიარების თაობაზე რეზოლუცია მიიღო“, – აღნიშნა პარლამენტის დიასპორასა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ ნიკლაურმა.

ლონისძიებმა პარლამენტის ვიცე-სპიკერი გივი ნერეთელი, პარლამენტარები, საქართველოში მოღვაწე კავკასიოლოგები, ჩრდილო კავკასიელ ხალხთა წარმომადგენლები და მონვეული სტუმრები დაესწრნენ.



მასალა მოგვანოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა

# ნიჭიერი სტუდენტურმა ღვინამც გამოავლინა



ნათო ოპოლაკი

ხუთ წლიანი პაუზის შემდეგ საქართველოში სტუდენტური დღეების ტრადიცია განახლდა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით გამართული „სტუდენტური დღეები 2011“ თბილისის ვაკის პარკში 4 დღე გაგრძელდა. ღონისძიებაზე დასასწრებად თუ მასში მონაწილეობის მისაღებად ათასობით ახალგაზრდა შეიკრიბა. კონკურსში „სტუდენტური დღეები 2011“ ქვეყნის 30-მდე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ჩაერთვნენ. გამარჯვებულნი 30 ნომინაციაში გამოვლინდნენ, რომლებსაც ჯილდოდ ბროლის გრან-პრი გადაეცათ. ეს ნომინაციებია: საუკეთესო ქართული ცეკვა, საუკეთესო თანამედროვე ცეკვა, საუკეთესო მომღერალი, საუკეთესო დუეტი, საუკეთესო ტრიო, საუკეთესო ფოლკლორული ჯგუფი, საუკეთესო თანამედროვე ჯგუფი, საუკეთესო თეატრალური სკეტჩი, საუკეთესო იუმორისტული ნომერი, ყველაზე ორიგინალური ნომერი, საუკეთესო ფოტოს ავტორი, საუკეთესო ნახატის ავტორი, ყველაზე კრეატიული ნარმოდგენა, მხიარული თამაშების გამარჯვებული, ჟიურის სიმპათია, ფესტივალის აქტიური სტუდენტი, ფესტივალის აღმოჩენა, ყველაზე ორგანიზებული უმაღლესი სასწავლებელი, საუკეთესო ბრეიქდანსერი, საუკეთესო ექსტრემალი, სტრიტბოლის გამარჯვებული, მკლავჭიდის გამარჯვებული, ჭადრაკის გამარჯვებული, მაგიდის ჩოგბურთში გამარჯვებული, ნარდის ტურნირში გამარჯვებული, საუკეთესო გულშემატკივარი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პირველობა 5 ნომინაციაში მოიპოვა. თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსს ირაკლი ხარჯავანიძეს, რომელიც ნარმატებულად დასახელდა ნომინაციაში — „ყველაზე ორგანიზებული უმაღლესი სასწავლებელი“, გრან-პრი გადაეცა.

„ძალიან სასიამოვნოა, რომ საქართველოში ხუთ წლიანი პაუზის შემდეგ კვლავ აღდგა სტუდენტური დღეების ძალიან კარგი ტრადიცია. მან თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტებს შორის, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ სტუდენტურ დღეებზე მონაწილეობა მიიღო საქართველოს 28 უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელმაც ყველაზე ორგანიზებული უნივერსიტეტის ჯილდო მოიპოვა, აგრეთვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სტუდენტური დღეების ორგანიზებისთვის.“ — აღნიშნა ირაკლი ხარჯავანიძემ.

ფოტო-გამოფენის კონკურსში პირველი ადგილი თსუ-ის სტუდენტმა ტასო გოგიშვილმა დაიკავა, ანსამბლი „გორდელა“ კი საუკეთესო ფოლკლორულ ჯგუფად აღიარეს.

„ვერ გეტყვით, რომ ჩვენთვის გამარჯვება მოულოდნელი იყო, რადგან ნარმატებების მიღების გამოცდილება ჩვენს ანსამბლს ნამდვილად აქვს. ეს ჯილდო სასიხარულო იყო იმდენად, რამდენადაც აქამდე მიღებული გამარჯვებები. ძალიან სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ სტუდენტური დღეების ადგილობრივი ტრადიციის შემდეგ „გორდელა“ პირველი იყო, რომელმაც საუკეთესო ფოლკლორული ანსამბლის ტიტული მოიპოვა და გრან-პრი მიიღო. ვფიქრობ, ეს აუცილებლად ჩაინერება ისტორიაში.“ — გვითხრა ანსამბლ „გორდელას“ წევრმა თამუნა ალადაშვილმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თსუ-ის როკ-ჯგუფს „Ever green“-ს ბროლის გრან-პრი გადაეცა ნომინაციაში — საუკეთესო შემსრულებელი.

„ჯგუფი ახალი დაარსებულია, ოქტომბერში შეიკრიბეთ, ერთმანეთი უნივერსიტეტში გავიცანით. ჩვენ ყველა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ვსწავლობთ. საკუთარი რეპერტუარის შექმნაზე ახლა ვმუშაობთ, გვაქვს სიმღერების გარკვეული მონახაზები როკის სხვადასხვა სტილში, მეტალში, კლასიკურ როკში, მძიმე როკში... ნინ საკმაოდ დიდი სამუშაო გველის. უკვე გვქონდა რამდენიმე კონცერტი როკ-კლუბებში. ერთხელ თსუ-ის სტუდენტების ექსკურსიაზე დავეუკარით და მას შემდეგ უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებებზეც ყოველთვის გვიწვევენ“, — გვითხრა ჯგუფის „Ever green“-ის წევრმა, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა და „სტუდენტურ-



რი დღეები 2011“-ის ერთ-ერთმა გამარჯვებულმა გიორგი ცირიკიძემ.

„სტუდენტური დღეები 2011“-ის ნომინაციაში — „ფესტივალის საუკეთესო გულშემატკივარი“ კი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა ნათია გერგაიამ და ქეთი ჭირაქაძემ გაიმარჯვეს.

„სტუდენტური დღეები 2011“ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ვლადიმერ ვარძელაშვილმა 18 მაისს გახსნა. ცერემონიაზე ქართული ესტრადის ნარმოდგენლებმა „სტუდენტური დღეების“ პიმინი შეასრულეს. მაყურებლის ნინაშე ნარსდგენენ ყოფილი ჯეოსტარელები სალომე ბაკურაძე, ვაჟა მანია, ნოდინო ტატიშვილი, თიკა მახალაძე და ნათია დუმბაძე. გაიმართა მოძრაობის თეატრის ცეცხლოვანი შოუ და ჯგუფ „მგზავრების“ კონ-



მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის მმართველი:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, ნოდარ ბელქანი, იაკო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დინა ძიძიგური, ნანა ჭილაძე, თეა ჯუღელი	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკორექტორი	ლიკა პეტრიაშვილი		22 36 62
კომპიუტ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		